პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კარ... გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადებ —5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 216 (1071) კვირა 21 სექტემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 216 (1071)

გაზეთის დღევანდელი ნომერი შედგება [illegible]

დ ღ ი უ რ ი

— ავსტრია ფიქრობს შეუერთდეს მცირე ანტანტას.
— საბჭოთა კავშირმა კანადაში [illegible] ხი საქონელი.
— მთელ გერმანიაში ხდება კომუნისტების [illegible] სალება.
— ჰოლანდიის ჯარში ხდება მღელვარება, მთავრობა აპირებს სასტიკი ზომების მიღებას.
— პეტროგრადში ადგილი ჰქონდა დიდ ქარბუქს რომელმაც ზოგიერთ სახლებს სახურავი გადააძრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღორძინებისა და გაძლიერების გზით

საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინება გრძელდება. როგორც ყოველთვის, არც ეხლა არ გამართლდა თეთრგვარდიელთა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგეთა იმედები და წრევანდელმა მოუსავლიანობამ ვერ შეაფერხა სამეურნეო ცხოვრების აღორძინების პროცესი. შეუჩერებლივ მიდის წინ როგორც ჩვენი მრეწველობის, ისე სასოფლო-მეურნეობის განვითარება.

როგორც საბჭოთა კავშირის გეგმათა სამმართველომ გამოარკვია, მრეწველობის პროდუქციის ღირებულება წარსულ თვეში უდრის 124.000 მანეთს და ივლისთან შედარებით ის გაიზარდა 6 პროცენტით. ტრანსპორტის მუშაობა აგვისტოში ივლისთან შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით და წარსული წლის ივლისთან შედარებით კი 24 პროცენტით.

გაიზარდა ფულის ტრიალიც, იმათა მცხოვრებთა სყიდვითი უნარიანობამაც, თუმცა მოუსავლიანობის მიხედვით მოსალოდნელი იყო წინააღმდეგი.

სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებშიც შემჩნეულია წინსვლა, თუმცა კერძოდ პურეულის მოსავალი შარშანდელ დიდ მოსავალთან შედარებით 15,6 პროცენტით ნაკლებია. მოუსავლიანობა, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ რაიონებში, ადვილათ იქნება დაძლეული და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.

მოუსავლიანობის შედეგებთან მებრძოლი კომისიები ფართო მუშაობას აწარმოებენ და უზრუნველჰყოფენ მოსახლეობას როგორც საკვები პურით, ისე სათესლე მასალით. ამასთანავე ერთად სწარმოებს მუშაობა მოუსავლიანობის გამომწვევ მიზეზების მოსასპობათ გაუმჯობესებული მეურნეობაზე გადასვლით.

ერთი სიტყვით, მთელ საბჭოთა კავშირში გრანდიოზული მუშაობა სწარმოებს, რომელიც ბრწყინვალე მომავალს უმზადებს ჩვენს რესპუბლიკებს და ამტკიცებს მათ შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას.

ჩვენი მტრები სულ მუდამ ჩვენს დაღუპვას წინასწარმეტყველებდენ; ყოველი ახალი დაბრკოლება, რომელიც გადაიშლებოდა ჩვენს წინ, მათ ყოველთვის ახალ იმედებს უღვიძებდა. ასე იყო 1921 წლის სიმშილობის დროს, ასევე იყო წრევანდელი მოუსავლიანობის დროს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ადვილათ სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს და მტკიცე ნაბიჯებით მიდის წინ ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისაკენ.

ყოველ მოსალოდნელ საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლება წინდაწინვე ითვალისწინებს და იმუშავებს ზომებს მის დასაძლევათ. როგორც ამხ. კამენევმა აღნიშნა თავის მოხსენებაში რუსეთის კომკავშირის ცეკას პლენუმზე, ჩვენ შინაურ პოლიტიკაში დღეს მთავარი საკითხებია გლეხობასთან დამოკიდებულება და ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა.

წარსულ წელში წამოჭრილი იყო ეგრეთ წოდებული „მაკრატლი"-ს პრობლემა, სოფლის ნაწარმოებთა მცირე ფასების გამო მრეწველობის ფასებთან შედარებით. ეს მდგომარეობა დღეს აღარ არსებობს. პირიქით, დღეს ნაწილობრივ საწინააღმდეგო ტენდენციებიც მოსჩანს. პურის ფასებმა აიწიეს და სახელმწიფოც სცდილობს პურის ბაზრის მოწესრიგებას, რისთვისაც განზრახულია 400 მილიონ ფუთი პურის შესყიდვა.

მოუსავლიანობის გამო მოსალოდნელი იყო მრეწველობის შეკვეცა, მაგრამ დღეს უკვე სჩანს, რომ მრეწველობა, პირიქით, ფართოვდება, მრეწველობის ნაწარმოებზე მოთხოვნილება იზრდება და საჭიროა მთლიანად მრეწველობის ნაყოფიერების გადიდება. ამ მიმართულებით მთელ საბჭოთა კავშირში დიდი მუშაობა სწარმოებს, და ის აუცილებლად მოგვცემს სასურველ შედეგებს.

ამნაირად მშრომელთა დიდი კავშირის ეკონომიური მდგომარეობა დღითი-დღე მტკიცდება. მშრომელთა დიდი არმია უცხო სახელმწიფოების დაუხმარებლად და სესხის მიუღებლათაც ახერხებს მისი მეურნეობისათვის საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს მიყენებულ ჭრილობების მოშუშებას.

ჩვენი მეურნეობის მომავალი განვითარება უზრუნველყოფილია და ამ ფაქტს იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა. საზღვარგარეთის ბურჟუაზიული პრესის გააფთრებული კამპანიის მიუხედავათ, თვითეული ბურჟუაზიული სახელმწიფო სცდილობს ჩვენთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას.

ამ დღეებში უკვე მოხდა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ჰუნგრეთს შორის ნორმალური დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ჰუნგრეთის მაგალითს მიბაძვენ ყველა სხვა სახელმწიფოებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩვენთან ნორმალური კავშირი.

რუსეთის თეთრგვარდიელთა და საზღვარგარეთის მოსყიდულ ბურჟუაზიული პრესის კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერ მიაღწევს მიზანს. ჩვენ უნდა გვეცინონ, რადგანაც ჩვენი მდგომარეობა მტკიცდება, რადგანაც ჩვენი მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის განვითარება უზრუნველყოფილია.

ჩვენი აუცილებელი გამარჯვების წინაშე ქედი უნდა მოიხაროს მთელმა ბურჟუაზიულმა ქვეყნიერებამ.

სოციალური აღმშენებლობის განმტკიცება

I

მეცნიერული სოციალიზმი იმით განსხვავდება არა მეცნიერული სოციალიზმისაგან და ბურჟუაზიული თეორიებისაგან, რომ მას სოციალურ აღმშენებლობის საკითხში თავის ბრძოლა—აღმშენებლობის გეგმა გამოჰყავთ ცხოვრების ობიექტიური პირობებიდან. მარქსი ამ გზით იკვლევს სოციალ-პოლიტიკურ კითხვებს და ასეთ ანალიზს ის მიჰყავს იმ დასკვნამდის, რომ სოციალიზმი ისტორიული აუცილებლობაა, ე. ი. სოციალისტური ურთიერთობა—წეს-წყობილება არის კაცობრიობის აუცილებელი მომავალი და მიზანი. ობიექტიური პირობების მოთხოვნილებებთან თავის მოქმედების შეფარდებით მეცნიერულად მოაზროვნე სოციალისტური პარტია და ამ პარტიის საფუძველი—მუშათა კლასი—სცდილობენ გაითვალისწინონ ცხოვრების გზები, მათი ერთ-მეორესთან მიზანშეწონილად გადაბმა-შეთანხმებას ხელი შეუწყონ და მუშათა ძალების შეგნებულად მუშაობით სოციალისტური წესწყობილების დამყარება დააჩქარონ და დაამთავრონ.

ამ დიდ და რთულ აღმშენებლობის საქმეში უდიდესი ადგილი უჭირავს ფინანსიურ საკითხს, შემოსავლის და მისი წყაროების სხვადასხვა ადმინისტრატიულ ერთეულთა შორის რაციონალად განაწილებას როგორც ცალკე რესპუბლიკათა ფარგლებში, ისე ფედერაციათა შორის.

შემოსავლის განაწილების საფუძველი სოციალურ განვითარების და აღმშენებლობის ის ობიექტიური პირობებია, რომლებზედაც ეყრდნობა მეცნიერული სოციალიზმი, და ამიტომ ეს განაწილება იწყება დაბლიდან და არა ზევიდან, ვინაიდან ყოველგვარი აღმშენებლობა იწყება მტკიცე საფუძვლის ჩაყრით.

შრომისა და ბურჟუაზიულ კოლონიალური თვალსაზრისი ერთი-მეორისაგან სხვათა შორის იმით განსხვავდებიან, რომ უკანასკნელი ანგარიშს მხოლოდ მრეწველის ინტერესებს უწევს, პირველი კი მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესებს და მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებას ეყრდნობა, გამოდის შრომის ღირებულების ნორმალურად ანაზღაურების პრინციპიდან და არ ურიგდება აღმშენებლობის ისეთ პირობებს, რომელიც მოსახლეობის ეკონომიურ და გონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობას უაღრესად ხელს არ უწყობს, ამ უკანასკნელ მიზანს კი ემსახურება ისეთი აღმშენებლობა, რომელიც იწყება სახელმწიფოს ქვედა საფეხურიდან. ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი საფეხურია თემი და შემდეგ რაიონი, როგორც თემების ზედანაშენი, მერე მაზრა, როგორც რაიონების ზედანაშენი და, ბოლოს, რესპუბლიკა, როგორც მაზრების კავშირი ზედანაშენი და მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესების სინტეზის წარმომადგენელი.

ამ საფეხურების თანდათანობით აღნუსხვისაგან ნათელია, რომ სოციალური აღმშენებლობა უნდა იწყებოდეს რესპუბლიკის ქვედაფენებიდან. თუ ეს ქვედა საფეხურები არაა მოწყობილი და გამაგრებული, ზედა საფეხურების გამაგრება და მათზე დაყრდნობა შეუძლებელია. ამ აზრით ხელმძღვანელობს სოციალისტი-კანონმდებელი და ამბობს: პირველი ადმინისტრატიული საფეხურის ძირითადი მოთხოვნილებები უსათუოდ სავსებით უნდა დაკმაყოფილდეს, და ამ მიზნით შემოსავლის წყაროები თემის შემოსავალი რესპუბლიკაში ისე უნდა განაწილდეს, რომ ხსენებული საფეხური ფინანსიურად უზრუნველყოფილი იყოს.

ეს სრულიად სამართლიანი მოთხოვნილება, რომელიც ადგილობრივ ფინანსების შესახებ გამოცემულ კანონებს საფუძვლად დაედო, სავსებით და ურყევად უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

სოციალურ აღმშენებლობის ასეთ მოთხოვნილებას მაზრები, რასაკვირველია, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ნაკარნახევ ზომიერებას დაიცავენ. უდავოა, რომ დღევანდელ მძიმე ეკონომიურ-ფინანსიურ პირობებში რესპუბლიკის ყველა საფეხურის ძირითადი მოთხოვნილებებიც, დიდათ შემცირებული, მინიმალური უნდა იყოს, რომ რესპუბლიკამ ოდნავად მაინც დააკმაყოფილოს უსაჭიროესი საერთო მოთხოვნილებები. მაგრამ რაიონის მინიმალური მოთხოვნილებები ყოველშემთხვევაში უსათუოდ უნდა დაკმაყოფილდეს და ამისათვის საჭირო თანხა მას უნდა მიეცეს როგორც რაიონის ტერიტორიაზე არსებულ წყაროებიდან, ისე სამაზრო აღმასკომის სხვა წყაროებიდან შემოსავლის დათმობით.

რაიონის ბიუჯეტი უნდა იყოს უდეფიციტო და სწორი გამოხატულება ჯანსაღი გეგმისა, რომლის განხორციელებას რაიონის კულტურულ-ეკონომიური გაჯანსაღება-განმტკიცება მოითხოვს.

რაიონის ასეთი ბიუჯეტის შექმნა უაღრესად სავალდებულო სოციალური მიღწევაა. და მისი შექმნა თანამედროვე ხელისუფლების მთავარ მოვალეობას შეადგენს.

მაზრა თუ რაიონებს ეყრდნობა, რესპუბლიკა მაზრებს ეყრდნობა; მასადამე რესპუბლიკა იმდენად მტკიცე და ჯანსაღია, რამდენადაც მტკიცე და ჯანსაღია მაზრები; ამიტომ რესპუბლიკამ მაზრებისადმი ისეთივე მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს, როგორსაც მაზრა რაიონებისადმი იჩენს.

რესპუბლიკამ მაზრას ისეთი და იმდენი შემოსავლის წყაროები და შემოსავალი უნდა დაუთმოს, რომ მაზრამ შექმნას ნორმალური და უდეფიციტო ბიუჯეტი და შესძლოს სავსებით შეასრულოს თავისი მოვალეობა მაზრის საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რაიონს და მაზრას დღეს არ შეუძლია აიღოს გრძელვადიანი სესხი ან თვალსაჩინოდ გააძლიეროს კომუნალური წარმოება და ამით საგრძნობლად გაადიდოს მაზრის შემოსავალი. ასეთ პირობებში რესპუბლიკა უაღრესად ვალდებულია სამაზრო აღმასკომებს იმდენი შემოსავალი დაუთმოს, რამდენიც საჭიროა საერთო აღმშენებლობაში მაზრის აღმასკომის მოვალეობის შესრულებისათვის სამაზრო ბიუჯეტით შემოხაზულ ვიწრო ფარგლებში.

ასეთია სოციალურ აღმშენებლობის მეორე კატეგორიული მოთხოვნილება, და მხოლოდ ამ ორ მოთხოვნილებათა ნორმალური დაკმაყოფილებით შეიძლება სოციალურ აღმშენებლობის წარმატება-განმტკიცება.

მაგრამ არის მესამე მოთხოვნილებაც, — რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობის მოღვაწეობის და მისი ბიუჯეტის საკითხი,—რომელსაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელიც შესაფერად უნდა იქნეს გაშუქებული.

(დასასრული იქნება)

დ. თ.

ლენინთან
(წერილი მოსკოვიდან)

მოსკოვში დაბრუნებისას პირველყოვლისა ლენინის სანახავად გავემგზავრე, სანახავად და არა ლენინის საფლავთან, როგორც ამას ხშირად შეცდომით, თუ ჩვეულების მიხედვით ამბობს ბევრი.

რვა თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ილიჩი გარდაიცვალა. მახსოვს იანვრის იშვიათი გლოვის დღეები, როცა შავი ძაძებით შემოსილი მთელი მოსკოვი აიშალა და ლენინის ცხედარს თავს დასტიროდა. სიცივე, არაჩვეულებრივი ყინვა, თოვლში გახვეული მთელი მიდამო, მაგრამ ვეებერთელა თეატრალურ მოედანზე პროფკავშირთა სახლის ირგვლივ დილიდან საღამომდე, დაღამებიდან დილამდე, განუწყვეტლივ ექვსი დღის განმავლობაში, შავი დროშების თვალუწვდენელი ტყე, გლოვის მარშის გულშემზარავი ქვითინი და ზღვა ხალხის შეუჩერებელი მოძრაობა.

დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა ილიჩის სანახავად გამორბოდა. საათობით, მთელი ღამეობით იდგა მსუბუქათ ჩაცმული მოსკოვის ღარიბი მოსახლეობა თავის რიგის მოლოდინში. ყინვის სუსხი ქვას ხეთქავდა, სახლის კედლები, ტელეგრაფის მავთულებიც კი ვერცხლის ფქვილში იყო გახვეული, მამაკაცებს წვერ-ულვაშზე შუშის ჩურჩხელები ეკიდებოდა, ახალგაზრდა ქალებს ნორჩი სახე თეთრი ჭაღარით ემოსებოდა, მაგრამ ხალხი შეუპოვრად იდგა, მთელი ქალაქი გარეთ იყო. აღარავის ახსოვდა ყინვა, აღარავინ ჰფიქრობდა თავის თავზე, იმდენად დიდი იყო სურვილი ნახვის, საკუთარი თვალის გადავლების იმ ადამიანზე, რომლის სახელითაც ჩაიწერება ჩვენი საუკუნე ისტორიაში, რომლის ხსენებაც იგულისხმებს ახალი ეპოქის, ახალი ერის დასაწყისს კაცობრიობის ცხოვრებაში. ასეთი იყო მოსკოვი ლენინის გარდაცვალების პირველ დღეებში.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. დღეს ილიჩი წითელ მოედანზეა მოთავსებული, იმ ისტორიულ წითელ მოედანზე, რომელიც თავის მშვენიერებით მთელი მოსკოვის თვალია.

რამდენი სიცოცხლე დაღამებულა აქ, შავ წარსულში რამდენი თავი მოუკვეთია ამ მოედანზე ჯალათის დაუნდობელ ხმალს!

მარტო იოანე მრისხანეს მეფობის შავი დღეები რამდენ სისხლათ ღირს, ან პეტრე პირველის დროს ამბოხებულების წამება!

არა რევოლუციის პატივსაცემად, არა თავისუფლების ემბლემათ დაარქვა ამ მოედანს ძველმა, ჯერ კიდევ საუფლისწულო, ფეოდალურმა რუსეთმა წითელი მოედანი. სულ სხვა შინაარსი იყო ამ სიტყვაში ძველი რუსეთისათვის.

დღეს-კი წითელ მოედნის წიაღში მთელი მშრომელი კაცობრიობის წითელი გმირი განისვენებს, დღეს წითელი მოედანი ჭეშმარიტად წითელი მოედანია.

წელიწადის შესრულებას ბევრი არ დააკლდება ილიჩის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ დღემდისაც-კი ოდნავათაც არ შესუსტებულა მისი ნახვის ინტერესი. ტყუილი გამოდგა იმის შიში, რომ ლენინის სახეს უკანასკნელად მისჩერებოდენ, არ გამართლდა ილიჩის უნახველად გამომშვიდობებაზე წუხილი, რომლითაც მოცული იყო მაშინ მთელი მშრომელი კაცობრიობა.

მეცნიერებამ დიდი სამსახური გაუწია პროლეტარიატს.

მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მოდის მნახველთა დაულეველი მწკრივები მოსკოვში საბჭოთა კავშირის და მთელი ქვეყნის კუთხეებიდან. აქ აღარ არის ის სიჩქარე, ის მოუთმენლობა, რომელიც რვა თვის წინად იყო. ყველამ იცის, რომ უნახავად არ დარჩება.

„ლენინი"—სწერია მოკლეთ პატარა, უბრალოებით ისეთივე მომხიბლავ ხის შენობაზე, როგორიც მისი მობინადრე იყო. ეს ერთი სახელი, ერთი სიტყვა ყველასათვის ყველაფერს ლაპარაკობს.

ლენინი ისე შენახულა, როგორც ის სურათზე არის, როგორც ის გარდაცვალების დღეებში იყო.

სადა, უჩინარი ფერის ფრენჩი, მარცხენა მკერდზე წითელი დროშის ორდენი, რომელიც სიცოცხლეში ილიჩს არასოდეს არ უტარებია, ასეთია მისი ჩაცმულობა.

ცხედარი მთლიანად შუშაშია მოთავსებული, მაგრამ მნახველს სრულიად დაუბრკოლებლივ თვალწინ უდგას.

სძინავს ილიჩს, სძინავს მაგარი და ტკბილი ძილით მძიმე შრომისაგან მოსვენებულს. ასეთია შთაბეჭდილება, როცა მის სახეს დასჩერებიხარ და ამ ფიქრთან ერთად თითქოს მისი სუნთქვაც გეყურება. მასთან ყოფნის დროს, მის პატარა, მოხდენილათ მორთულ სახლის კედლებში მთელი ამ რვა თვის გლოვა-წუხილი სიზმრათ გეჩვენება, მისი გარდაცვალების ამბავი ზღაპარი გგონია. სადაც არის წამოდგება, სადაც არის დასჭექს თავის მქუხარე ხმით,—ასე გინდა დაიჯერო, როცა მასთან დგეხარ...

ერთმა ცნობილმა მეცნიერმა სთქვა: „Я счастлив, что являюсь современником Владимира Ильича"-ო და ამ ბედნიერებას მასთან ერთად უთუოდ გრძნობს მთელი მშრომელი კლასი, მთელი პროგრესიულად მოაზროვნე კაცობრიობა. მაგრამ ერთი ათად იზრდება ჩვენში ეს გრძნობა, როცა საკუთარი თვალით ნახულობ ამ შენი საუკუნის სამაყო გმირს და ისტორიულად უკვდავ პიროვნებას.

ეს საშუალება კი მისცა მეცნიერებამ არა მარტო ლენინის თანამედროვეებს, არამედ მომავალ თაობასაც.

წითელ მოედანზე, წითელ კრემლის გვერდით მძინარე ილიჩის სახე დაუცდის კიდევ მრავალს და მრავალს მთელი ქვეყნის ყოველ კუთხიდან და მომავალ თაობასაც.

ალ. ჭყონია.

მოსკოვი, 14 სექტემბერი

დასავლეთის მუშათა კლასი ჩვენს მხარეზეა

უნგრეთის მუშათა კლასი აღტაცებულია საბჭოთა კავშირის ეროვნულ პოლიტიკით

ჩვენს ცნობას ჰუნგრეთის მიერ სიხარულით შეხვდნენ ჰუნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეები

ინგლისის მუშათა კლასი აწარმოებს კამპანიას ხელშეკრულების დასამტკიცებლად

რატომ გვიცნო უნგრეთმა

მოსკოვი, 20 სექტემბერი. საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობის განახლების გამო, ბელაკუნმა „როსტა"-ს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

— მიზეზები, რომლებმაც აიძულა უნგრეთის კონსერვატორული მთავრობა შეთანხმებოდა საბჭოთა კავშირს, მდგომარეობენ შემდეგში:

პირველი—**უნგრეთის მუშების და გლეხების ფართო მასები დიდი ხანია იბრძვიან საბჭოთა კავშირის ცნობისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ მთელი მათი სიმპატიები საბჭოთა კავშირის მხარეზეა. თავისი თანაგრძნობა საბჭოთა წესწყობილებისადმი უნგრეთის პროლეტარიატმა ერთხელ უკვე დაამტკიცა. ეს სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი კიდევ უფრო გააძლიერა უნგრეთში საბჭოთა წესწყობილების დამხობის შემდეგ გამეფებულმა ტერორმა, რეაქციამ და ბურჟუაზიის და მემამულეების რეჟიმის აღდგენამ.**

მეორე — უნგრეთის ნაციონალისტურად განწყობილი წვრილი ბურჟუაზიის მთავარი ნაწილიც არ ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის ცნობას. ტრიანის ზავმა დააქუცმაცა უნგრეთი, მილიონობით უნგრელები მოექცენ სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და ბულგარეთის აუტანელ ბატონობის ქვეშ. ისინი სავსებით მოკლებული არიან ნაციონალურ და კულტურულ დამოუკიდებლობას. **ენერგიული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა კავშირი ჩაგრულ ერების გასანთავისუფლებლად, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განსახორციელებლად, და, ბოლოს, თვით საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკა,—ყოველივე ეს პოულობს ცოცხალ გამოძახილს უნგრეთის ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებს შორის.** საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მათ უღვივებს იმედს, რომ უნგრეთის ნაციონალური ინტერესები დაცული იქნება.

რაც შეეხება მმართველ წრეებს და უნგრეთის მსხვილ ბურჟუაზიას, ცხადია, მათი სიმპატიები არ იქნება საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. მაგრამ **უნგრეთის ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ ეკონომიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან.** უნგრეთის მეურნეობა ამჟამად განიცდის მწვავე ეკონომიურ კრიზისს. უმუშევრობა იზრდება, უმუშევრები არ ღებულობდენ დახმარებას, ისინი წარმოადგენენ უფრო რევოლიუციონურ ელემენტებს უნგრეთში.

უნგრეთის სამრეწველო და სავაჭრო წრეებს იმედი აქვთ, რომ სერიოზულად გამოასწორებენ საქმეს საბჭოთა კავშირში მათი ექსპორტის გაძლიერების გზით. ომამდე უნგრეთი დიდძალ საქონელს ასაღებ სამხრეთ რუსეთში. სამაგიეროდ უნგრეთი ღებულობდა რუსეთიდან პურს, ნედლეულს და სხვადასხვა ფაბრიკატებს.

საბჭოთა კავშირისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას უნგრეთთან. უნგრეთი საგრძნობ როლს თამაშობს ბალკანეთზე. მისი გამოსვლა მაგალითი იქნება მცირე ანტანტის სახელმწიფოებისათვის.

— **უნგრეთის სოციალ-დემოკრატებმა ბევრჯერ დაამტკიცეს, თუ როგორ უილაჯო და მოღალატურ როლს თამაშობდენ და თამაშობენ ისინი უნგრეთში.** ისინი ეხლა უსაყვედურებენ საბჭოთა მთავრობას, რომ მას არ უნდა დაედვა ხელშეკრულება უნგრეთის მთავრობასთან მანამდე, სანამ არ იქნებოდენ განთავისუფლებული უნგრეთში პოლიტიკური პატიმრები. უნდა მოვაგონოთ მათ, რომ **საბჭოთა მთავრობამ ერთ დროს განთავისუფლა ასობით უნგრეთის პოლიტიკური პატიმრები. ეს იყო სწორედ მაშინ, როდესაც უნგრეთის სოციალ-დემოკრატები ისხდენ მინისტრების სავარძლებში და ადასტურებდენ თეთრგვარდიელთა განაჩენებს უნგრეთის მუშებზე და გლეხებზე.** ეხლანდელი ლექციები პროლეტარული სოლიდარობის შესახებ უნგრეთის პროლეტარიატის ჯალათების მხრივ—უადგილოა.

ცნობის შემდეგ

ვენა. 18 სექ. **ჰუნგრეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა კავშირსა და ჰუნგრეთს შორის ურთიერთობის განახლების შესახებ.**

სამეურნეო წრეების გამოჩენილი წარმომადგენლები გამოსთქვამენ კმაყოფილებას ამ შეთანხმებით. მსხვილ კაპიტალისტების პრესაც ხაზს უსვამს მიღწეულ შეთანხმების მნიშვნელობას. მემარჯვენე და კლერიკალების პრესა ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ. ოპოზიციონური სოციალ-დემოკრატიული პრესა ყოველ ღონეს ხმარობს გამოიყენოს მთავრობის ნაბიჯი შინაურ პოლიტიკურ ფრონტზე.

კლერიკალური გაზეთი „ნემცეტი უისაგი" აცხადებს, რომ ჰუნგრეთის მთავრობამ გადასდგა ნაჩქარევი ნაბიჯი. ნაციონალურმა კრებამ ბოლშევიკურ პროპაგანდის საშიშროების მოლოდინში სერიოზულად უნდა იფიქროს იმ საკითხზე, შეუძლია თუ არა ჰუნგრეთს ზოგიერთ წარმოებათა განვითარების მიზნით კარები გაუღოს ბალშევიზმს.

მემარჯვენე პრესა პროტესტს აცხადებს საბჭოთა მთავრობის ნაადრევად ცნობის წინააღმდეგ და იძლევა გაფრთხილებას, რომ მემარჯვენეები გაილაშქრებენ პარლამენტში შეთანხმების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი აცხადებს, რომ ჰუნგრეთის მთავრობას, საბჭ. კავშირის ცნობის შემდეგარ აქვს უფლება დაპატიმრებაში ამყოფოს ბოლშევიზმის მიმდევრები.

სხვა გზა არ არის

პარიზი. 19 სექტემბ. საფრანგეთის ჟურნალისტმა მიშელ შოსსანმა გამოაქვეყნა „ერნუველში" წერილი, რომელშიაც კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირის როლს საერთაშორისო პოლიტიკაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებათა, რომელიც ხელს უშლის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხის გადაჭრას, **„საფრანგეთის ოფიციალურ წარმომადგენლობის გაგზავნას მოსკოვში აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის".**

ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა

მოსკოვი. 20 ენკ. რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. კამენევი. შეეხო რა ინგლისს საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ამხ. კამენევმა განაცხადა.

„ჩვენ გვინდა სესხის აღება, თანახმა ვართ გადავიხადოთ გადიდებული პროცენტები, რათა ამ პროცენტებიდან აუნაზღაუროთ ვალები ინგლისის კრედიტორებს. კაპიტალისტები კი გვეუბნებიან: ჯერ გადაიხადეთ და შემდეგ მოვილაპარაკოთ სესხის შესახებ. **თუ ჩვენ სესხი არ მივიღეთ, ამით არ დავიღუპებით,** მაგრამ მრეწველობის განვითარების ტემპი იქნება უფრო ნელი. ჯერ კიდევ კანას კონფერენციის დროს ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ ორ ეკონომიურ წყობილების თანასწორობასაო, ეს თანასწორობა დღეს პირველათ დამყარებულია ინგლისს-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაში.

ხელშეკრულების წინააღმდეგ დაიწყო ეხლა სასტიკი კამპანია, არამარტო სიტყვიერი, არამედ იგი ტარდება იარაღით და ტყვიის მფრქვეველებით. ინგლისის დიპლომატია ამოძრავდა ყველა საზღვრებზე და გაფაციცებით ამუშავდა, რათა დაამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირის გარშემო ადგილი აქვს ამბოხებას. ყველაფერი ეს ხდება იმისათვის, რათა ხელი შეუშალოს ხელშეკრულების ხელის მოწერას. აწყობენ აჯანყებას ავღანისტანში ემირის წინააღმდეგ, რომელიც მეგობრულ კავშირშია ჩვენთან, სპარსეთსა და ოსმალეთში შემჩნეულია მღელვარება სხვა და სხვა ტომებს შორის, ასეთივე ხასიათი აქვს ინტერვენციას ჩინეთში, საქართველოში მომხდარი ავანტიურა, რომელიც მოაწყვეს ქართველმა მენშევიკებმა, ისახავდა მიზნად აეტეხა ხმაურობა და სკანდალი საჭიროა დაემტკიცებიათ, რომ საბჭოთა რუსეთში მღელვარებაა. მთელი აქტივობა ჩვენ საზღვრებს შიგნივ და გარედ წარმოადგენს გაფაციცებულ ცდას დაარღვიონ საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ხელშეკრულების ხელის-მოწერით და ჩვენი დიპლომატიური და სამეურნეო წარმატებებით.

შეეხო რა მომავალ მოლაპარაკებას საფრანგეთთან, კამენევმა განაცხადა, რომ ჩვენ არავითარ მოლაპარაკებას არ გავმართავთ, სანამ რა გვიცნობენო

იაპონიასთან მოლაპარაკება თითქოს სასურველად ბოლოვდება. მართალია, იაპონიას დღესაც ხელში აქვს ჩრდილოეთ სახალინი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ის დათმობაზე უნდა წასულიყო. იაპონია უკვე თანახმაა ევაკუაციაზე, მაგრამ მოითხოვს დაპირებას, რათა მას მიეცეს უპირატესობა ჩრდილოეთ სახალინზე კონცესიების გაცემის დროს. ჩვენ კი ვეუბნებით, ჯერ წადით, შემდეგ კი საერთო საფუძვლებზე შევგიძლიათ მიიღოთ კონცესიებიო.

შემდეგ ამხ. კამენევმა მოკლეთ დაასურათა მდგომარეობა ცენტრალურ ევროპაში და კერძოთ გერმანიაში: „დოუესის გეგმაო, განაცხადა მან, ყველაზე სასტიკია, წმინდა ამერიკული. ეს არის საქმიანი მეთოდი გერმანიის კოლონიად გადასაქცევათ."

ვერ შეგვაშინებენ

ლონდონი. 19 სექტ. რეიტერის ცნობით, ლიბერალების ყოფილმა ბელადმა ლორდთა პალატაში გრეიმ ედინბურგში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

— ინგლის-საბჭოთა შეთანხმება დიდი ლაქაა ეხლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკის სფეროში. შეთანხმება არ არის რეალური, რომლიდანაც ის წარმოადგენს მხოლოდ წინასიტყვაობას შემდეგი შეთანხმების მისაღწევად. გრეის აზრით, თემთა პალატამ უარი უნდა უთხრას სესხზე საბჭოთა კავშირს.

ინგლისის გაზეთები კვლავ დიდ ადგილს უთმობენ საკითხს ხელშეკრულების შესახებ. ინგლისის მრეწველების ფედერაციის და სავაჭრო პალატების ასოციაციის რეზოლიუციები დაბეჭდილია გაზეთებში თვალსაჩინო ადგილას.

„დეილი ნიუზ" და „ვესტმინსტერ გაზეტ" ათავსებენ ლიბერალების მთელ რიგ წერილებს, რომლებიც მოითხოვენ ხელშეკრულების დამტკიცებას. „ვესტმინსტერ გაზეტ" ათავსებს ყოფილ მინისტრის ალფერდ მონდის წერილს, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის დაპირებებს არ უნდა ვენდოთ. ხელშეკრულებაში არ არის უზრუნველყოფილი ის, რომ სესხი დაიხარჯება დაკვეთებზე ინგლისში. ჟურნალისტს—ლიბერალ სპენდერს არ სჯერა, რომ ძირითად საკითხად ახალი არჩევნების დროს იქნება საკითხი ხელშეკრულების შესახებ. მისი აზრით, მომავალი არჩევნების დროს ბრძოლის ლოზუნგში იქნება საკითხი „წითელი საფრთხის" შესახებ, რომელიც აშინებს ლიბერალური და კონსერვატიული პარტიების ზომიერ წარმომადგენლებს. კონსერვატორების გამარჯვებას მოჰყვება ის, რომ ისინი კისრულობენ ანტი-საბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელობას. სპენდერის აზრით, ლიბერალებს არ შეუძლიათ გამარჯვება კონსერვატორებთან თანამშრომლობის გარეშე. სპენდერი ფიქრობს, რომ გამოსავალი გამონახული იქნება ხელშეკრულებაში შესწორების შეტანით, რაც, სხვათა შორის, მოითხოვა თვით მაკდონალდმაც".

ყველა გაზეთები ათავსებენ ვრცელ საუბარს პარლამენტის და მუშათა პარტიის წევრთან სუსანა ლოურენსთან, რომელიც დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან. ლოურენსი ხაზს უსვამს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების „პოპულიარობას" მოსკოვში და აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ხელს შეუწყობს მხოლოდ საბჭოთა კავშირის აღდგენას.

მოლაპარაკება იაპონიასთან

ტოკიო. 19 სექ. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის და იაპონიის მოლაპარაკება კვლავ მოექცა ჩიხში და შესაძლებელია კიდეც ჩაიშალოს, თუ მახლობელ დღეებში კარახანი არ მიიღებს იაპონიის მოთხოვნილებათა მინიმუმს.

მაგრამ ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს ცნობა წარმოადგენს მხოლოდ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ახალს დიპლომატიურ მანევრს.

გაზეთი „ოსახი" მოწინავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების ჩაშლა იქნებოდა მეტად უაზრო ნაბიჯი. გაზეთის აზრით, ხელშეკრულების დეტალები შემუშავებული უნდა იქნენ განსაზღვრულ ვადაში, ეხლა კი უნდა დადებულ იქნეს ძირითადი შეთანხმება. **გაზეთი აცხადებს, რომ თუ ეხლანდელი მთავრობა დამარცხდება საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების საკითხში, ის უნდა გადადგეს იაპონიის ნაციის ინტერესების გულისათვის.**

მდგომარეობა ჩინეთში

პეკინი, 19 ენკ. ჩინეთის პრეზიდენტის დეკრეტით, ოფიციალურად გამოცხადებულია ომი მუკდენის მიერ. პასუხისმგებლობას ომისათვის პრეზიდენტი აკისრებს ჩჟან-ცზო-ლინს, რომელიც პირველად დაესხა თავს პეკინის მთავრობის ჯარებს.

პეკინში ჩამოსული უ-პეი-ფუ დანიშნულია მთავარ სარდლად. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს უ-პეი-ფუმ გამოსთქვა რწმენა, რომ ის ახლო მომავალში დაამარცხებს მოწინააღმდეგეებს, ვინაიდან პეკინის მთავრობას საჭიროების დროს შეუძლია გამოიყვანოს 400.000 ჯარის კაცი ჩჟან-ცზო-ლინის 100.000 კაცის წინააღმდეგ.

უ-პეი-ფუმ განაცხადა, რომ პირველ რიგში მას განზრახული აქვს დაამარცხოს ლუ-იუნგ-ლინი (ჩჟან-ცზო-ლინის მომხრე), ხოლო შემდეგ თვით ჩჟან-ცზო-ლინი, და ბოლოს კანტონის მთავრობის მეთაური სუნ-იატ-სენი, რომელიც უნდა იქნას გადაყენებული, რადგან ქვეყანაში არ შეიძლება იყოს ორი პრეზიდენტი.

მდგომარეობა ფრონტზე.

პეკინი. 19 სექტემბერი. ჩრდილოეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. არტილერიის კანონადა გრძელდება. კიანგ-სუს პროვინციის ჯარები ემზადებიან გამოსვლისათვის.

უცხოეთის ჯარების სარდალთა თათბირი.

პეკინი. 19 სექტემბერი. პეკინში გაიმართა უცხოეთის ჯარების სარდალთა თათბირი, რომელიც იხილავდა საკითხს უცხოელების სიცოცხლის და ქონების დაცვის შესახებ.

პროკლამაცია პრეზიდენტის წინააღმდეგ

პეკინი, 19 სექტ. ანტუისტების წინამძღოლმა მარშალმა ტუან-ძი-ჟუიმ გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც მიმართულია პრეზიდენტის წინააღმდეგ. პროკლამაცია ბრალსა სდებს პრეზიდენტს გარყვნილებასა და მექრთამეობაში, რამაც დაღუპვის პირამდი მიიყვანა ქვეყანა. მარშალი მოუწოდებს ხალხს აჯანყებისაკენ პეკინის მთავრობის წინააღმდეგ.

მოკავშირეთა ხროვა.

პეკინი. 19 სექტ. დიპლომატიურმა კორპუსმა პეკინში ითათბირა შანხაის ნეიტრალიზაციის საკითხის შესახებ. იტალიის ელჩმა ინახულა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ველინგტონ-კუ და მოითხოვა უცხოეთის სახელმწიფოების მოთხოვნილებათა შესრულება.

ნაუენი. 20 ენკ. ჩე-კიანგის პროვინციის არმია დაიშალა. ამ არმიის ორი მესამედი გადავიდა კიანგ-სუს პროვინციის არმიის მხარეზე, ამის გამო სამოქალაქო ომის დასრულება ჩინეთში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება ამბები ჩრდილოეთ ჩინეთში, სადაც ჩჟან-ცზო-ლინის არმია უნდა შეხვდეს უ-პეი-ფუს ჯარებს. ამ არმიების ბრძოლის შედეგებზე დამოკიდებულია პეკინის ბედი.

ნაუენი. 20 სექტ. მანჯურიის ჯარები გადავიდენ ჩჟილიის პროვინციის საზღვრებზე და იმყოფებიან პეკინიდან 200 მილის დაშორებით. გენერალმა უ-პეი-ფუმ, რომელიც ფიქრობს 400.000 ჯარისკაცის შეკრებას, გაგზავნა ძლიერი რაზმი ჩრდილოეთისაკენ, რათა დაიცვას პეკინი. მისი ჯარები დღემდის გაურბიან დიდ ბრძოლას. ჩჟან-ცზო-ლინი კი, პირიქით, სცდილობს მოწინააღმდეგესთან შეხვედრას. მისმა არმიამ ნაწილობრივ უკვე გაიმარჯვა ავანგარდების შეტაკების დროს.

„დეილი მეილის" შანხაიელი კორესპონდენტის ცნობით, მოხდა სასტიკი ბრძოლა ლიუ-ხოსთან. არტილერიის კანონადა ისმოდა შანხაიში.

ჰანოვერი, 20 სექტ. შანხაიდან მიღებულ ცნობების თანახმად, უცხოელ მოხალისეების მობილიზაცია გრძელდება. პეკინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პეკინის მთავრობამ ფორმალურად გამოუცხადა ომი ჩჟან-ცზო-ლინს.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

პარიზი, 20 ენკენისთვე. საფრანგეთის მთავრობამ საბოლოოდ დაამტკიცა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების და მდგომარეობის გამომრკვევი კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: სენატორი დე-მონზი, ყოფილი ელჩი რუსეთში ნულანსი, დეპუტატი-რადიკალები დელბოს, ფრომაჟო და გრენარი.

ყველა სახელმწიფოების მოწვევა

ბერლინი, 20 ენკენ. ყველა სახელმწიფოები, ისინიც კი, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში, მოწვეულნი არიან განიარაღების კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება ჟენევაში 1925 წლის 15 ივნისს.

სასახლეს აშენებენ

პარიზი, 20 ენკ. ერთა ლიგის საერთო კრებამ გადასწყვიტა ჟენევაში ერთა ლიგისათვის ააშენოს დიდებული სასახლე, რომელიც დაჯდება ოთხნახევარი მილიონი შვეიცარული ფრანკი.

გერმანიის კონკურენცია

ბერლინი, 20 ენკ. „ტაიმსი“ იტყობინება, რომ გერმანიამ მიიღო ინდო-ჩინეთის შეკვეთა 7 ორთქლმავალის დამზადებაზე. ინგლისი ამავე შეკვეთას ლებულობდა 3,893 გირვანქა სტერლინგათ, ხოლო გერმანიამ კი აიღო 2,450 გირვანქა სტერლინგათ.

მენშევიკების ჭორების წინააღმდეგ

ლენინკანი. 20 სექტ. ლენინკანში ჩასულმა საბჭოთა კავშირის გენერალურმა ელჩმა ყარსში ამხ. როშელმა „ზაკრისტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:

„ადგილობრივმა ოსმალურმა მოსახლეობამ და ადმინისტრაციამ პირველ დღეებშივე შესაფერად შეაფასეს საქართველოში მომხდარი ამბები. **ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც ესტუმრენ ჩვენს საკონსულოს, განაცხადეს, რომ „აჯანყებას“ ისინი სთვლიან ავანტიურად.** უცხოეთიდან მოსულ ცნობებს ოსმალეთის ხელისუფლებაც იჭვის თვალით უცქეროდა. სავსებით ნათელი წარმოდგენა მომხდარი ამბების შესახებ შემუშავდა მას შემდეგ, რაც ყარსში ჩავიდა აღმოსავლეთ-ანატოლიის რკინისგზების ინსპექტორი ინჟინერი მირზა-ალი-ბეი, რომელმაც მენშევიკური აჯანყების ყველა დღეები თბილისში გაატარა.

სხვანაირად აფასებდენ მომხდარ ამბებს ჩვენი ემიგრანტები, რომლებმაც ყარსს, არზრუმს და ტრაპიზონს შეაფარეს თავი. თეთრგვარდიელებმა, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ რუსი პოლკოვნიკები და გენერლები, დაიწყეს გაცხოველებული „მზადება მოსალოდნელ ამბებისათვის“, მაგრამ ამ ხალხსაც ჩქარა გაუცრუვდა იმედი.

ოსმალეთის ხელისუფლება გარკვეულ აზრს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ საქართველოში მომხდარ მენშევიკურ ავანტიურას ფესვები საზღვარგარეთ აქვს გამჯდარი.

ოსმალეთის აღმოსავლეთ-ანატოლიის ოლქში შემჩნეულია ლტოლვა საბჭოთა კავშირთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისაკენ. რადგან ნედლი მასალის გატანა ამ რაიონიდან დასავლეთში გაძნელებულია უგზოობის გამო. მთელ რიგ სავაჭრო საზოგადოებების წარმომადგენლები გაემგზავრენ თბილისში ხელშეკრულების დასადებათ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან. უკანასკნელი დროის განმავლობაში სავაჭრო ურთიერთობა შესამჩნევათ გაუმჯობესდა, რასაც ხელი შეუწყო იმ ღონისძიებებმა, რომლებიც აადვილებენ აღმოსავლეთის ვაჭრების შემოსვლას საბჭოთა კავშირში. მაგალითად, უკანასკნელი თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირში უფრო მეტი ოსმალო ვაჭრები გაემგზავრენ, ვიდრე წინა 7 თვის განმავლობაში.

განსაკუთრებით ოსმალეთია დაინტერესებული ჩვენი ნავთის პროდუქტებით და ცემენტით.

საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ოსმალეთის ადმინისტრაციის ბრძოლა კონტრაბანდასთან ჩვენს საზღვრებთან. ამას წინად დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული იყო 7 ბანდიტი, რომლებმაც ცხენები გაიტაცეს ჩვენი ტერიტორიიდან. ცხენები დაუბრუნდა მეპატრონეებს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

კომინტერნის აღმასკომის ცნობა

მოსკოვი. 20 აგვისტო. გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის შემდეგი ცნობა.

„გერმანიის კომპარტია შეუდრეკელი ენერგიით ატარებს ცხოვრებაში კომინტერნის მეხუთე კონგრესის ხაზს პროფკავშირების ხაზში. მან მოახერხა მუშათა მასების თანაგრძნობის მოპოვება კონგრესის იმ ლოზუნგით, რომელიც ეხება პროფმოძრაობის მთლიანობას და აგრეთვე პროფკავშირებიდან გამორიცხულ და თავისი ნებით გასულ მუშების დაბრუნება. ამ ხაზის გატარებას წინააღმდეგობას უწევენ შუმახერის, ბეირის და კაიზერის ე. წ. დამოუკიდებელ კავშირების წინამძღოლები. დისციპლინის უხეშად დარღვევისათვის გერმანიის კომპარტიამ გამორიცხა ისინი თავის რიგებიდან. კომინტერნის აღმასკომმა დაამტკიცა ეს დადგენილება.

ძლიერდება თეთრი ტერორი გერმანიაში. მრავალი კომუნისტები დამწყვდეულია ციხეებში. კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა გაატაროს ყველა თავის სექციებში საერთაშორისო საპროტესტო კამპანია გერმანიის რეაქციონურ იუსტიციის წინააღმდეგ, რათა აქტიური დახმარება გაუწიოს გერმანელ რევოლიუციონერების ბრძოლას.

შვეციის კომპარტიაში ხეგლუნდი სასტიკად დამარცხდა. მიუხედავად სიცრუის სამარცხვინო კამპანიისა, მან ვერ მოახერხა კომინტერნის შვეციის სექციისაგან ჩამოეშორებია ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაწილი. ხეგლუნდს გაჰყვა სულ 1500 კაცი 8.000 წევრიდან.

ახალგაზრდობამ მთლიანად დაუჭირა მხარი კომინტერნს.

იტალიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დახუროს ჟურნალი „პრომეტეი“, ვინაიდან იგი ძალიან გადაიხარა მარქსისტულ და ლენინის ხაზიდან. კომინტერნის აღმასკომმა დაამტკიცა ეს დადგენილება“.

საფრანგეთი.

სამთომადნო მუშათა გაფიცვა.

პარიზი, 19 სექტემბერი. რეფერენდუმის შემდეგ სამთომადნო მუშათა შორის ბორინაჟში გაფიცვას მხარი დაუჭირა 15717 კაცმა, წინააღმდეგ წავიდა 2.313 კაცი.

ბელგიის კომპარტიის ორგანო „დრაპო რუჟი“ იუწყება, რომ **საბჭოთა დელეგაციამ მუშათა კოოპერაციის საერთაშორისო ყრილობაზე გენტში წინადადება მისცა ბორინაჟის კოოპერატივებს გადასდოს 1000 ვირვ. სტერლინგი გაფიცულთათვის** დახმარების გასაწევად. საერთაშორისო მუშათა დახმარების საფრანგეთის სექციამ დაადგინა მოაწყოს პა-დე-კალეში თავშესაფარი ბორინაჟის გაფიცულ მუშათა ბავშვებისათვის.

გვადელუპა

დროშის გადაცემა

მოსკოვი 20 სექტ. კავშირთა სახლში შაქრის მრეწველობის გემოკვების და მიწა-ტყის მოსკოვის კავშირებმა ზეიმით გადასცეს დროშები კუნძულ გვადელუპის და საფრანგეთის ყველა კოლონიების მშრომელებს.

დროშები მიიღო საფრანგეთის დელეგაციის წევრმა კომინტერნის 5 კონგრესზე ლიონემ—კუნძულ გვადელუპის ზანგმა, რომელმაც აღნიშნა, **რომ კოლონიების ქალაქებში დაგროვილია უდიდესი რევოლიუციონური ძალა, რომელიც ჩქარა ამოქმედდება.**

შაქრის მრეწველობის მუშათა კავშირის ცეკას სახელით სიტყვა წარმოსთქვა ლუგოვოიმ, რომელმაც განაცხადა: **„ჩვენ ხელს ვუწოდებთ გვადელუპის შაქრის მრეწველობის მუშებს და აღუთქვამთ მათ ყოველგვარ დახმარებას“.**

მიწა-ტყის კავშირის მუშების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ჟაროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ **დროშის გადაცემით რუსეთის მუშები მოუწოდებენ კუნძულ გვადელუპის მშრომელებს კლასთა ბრძოლის და საერთაშორისო სოლიდარობის შეგნებისაკენ.**

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად

საქ. კომპარტიის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

მიმდინარე წლის ოქტომბრის 15-ს მოწვეული იქნება **რემედასს-ის** სრულიად საქართველოს კონფერენცია გასული წლის მუშაობის ჯამის გასაკეთებლად. თქვენ კარგად გესმით ის დიადი ამოცანები, რომელსაც ისახავს რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება **(რემედასს).**

რემედასსი მიზნად ისახავს მატერიალურ და მორალურ დახმარების აღმოჩენას კაპიტალის ტყვეობაში მყოფ მებრძოლ რევოლიუციონერებისათვის. თავის მუშაობის პროცესში **რემედასსი** ხელს უწყობს და აღვივებს საერთაშორისო კლასობრივ სოლიდარობის გრძნობას მშრომელთა ფართო მასებში. რევოლიუციის მებრძოლთათვის კონკრეტულ მატერიალურ დახმარების მაგალითებით **რემედასსი** ანივთარებს მშრომელ მასებში რევოლიუციონურ სულს და შეჰყავს ისინი საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის სფეროში, ზრდის მათ და ამზადებს კლასობრივი მტრისთვის—ბურჟუაზიისათვის უკანასკნელი საბოლოო მახვილის ჩასაცემად.

ამიტომაც, ამხანაგებო, თქვენი ვალია ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი **რემედასსის** მუშაობას თქვენს რაიონში და მიიღოთ აქტიური მონაწილეობა **რემედასსის** სამაზრო კონფერენციების გატარებაში, სადაც წაკითხულ უნდა იქნეს სპეციალური მოხსენებანი. მოხსენებაში ფართოდ უნდა იქნეს ახსნილ-განმარტებული დამსწრეთათვის **რემედასსის** მიზანი და ამოცანები. გაშუქებული უნდა იქნეს შავი და თეთრი ტერორის მხეცობა და დამსწრეთ უნდა მოუწოდოთ კაპიტალის ტყვეობაში მყოფ ამხანაგებისათვის ფართო მატერიალურ და მორალურ დახმარების აღმოჩენისაკენ.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი
კოსტანიანი.
ცეკას სააგიტ. საპროპაგანდო განყ.
გამგე **ამირაგოვი.**

„რემედას“-ის სამაზრო რწმუნებულებს

ძვირფასო ამხანაგებო!

„რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილების ერთი წლის მუშაობის დაფასება-გადასასინჯავათ. აგრეთვე მომავალი მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად და გასაფართოებლათ, რემედასს-ის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოიწვიოს სამაზრო განყოფილებების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციის დღეთ დანიშნულია 15 ოქტომბერი და შესდგება ქალ. თბილისში.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. სრულიად საქართველოს განყოფილების ანგარიში.
2. მოხსენება ადგილებიდან.
3. რემადასს-ის ამოცანები.
4. მომავალი მუშაობის გეგმა.
5. წესდების დამტკიცება.
6. რემედას-ის ბეჭედითი გამოცემანი.
7. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.

სრულიად საქართველოს კონფერენციის წინ უნდა შესდგეს სამაზრო კონფერენციები, რომელზედაც სამაზრო განყოფილება გააკეთებს მოკლე მიმოხილვას თავის მუშაობის შესახებ, შეიმუშავებს მომავალ მუშაობის გეგმას და სათანადო მასალას სრულიად საქ. კონფერენციაზე წარმოსადგენათ, აირჩევს განყოფ. გამგეობას, სარევიზიო კომისიას და სხ. აირჩევს წარმომადგენლებს კონფერენციისათვის შემდეგი წესით—ყოველ 300 წევრზე ერთი წარმომადგენელი. სამაზრო კონფერენციების დღე და რიცხვი აუცილებლად უნდა გვაცნობოთ წინ და წინ, რომ საშუალება გვექნეს გამოვაგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი კონფერენციაზე დასასწრებლად.

ამხანაგებო, ეცადეთ რომ ამ ყრილობებს ექნეს ფრიად საქმიანი ხასიათი, მიიღეთ ზომები, რომ იგი მეტად ნაყოფიერი იქნეს, მოგვცეს ჩვენი მუშაობის პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხებზე სრული და გარკვეული პასუხი და დადგენილებანი, აგრეთვე შეძლებისდაგვარად მკაფიოთ გაითვალისწინოს მომავალი მუშაობის მიმართულება და შეიმუშაოს მისთვის საჭირო დირექტივები.

ჯერ-ჯერობით კი საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ სრულიად საქართველოს განყოფილებას ვერ მოსდის დამაკმაყოფილებელი ცნობები სამაზრო განყოფილებების მუშაობის შესახებ.

ამხანაგებო, ჯერ კიდევ საკმაო დროა კონფერენციამდე, გააცხოველეთ მუშაობა, მოიზიდეთ რემედასსის რიგებში მშრომელი მასის ფართო წრეები. ჩააბით ის აქტიურ მუშაობაში მუშები, გლეხები, ახალგაზრდობა და ქალები. გააღვიძეთ მათში და განავითარეთ გრძნობა საერთაშორისო კლასიურ სოლიდარობისა. ეცადეთ, რომ თვითეულმა ოქვენგანმა მისცეს კონფერენციას რაც შეიძლება მეტი და შინაარსიანი მასალა.

კონფერენციების ჩატარების დროს საჭიროა აქტიურად დაუკავშირდეთ პარტიულ კომიტეტებს და ფართოდ ისარგებლოთ მათი დახმარებით.

კონფერენციაზე ჩამოსული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ სრულიად საქართველოს რემედასს-ის ბინაზე—რუსთაველის პრ. № 22.

კონფერენციის დელეგატებს მიეცემათ თბილისში ბინა და სასმელ-საჭმელი. ადგილობრივი განყოფილებები კი ვალდებული არიან უზრუნველჰყონ თავის წარმომადგენლები გზის ფულით თბილისამდე და უკან.

სრ. საქ. განყოფილების გამგეობის
თავმჯდომარე **ა. გეგეჭკორი.**
„რემედასს“-ის ც. კ. რწმუნებული
საქართველოში **ა. კვირიკაძე.**

ცირკულიარულად

საქართველოს კომპარტიის ყველა სამაზ: და საოლქო კომიტეტებს.

სერიოზული მუშაობის დაწყება მასწავლებელთა შორის და ამ უკანასკნელის ჩაბმა ქვეყნის კულტურულ აღმშენებლობის საქმეში, პარტიის მე-13 ყრილობის მიერ ჩვენი პირველი რიგის ამოცანების რიცხვშია მოქცეული.

ამ ამოცანების პრაქტიკულათ განხორციელების მიზნით საჭიროა იმ მუშაობის გამოცდილების აღრიცხვა და განზოგადოება, რომელიც წარმოებული იყო ადგილებზე 1924—25 წლის კამპანიისათვის.

ამის გამო, საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება გთხოვთ გამოგზავნოთ მასალები, რომლებშიაც დაწვრილებით აღნიშნული უნდა იყოს:

1) ზამთარში მასწავლებლობის შორის წარმოებული მუშაობის შედეგები და ის, თუ როგორ იყო დაყენებული ეს მუშაობა, ამასთანავე მასწავლებლობის მონაწილეობა ადგილებზე პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობაში და აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ, საბჭოთა კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში.

2) გადამზადების საზაფხულო კამპანიის მსვლელობა და შედეგები;

3) მომავალი წლისათვის შემუშავებული გეგმა, მე-13 პარტიული ყრილობის დადგენილებათა განსახორციელებლათ.

მასალები გამოგზავნილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა (ამასთანავე მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის, რომ ჩვენ ვემზადებით მასწავლებელთა ყრილობისათვის), შემდეგში ეს საკითხები დაწვრილებით გაშუქებული უნდა იქნეს ანგარიშებში.

კომუნისტური სალამით საქ. კომპარტიის ცეკას სააგ.-საპრ. განყოფ. გამგე **ამირაგოვი.**

რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი. 20 ენკ. დღეს გაიხსნა რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას პლენუმი. კომკავშირის ცეკას მდივნის ამხ. ცეტლინის მოხსენების შემდეგ ამხ. კამენევმა გააკეთა ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

ამხ. კამენევის მოხსენება

მოსკოვი, 20 ენკ. შეეხო რა საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას, ამხ. კამენევმა განაცხადა, რომ **შინაურ პოლიტიკის ცენტრალურ საკითხათ ითვლება ამჟამად დამოკიდებულება გლეხობასთან და ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა.** პირველ საკითხში უდიდეს როლს თამაშობს მოსავალი. მოსავალი დაახლოვებით ისეთივეა, როგორიც იყო შარშან. მოუსავლიანობა გადაჭარბებულად იყო შეფასებული. **ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ნაწილობრივ მოუსავლიანობასთან.** პარტიამ მიაღწია იმას, რომ შემოდგომის ნათესი წელს უფრო მეტია, ვიდრე შარშან.

გაზაფხულის თესვას დასჭირდება 22 მილიონ ფუთზე მეტი. მოწყობილი იქნება საზოგადოებრივი სამუშაოები, გლეხობისათვის სესხის მისაცემად გადადებულია 8 მილიონ მანეთი, ამდენივე გადაიდო მოუსავლიან რაიონების ბავშთა დასახმარებლად.

შარშან ძალით უნდა მოგვეახლოვებია ერთმანეთისათვის „მაკრატლის“ პირები. ეხლა კი ვხედავთ წინააღმდეგს. ფასები გაიზარდენ ორჯერ. პურის ფასების აწევა ნიშნავს ყველა საქონელზე ფასების მომატებას, მაშასადამე, ხელფასის და სახელმწიფო ხარჯების გადიდებას. ამას უნდა ვებრძოლოთ თვით გლეხების ინტერესებისათვის. ჩვენ უნდა დავეპატრონოთ პურის ბაზარს, რათა 400 მილ. ფ. პური მოვაგროვოთ სახელმწიფოს ხელში და არ ავსწიოთ პურის ფასები, ჩვენ უნდა გვქონდეს საშუალება, რომელმაც უნდა აიძულოს გლეხობა, გაჰყიდოს პური ზომიერ ფასებში, მიუხედავად მოთხოვნილებისა. ასეთ საშუალებას წარმოადგენს გადასახადის აკრეფა.

შეეხო რა მრეწველობის საკითხებს, ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ **მიუხედავად მოუსავლიანობისა, ჩვენი მრეწველობა კი არ მცირდება, ჯამედ კიდევ უფრო ფართოვდება.** მოთხოვნილება მუდმივად იზრდება, ამის შედეგია საქონლის უქონლობა.

დღევანდლამდის ამოცანად ითვლება ფასების შემდეგი დაკლება, საქონლის დაახლოვება მომხმარებელთან, შუამავლების განდევნა და დაბალი საფეხურის კოოპერაციის განმტკიცება. ამისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების აწევა, ამ მიმართულებით უკვე ტარდება კამპანია.

ყველაზე ცუდად [illegible] ლითონის მრეწველობის საქმე. ლითონის მრეწველობა იძლევა მხოლოდ ომამდელ [illegible] პროდუქციის 20—25 პროცენტს. თუ ჩვენ მივიღებთ სესხს, მას ჩვენ მოვახმართ [illegible] ლითონის მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას.

პურის ფასების პოლიტიკას წინააღმდეგობას გაუწევს უკმაყოფილო კულაკობა; მასთან მოუხდება ბრძოლა პირველ რიგში კომკავშირს, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს სოფელში. შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში კომკავშირს დათმობილი აქვს აგრეთვე დიდი როლი. ახალგაზრდა მუშათა თაობა უცქერის მეურნეობას, როგორც თავის საკუთარ საქმეს, დაინტერესებულია წარმოებით, ეძებს გზებს, რომლითაც შეიძლება პროდუქტების დაახლოვება მომხმარებელ გლეხობასთან.

ჩვენ ვდგევართ განვითარების გზაზე. არსებობს მთელი რიგი დაბრკოლებათა, რაც აიხსნება გლეხობის კლასიურად დაყოფით, კულაკობის და კერძო კაპიტალის აქტივობის გაძლიერებით. ამას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ პროლეტარიატის აქტივობის გაძლიერება. **მე-13 ყრილობის შემდეგ პარტია გახდა უფრო მტკიცე და დისციპლინის მქონე. გამარჯვების მეორე ფაქტორად ითვლება პარტიაში ახალ წევრების მიღება, რომლის საშუალებით ჩვენ დაკავშირებული ვართ მუშათა მასებთან. ეჭვი არ მეპარება ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში.**

ყველანი სალიკვიდაციო სკოლისაკენ

ამხ. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საერთოდ ქვეყნის კულტურულ აღორძინების საქმეს და კერძოდ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას.

როგორც უკვე ვიცით საბჭოთა ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისთვის მოხდეს სრული ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობის. ეს ათი წლის თავი უკვე მოახლოვებულია, სულ რაღაც სამი წელი დაგვრჩა.

ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს შევასრულოთ დიდებული მასწავლებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის ანდერძი.

ქ. თბილისის აღმასკომის პოლიტგანათლების განყოფილებამ უკვე შეიმუშავა გეგმა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა ქ. თბილისში და მის მაზრაში.

1924|25 სამოსწავლო წელში უნდა გაიხსნას ქ. თბილისში 200 სალიკვიდაციო პუნქტი 6000 წერა-კითხვის უცოდინარისათვის და 35 სკოლა წერა-კითხვის მცირე მცოდნეთათვის. თბილისის მაზრაში კი 333 სალიკვიდაციო პუნქტი 10,000 წერა-კითხვის უცოდინარისათვის და 15 სკოლა მცირე მცოდნეთათვის.

ეს სკოლები უნდა მოეწყოს ყოველი მიზეზის გარეშე 1-დან 10 ოქტომბრამდე.

მიღების პირობები და წესები შემდეგია: სწავლის ვადა ლიქპუნქტებში არის მაქსიმუმი 4 თვე, მცირე მცოდნეთა სკოლაში კი 6 თვე. ორივე სახის სკოლაში მიიღებიან 18—40 წლამდე. პირველ რიგში მიიღებიან კომპარტიის წევრები და კანდიდატები, კომკავშირის წევრები და მათი ოჯახები, წვეულადები, („დოპრიზივნიკი“) პროფკავშირის წევრები, თვითმშრომელთა კავშირის წევრები, უმუშევრები, გლეხები და დანარჩენ მცხოვრებთა მშრომელი ნაწილი. მიღება დაიწყება 20 სექტემბრიდან. მთელი ქალაქი დაყოფილია 13 პუნქტად, ეს არის ეგრედწოდებული შესაკრები პუნქტები. ამ პუნქტებში იწარმოებს წინასწარი მიღება, აქედან მოწაფენი გადაყვანილ იქნებიან სკოლებში იმის მიხედვით, თუ რომელი რაიონის მოწაფეობა აღმოჩნდება აღრიცხული.

ამხანაგებო, დროა გავფანტოთ სიბნელე, მოვიშოროთ უვიცობა და სიბეჩავე.

განახლებულ ცხოვრებას ესაჭიროება შეგნებული მოქალაქენი.

ყველამ უნდა ახსოვდეს, რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ყველაზედ უსაშინელესი მტერი ეს შეუგნებლობა, უვიცობა და სიბნელეში ყოფნაა.

ძირს სიბნელე, უვიცობა, გაუმარჯოს სწავლას, ცოდნას და სინათლეს მაშ ისწრაფეთ ამხანაგებო სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლებისაკენ!

თბილისის პოლიტგანი.

ა. გეგეჭკორი

კიდევ მენშევიკების ავანტიურაზე

გათავდა, ისტორიას ჩაბარდა კიდევ ერთი ბოროტი საქმე ყვითელი ინტერნაციონალის გმირებისა. მუშის ჩაქუჩმა და გლეხის ცელმა სამს დღეში დაამსხვრიეს ის, რასაც დიდი ამბით ამზადებდენ მთელი სამი წლის განმავლობაში ანდრონიკაშვილ-ჯავახიშვილ-ჩხენკელები და ძმანი მათნი, ერთი ღონიერი დაკვრით გაჰფანტეს „სახელოვანი მხედრობა“ ამ შარა-გზის ავაზაკებისა, ოპერეტულ გარიბალდებისა, საქართველოს არამკითხე „მხსნელებისა“ და „განმათავისუფლებლებისა“. მწარე კვნესით აავსესა მათმა უაზრო ავანტიურამ ჩვენი პატარა ქვეყანა. წყევლა-კრულვას უთვლის ყველა იმათ, ვინც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ჩააგდო ქვეყანა.

სამ წელიწად-ნახევარი სცხოვრობს საბჭოთა მფარველობის ქვეშ მუშურ-გლეხური საქართველო, მთელს თვისს ძალღონეს იკრებს იმპერიალისტურ [illegible] და მენშევიკურ ბატონობის შედეგებისაგან თავის დასაღწევად.

სამ წელიწად-ნახევარი სამოქალაქო მშვიდობიანობისა, გამუდმებულ თავდადებულ შრომისა მშრომელთა საკეთილდღეოდ—და ერთბაშად ზურგში ნამდვილი მახვილის ჩაცემა, ერის მშვიდობიან შემოქმედება თავდასხმა, ნამდვილი შუადღისას შარაგზაზე ავაზაკური თავდასხმა, ცრემლები და სისხლი იქ, სადაც გაჩაღებული იყო შემოქმედებითი საქმიანობა.

ძალა-უფლების ხელის ჩაგდების სურვილით ყოველივე გონიერების და პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვამ მენშევიკებმა მოინდომეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან დავის გადაჭრა იარაღით, საფრანგეთის ფრანგების წყალობით შეკრებილ ბანდიტების ბრბოების დახმარებით დაკარგულ ძალაუფლების დაბრუნება. რაღაა მაშ გასაკვირალი, რომ მათ ჩამოშორდენ არა მარტო ფართო მშრომელი მასები, არამედ ის წრეებიც კი, ვისაც არავითარი საფუძველი არა აქვთ კმაყოფილნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობით.

მაგალითად, სამეგრელოში, სადაც მე პირადათ მომიხდა ბანდიტების საწინააღმდეგო ოპერაციების ხელმძღვანელობა, ორივე მაზრაში, სენაკისაში და ზუგდიდისაში, იარაღით ხელში გამოვიდა სულ 750 ბანდიტი, აქედან 50 პროც. თავად-აზნაურობა, 50 პროც. ჩარჩ-წურბელები, ყოფილი ავაზაკები, ხუცები, ქურდები და სხვა „საპატიო“ ელემენტები—ეს იმ დროს, როდესაც ორივე მაზრაში 23.000 სულამდე მარტო თავად-აზნაურობა სცხოვრობს. უფრო ყურადსაღებ დასტურ სასაცილო ფაქტებს ჰქონდა ადგილი ბანდიტების მიერ ახალსენაკის და დუშეთის ხელში ჩაგდების დროს, როდესაც მათ გამასწორებელ სახლების კარები გააღეს: ნამდვილმა ბოროტ-მოქმედებმაც კი არ მოისურვეს მათ მიერ „ბოძებულ“ თავისუფლებით სარგებლობა, გადაჭრით უარი სთქვეს გაჰყოლოდნენ „ხელობით“ „მომეთ“, რომლებიც მათ თავისუფლებისაკენ მოუწოდებდენ. დუშეთში, მაგალითად, ამის მსურველი მხოლოდ ორი აღმოჩნდა, ესენიც შემდეგში თვითვე დანებდენ მთავრობას. ყაჩაღებმა და ცხენის ქურდებმა მეტი ტაქტი და პოლიტიკური კეთილგონიერება გამოიჩინეს, ვიდრე ძალაუფლების ხელში ჩაგდების ქინით შეპყრობილმა სოციალ-გამყიდველებმა.

მაგრამ ისიც არ შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელებს თვით მაინცადამაინც ძალიან სწამდათ მათ მიერ დაწყებული საქმის კეთილად დაბოლოვება. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის, რაც მოხდა ბანდიტების მიერ ახალსენაკის ხელში ჩაგდების დროს.

„გამარჯვებულებს“ ჯერ არც-კი მოესწროთ „აღებულ“ ქალაქში „დამკვიდრება“, რომ ისინი უკვე წაკიდნენ, ვერ გაიყვეს „მინისტრების“ ადგილები: ნაციონალ-დემოკრატები მედუქნეებისაგან, ხუცებისაგან და ცხენის ქურდებისაგან შემდგარ „ლაშქრით“ ზურგ-გამაგრებულნი (ესენი „აღებულ“ სენაკში უფრო მრავლად აღმოჩნდენ, ვიდრე მენშევიკების მომდევარნი)—მოითხოვდენ „პორტფელების“ შესაფერისად დიდ რიცხვს, მენშევიკებიც არ უთმობდენ და თავიანთ უფლებას ძველის მოგონებებით ასაბუთებდენ. დავა, ალბად, გადაუწყვეტელი დარჩებოდა, საქმეში რომ არ ჩარეულიყო მენშევიკების ბელადი ესართია და თვის „ბრძნული“ რჩევით წაკიდებული მოკავშირენი არ დაეშოშმინებია:

— აბა რა გაქვთ საჩხუბარიო, ეს ხომ კარგად ვიცით, რომ „მინისტრის სავარძლებში“ დიდხანს არავინ დაგვსვამს. საჭირო იყო მხოლოდ „ხმაურობა“, „განგაში“, მთელი ევროპის გასაგონად. ჩვენც ავხმაურდით, ვიგანგაშეთ და განა სულ ერთი არ არის, ჩვენგან ვის ხელში იქნება ძალა-უფლებაო?

აჯანყების „ლიდერების“ ასეთივე განცხადებებს ადგილი ჰქონდა, ჩვენი ამხანაგების გადმოცემით გურიაშიც.

ერთის სიტყვით, საჭირო იყო „ხმაურობა, განგაში“—„ივანგაშეს“ კიდეც „უმაწვილებმა“—და როდესაც მხოლოდ ხმაურობა და განგაშია საჭირო, განა სულ ერთი არ არის, რითი და რანაირათ იხმაურებ-იგანგაშებ, ოღონდ ხმაურობა იყოს ძლიერი, დამაყრუებელი. ამისდაკვალად, „ლაშქარიც“ შესაფერისად იყო შერჩეული, „მოხმაურე-მიგანგაშე“... მართლაც და, არა გნებავთ დასტკბეთ „ეროვნულ განთავისუფლების გმირთა“ სიით, თუნდაც სენაკის და ზუგდიდის მაზრებში?

ინებეთ უფრო „თვალსაჩინო“ „ნიმუშები“:

1. **თედორე ესართია**—საალფონსო საქმეების ზედმიწევნით მცოდნე, მაღალი ხარისხის „სპეცი“, რომელმაც „ყოფა უტირა“ არა ერთი და ორი თავისი მამმერთებელი მშვენიერი არსებას, გაფლანგა მათი „გროშები“ და ვისი წყალობით მისი „მამმერთებელის“ ჭკუაზე შეცდომაც ახსოვს „ისტორიას“.

ბონჯი თოფურია—ავაზაკი და დაქირავებული მკვლელი, შემდეგში მენშევიკების ჯალათი—საგანგებო რაზმელ ი. მ-ს ხელი არ ეკანკალებია, როდესაც საკუთარი ხელით დასწვა ცეცხლზე ცოცხალ-მკვდარი ივანოვი და მარდალეიშვილი.

3. **ძმები შალვა და კაკო კალანდარიშვილები**, ვინც თავის დროზე გასცეს მთელი თავისი ორგანიზაცია. ეხლა კი „სახალხო მოძრაობის“ მეთაური „გმირები“ ბრძანდებიან.

ჯონჯი დადიანი—უგანათლებულეს თავად მინგრელსკების პირდაპირი ჩამომავალი, არასოდეს არავითარი საქმე არ უკეთებია, „ლუკმასა შოულობდა, რითაც შეეძლო“.

5. **დ. მჭეიძე**—ბანქოს მოთამაშე, მოქეიფე.

6. **პ. მახხულია**—ძველ და ახალ სამეგრელოში ყველაზე უფრო გამოჩენილი, პირდაპირ ცხენის უბადლო ქურდი.

7. **სულაპერიძე, ხორავა და სხვა**, მახხულიაზე ნაკლებ „განთქმული“ ცხენის ქურდობის „სპეცები“, მაგრამ მაინც რამდენჯერმე სამართალ ქვეშ ყოფილნი ამ „სახელოვან საქმისათვის“.

8. **მამია ანჯაფარიძე**—მენშევიკების დროს წალენჯიხის ეკლესიის გამძარცველი, ამ ჟამად ერთერთ მათ „ბელადთაგანი“.

9. **ქაჯაია**—დევნილი ყაჩაღი. მისს ფორმულიარში „აღრიცხულია“ არა ერთი და ორი ცეცხლის წაკიდება, კაცის კვლა, ქურდობა და სხვა.

10. **ძგაბავა**—მის „სულსაც“ არა ერთი ყაჩაღობა, ცეცხლის წაკიდება და ქურდობა „ამძიმებს“, მოკლული ჰყავს ანგარების ნიადაგზე არც მეტი და არც ნაკლები, შვიდი კაცი.

11. **შელია**—იმავე დარგში დიდად სახელგანთქმული „სპეცი“.

12. **ალექსანდრე ქავთარაძე**—წარსულში მისი „პატრიოტული“ საქმიანობა იმაში გამოიხატა, რომ მან საქართველოს „თავდადებულმა მამულიშვილმა“, დენიკინის ლაშქრის კონტრდამზვერავ ნაწილში მოსამსახურემ, გასცა თერგის ოლქში თვრამეტი ქართველი რევოლიუციონერი. ყველა ესენი, შავი სახადით ავადმყოფნი, მხეცურად დახვრიტეს გენერალ დენიკინის ჯალათებმა—იმ. გენერალ დენიკინისა, ვინც მაინცდამაინც ნაზ გრძნობებს არ ატარებდა „ტურფა“ საქართველოს მიმართაც.

შემდეგ ამ „პატრიოტმა“ ზუგდიდის ხაზინა გაძარცვა, ახლა კი „საპატიო“ ადგილი უჭირავს „ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ“ მოძრაობის ბელადთა შორის.

და განა გასაკვირველია, რომ სადაც კი „დამკვიდრდებოდა“ მეფის დროის „პაგონებით“ და საფრანგეთის ლაშქრის უნტერ-ოფიცრის ზიზილ-პიპილებით შემკულ, მათით მოამაყე, „პატრიოტების“ და „სოციალისტების“ ხელქვეით „ქრისტეს მოყვარე მხედრობა“—ყველგან ასეთ ადგილებში ეს „მხედრობა“ თავის უაღრესად პატრიოტულს და ზედმიწევნით სოციალისტურ საქმიანობას გამოხატავდა ეკლესიის ზარების გუგუნ ქვეშ მემამულე და მევახშეთა საკუთრების აღდგენაში, მოსახლეობის აუტანელ ხარკებით დაბეგვრაში, კოოპერატივების გაძარცვაში, ხოლო ერთ პირადად ჩემთვის ცნობილ შემთხვევაში—მდინარე აბაშაზე—ხალხის ნაშრომ გროშებით ასაგებ ელექტრონის სადგურისთვის საჭირო დინამიტის, ფისტონების და სხვა საჭირო მასალის წმინდად-ჰეროსტრატესებურად განადგურებაში.

რა აქვს საერთო, გეკითხებით, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას რომელსაც ისე მაგრა ეკოწიწებიან ეს არამზადები მათ მიერ გაცემულ ბრძანებასთან—ნიკოლოზის ფულის სავალდებულო ხმარების შესახებ, ან კიდევ უფრო უკეთესი, ვანდალიზმის უდიდეს აქტთან მარქსის, ენგელსის და შოთა რუსთაველის ძეგლების დამსხვრევასთან?

რა აქვს და რა უნდა ჰქონდეს საერთო ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ისეთს პროფესიონალ-ბანდიტს და გამცემელს, როგორც ალექსანდრე ქავთარაძეა?

რა „ხოტბა-შესასხმელნი“ ბრძანდებიან ბ. ბ. „სოციალისტები“ და „ნაციონალისტები“, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობას სოციალიზმის და ქართულ კულტურის ემბლემების დამსხვრევით იწყებენ!

რა მოსაწონია „უცხოელთა ოკუპაციის“ პროტესტანტებისაგან მოუთმენელი მოლოდინი აფრიკელ ჯარების საოკუპაციო დესანტებისა და დასავლეთის ყველა მინისტრის დერეფანში მათხოვრულად ხეტიალი ასეთი დესანტით უცხოელთა ოკუპაციის ღრეჯა მუდარასათვის.

მაგრამ რის აფრიკელი ჯარები. ჩვენს „პატრიოტებს“ სულაც არა ჰქონდათ რა საწინააღმდეგო თუნდაც ვრანგელის დესანტისა, სიხარულით ულოცავდენ ერთმანეთს, რომ „თვით ბრწყინვალე ბარონი გადმობრძანდა“ თავის ბრწყინვალე „ქრისტეს მოყვარე მხედრობით“ ანაკლიაში, ფოთში, სოხუმში...

რაი მერე, თუ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურებად თავზე ხელაღებული ბანდიტები და პატენტ-მიღებული „ალფონსები“ გამოდგებიან; რატომ არ უნდა ერგოს „საქართველოს განთავისუფლების“ სამსახური „ინოროდცების“ ისეთ „ერთგულ მეგობრის“ და დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმის ისეთის „გამოცდილს მებრძოლს“, როგორიც ბრძანდება „განუყოფელ“ რუსეთის აღმადგენელი, ორთავიან არწივის რაინდი?

თუ კი „ცნობილ“ № 5 „ბრძანების“ მე-4 მუხლის ძალით „ციხეებიდან განთავისუფლებულ ყველა სისხლის სამართლის დამნაშავეებს“ „თავისუფლება ეძლეოდათ“ „წესიერების დაცვის და ახალ მთავრობის მორჩილებისათვის“,—რატომ არ არის ამავ „პატივის“ ღირსი ყირიმის ყოფილი „გმირი“?

და ყველა ამის შემდეგ „გვიან გონს მოსულ“ პარიტეტულ კომიტეტის წევრებს კიდევ უკვირთ, რომ მშრომელთა ფართო მასები მათ არ გაჰყვნენ, რომ მათ „ხელთ შერჩათ“ მხოლოდ (ესართია მახხულიას ტიპის)“ აქტიური ძალები, რომლებიც ერის ზედაფენებში იყო შეგროვილი და უმეტეს წილად ტყეებში გახიზნული“ და რომ მათი გამოსვლა „გადაიქცა ავანტიურად“. რათ უკვირთ მათ ყველა ეს? განა საქართველოში სადაც არასოდეს, საშუალო საუკუნოებშიაც-კი, ებრაელების მთელი დედამიწის ზურგზე დარბევის დროს არ ჰქონია ადგილი ამ ყველგან დევნილ ერის შევიწროებას, და თვით გამოცდილ ჟანდარმების ყოველგვარ ცდას სულ მცირე ექსცესიც-კი არ მოჰკოლია,—ნუ თუ აქ შეიძლება ვინმე აჰყოლოდა ან აჰყვეს ჩვენ სოციალ-პატრიოტების მიერ წამოსროლილს ლოზუნგს „ძირს ურიობა, გაუმარჯოს ქრისტიანობას“? განა მთლად ჭკუა გამოელია ჩვენს გლეხს, რომ მან კვლავ მოინდომოს თავის კისერზე იმ უღლის დადგმა, რომელიც მას სამი წელიწადია რაც მოშორებული აქვს? ცოტა ცრემლი დააღვრევინეს და ცოტა მწუხარება მიაყენეს, განა, მას ამ მოვარაყებულ „აპოლეტიანმა გმირებმა“, რომ მათი სამარცხვინო „საქმეების“ დაჩრდილვა შეეძლოს დღეს მათ შემამოკლებელ წარწერას „ეროვნულ განთავისუფლების“ (ქაჯაია—ესართია—მახხულიების ამ მორიგ ხელობას) შესახებ? ან რას ნიშნავს ამ გმირთა პროპაგანდა, მათი „მაღალი“ სიტყვები „დემოკრატიის“ და „ეროვნულ თავისუფლების“ შესახებ მათ საქმეებთან, სოციალიზმის და ეროვნულ კულტურის დამტვრეულ-დამსხვრეულ ემბლემებთან შედარებით (კ. მარქსის და შოთა რუსთაველის ძეგლები)?

ცხადია, ასეთს ხალხს და ასეთს ლოზუნგებს არ შეიძლებოდა გაჰყოლოდა არა მარტო ფართო მშრომელი მასები, არამედ ცოტაოდნად რიგიანი, თავისი თავის პატივისმცემელი ელემენტები. და მართლაც, როგორც ნათქვამია, ავანტიურისტებმა ვერ აიყოლიეს თვით თავად-აზნაურობის ორი პროცენტიც კი და აბა ვინ უნდა იყოს არსებულ წესწყობილებით თავად-აზნაურობაზე მეტად უკმაყოფილო?

ესევე უნდა ითქვას ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილზედაც.

აღსანიშნავია, რომ მეამბოხეებში თითქმის არ გარეულან სოფლის მასწავლებლები.

მიუმატეთ ამას გამოსვლა ქართულ კულტურის მუშაკთა, ქართულ პროფესორებისა. მათ საყოველთაოდ მთელი ქვეყნის წინაშე დაჰგმეს, სამარცხვინო ავანტიურა უწოდეს თავზე ხელაღებულ სოციალ-ბანდიტების გამოსვლას.

მაგრამ, როგორც ნათქვამია, თვით მოძრაობის მეთაურთა იმედი არა ჰქონდათ, რომ მათ ბევრი ვინმე გაჰყვებოდა და მათი ბატონობა დიდ ხანს გასტანდა. დესანტების შესახებ და სხვა ამ გვარ ლაპარაკს აზრადა ჰქონდა გულუბრყვილო ხალხის გაბრიყვება, ამ ჭორების გამავრცელებელთ კი თვით ყველაზე ნაკლებ სჯეროდათ მათ მიერ გახმაურებული ამბები. სხვა არაფრით აიხსნება ბოროტმოქმედებისათვის ფრიად დამახასიათებელი თვისება: ფოტოგრაფიულ სურათების გადაღების ქინით—შეპყრობილობა, ისინი ყოველ წუთს, ყველგან, ყველა პირობებში სურათებს იღებდენ, ასე არ იქცევა ის, ვისაც ხანგრძლივ ბატონობის იმედი აქვს. ასე მხოლოდ ის ირჯება, ვისაც ძალა-უფლების ხელში ჩაგდების კომედია და მისი შემდგომი სურათზე გადაღება მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ თუნდ ერთის საათით ხელში ჩაგდებულ ძალა-უფლების შესახებ საბუთი, „დოკუმენტი“ შეინახოს. აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ „დოკუმენტს“, „დამამტკიცებელ საბუთს“, „ხაზინებისაგან“ მიღებულ თანხით შექმნილს, და რომ „ხაზეინების“ არსებობა და მათ მიერ თავის ლაქიებისათვის ბრძანების მიცემა ამ შემთხვევაში მოგონილი ამბავი არ არის, ამას ძალიან მჭერმეტყველურად ამტკიცებენ ის ახლად მოჭრილი ოქროს ფრანკები, რომლებიც ჯიბეში უხრიალებდენ ჩეკას მიერ შიო-მღვიმის მონასტერში შეპყრობილ „ღვთის-მოსავ უფროს ნოქრებს“.

მათ, ამ „ნოქრებს“ რა ენაღვლებათ, რომ მათ „ხაზეინების“ მორიგ გეგმის კეთილსინიდისიერად შესრულებას თან მოჰყვა აუარებელი ცრემლის და სისხლის ღვრა, მათ აწუხებს მწუხარება და წყევლა-კრულვა, რომელსაც მათ უძღვნიან მათგან სტატისტებად და ბუტაფორიად გამოყენებული ხალხის გაუბედურებული ოჯახები.

რა ენაღვლებათ მათ, თუ ხალხი—ნამდვილი მშრომელი მასები და არა ფოტოგრაფიულ აპარატის წინ სურათის გადასაღებად თავმოყრილი ხალხი—, მათი სისხლით ნაშოვნ ოქტომბრის მონაპოვართა წართმევის განზრახვით აღშფოთებული, ემუქრებათ, თუ ეს ხალხის სტიქიონი მტყუანთან ერთად მართალსაც აღარ ინდობს და საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდება დიდი შრომის გაწევა ამ სტიქიონის დასამშვიდებლად და იმ „ნაფოტების“ გადასარჩენად, რომლებიც „სცვივიან“ მხოლოდ იმიტომ, რომ „ხე მიაჭრეს“—მოსჭრეს სწორეთ იმათ, ვინც საფრანგეთის ფრანკების და „ტყეებში გახიზნულ“ ბრბოების საშუალებით ჰფიქრობდა დაკარგულ ძალა-უფლების აღდგენას.

ეს უნდა ახსოვდეთ, პირველ ყოვლისა, იმათ, ვისი მახლობლების ძვლებზე და სისხლზე ააშენეს თავიანთი ბოროტი განზრახვა მეორე ინტერნაციონალის ბანდიტებმა, ისინი არასოდეს არ აპატიებენ სისხლის მსმელებს მათ შეუწყნარებელ დანაშაულს.

მახლობელთა ახლად გათხრილი საფლავები, ქვრივ-ოხლები მუდამ გაახსენებენ მათ უმაგალითო ბოროტმოქმედებაზე, რომელიც ჩაიდინეს ერის წინაშე მისი სახელით მოვაჭრე მეამბოხეებმა. ხოლო საქართველოს მშრომელთა მასებმა და მისმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინონ წარსული საბედისწერო დღეების მაგალითი, ჯეროვანი ანგარიში გაუწიონ მის გაკვეთილს და ნამდვილ დამნაშავეთა სასტიკად დასჯასთან ერთად მოახერხონ საკმარისი სულგრძელობის გამოჩენა იმათ მიმართ, ვინც მოტყუებით იყო ჩარეული დამღუპველ ავანტიურაში.

ივანე გომართელის
განცხადება
წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ „კომუნისტი"-ს მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს.

რევოლიუცია წარმოადგენს უდიდეს ასპარეზს ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის მისი ნიჭისა, მომზადებისა, უნარიანობისა, ძალ-ღონისა, სიმტკიცისა და საქმიანობის გამოსაცდელად.

მენშევიკური პარტია და მთავრობა სასტიკად და კატასტროფიულად დამარცხდენ ამ ასპარეზზე.

ამის გამო 1921 წელს მე გამოვედი პარტიიდან და მას შემდეგ სრულებით შევწყვიტე მასთან ყოველგვარი დამოკიდებულება.

იმავე დღიდან უარვყავი ყოველგვარი მოქმედება და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების წინააღმდეგ, რადგანაც კარგად მქონდა გათვალისწინებული, რომ ამგვარი ბრძოლა იქნებოდა დამღუპველი ქართველი ერისათვის.

გარდახვეწილმა მთავრობამ უცხოეთში გადიტანა თავისი მოღვაწეობა და რა წარმოშვა სამწელიწად ნახევარი მუშაობის შემდეგ?

უგუნური, წარმოუდგენელი ავანტიურა და საშინელი გაწირვა მთელი ერისა...

ჩემთვის აშკარაა, მაგრამ მე მინდა, რომ ყველასათვის ცხადი იყოს ახლა მაინც შემდეგი:

ერთად ერთი გზა ჩვენი ხალხის წინმსვლელობისა, წარმატებისა და კეთილდღეობისა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ჩვენი ერის ყველა კულტურული ძალები, ყოველი შეგნებული ქართველი გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად და თანხმობით იმუშაოს და იმოქმედოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ექიმი ივ. გომართელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ვესალმებით და ვიზიარებთ ყველა დებულებებს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა დეკლარაციისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტი"-ს № 204.

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **სერგო დანელია.**
სახელმწ. უნივერ. მუშფაკის ლექტორი **დიმიტრი მგელაძე.**

მენშევიკ-ბანდიტების გამოსვლა გურიაში

იდეურად გაკოტრებულმა და განდიტებულმა მენშევიკურმა პარტიამ ერთხელ კიდევ მოსინჯა ნიადაგი გურიის მშრომელ გლეხკაცობაში, ერთხელ კიდევ განიზრახა საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება და შოვინისტური სამფეროვანი დროშის აფრიალება. მან მოაწყო საშინელი და საზიზღარი ავანტიურა. ამ ავანტიურაში ბანდიტები და „კუზიანი" მენშევიკები ძალდატანებითა და მოტყუილებით შეეცადენ თვით მშრომელი ხალხის ჩათრევას, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს.

ერთ დროს მენშევიკური პარტია გურიაში მასიურ პარტიათ ითვლებოდა. მე მახსოვს ეს 1917 წელში 7000 წევრს სთვლიდა ის თავის რიგებში. ვინ გინდათ, რომ არ შედიოდა ამ პარტიაში: გლეხობას გარდა მღვდელი, ვაჭარი, თავადი, აზნაური, ქურდები, ლოთები, ბანქოს მოთამაშენი და სხვა მრავალი საეჭვო და საზოგადოების მავნე ელემენტები. ვისთვის იქნება საკვირველი, რომ ასეთი ჭრელი შემადგენლობით შევსებული რიგები არ გაირყვნებოდა, არ გაიხრწნებოდა და არ დაკარგავდა მარქსისტულ გზას. ეს ასეც მოხდა.

მენშევიკურმა პარტიამ ფერი იცვალა, მან კარგა ხანია ზურგი აქცია მუშათა კლასს და დაეშვა შოვინიზმისა და გარყვნილ ბურჟუაზიულ წუმპეში. მან ბურუსში გაახვია კლასიური ბრძოლის შემეცნება და დროებით მაინც საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხკაცობის ნაწილი გახადა ევროპის ბურჟუაზიისა და ადგილობრივი მემამულეების სათამაშოთ და უბრალო მაჩანჩალად.

მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა. ძლევამოსილმა კომუნისტურმა პარტიამ მენშევიკების მიერ ფეხქვეშ გათელილი მარქსიზმის წითელი დროშა მაღლა ასწია და გადაარჩინა ის მენშევიზმისაგან სამარადისოთ წაბილწვას. ჩვენმა პარტიამ შესძლო მუშათა კლასისა და გლეხკაცობის ჩამოშორება ამ გადაგვარებულ პარტიისაგან.

მენშევიკებს გურიაში გლეხობიდან მხოლოდ კულაკური ელემენტები შერჩათ: ეს ის პირებია, რომლებსაც ნორმაზე მეტი მიწა აღმოაჩნდათ, რაც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა და მით ისინი შეურაცხყოფილნი დარჩნენ. ამათ მიუმატოთ საკურთხზე მონადირე სამღვდელოება, თავად-აზნაურობა, ვაჭრები, ქურდები, და ყველა ის ელემენტები, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ.

ასე, ამნაირად ჩვენ მივიღეთ იმ სოციალური მდგომარეობის ხალხი, რომელსაც გურული გლეხკაცობა 1905 წელში ტერორითა და ბოიკოტით უმასპინძლდებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ არამზადებს 1905 წ. ტოლმაჩოვი, კრილოვი და ჯაფარიძეები ხელმძღვანელობდა და ეხლა კი ბატონი ნ. ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი და სხ. ეს „შეურაცყოფილნი" და შურით გაბოროტებული პირები.

აი სწორედ ეს ხროვა თავის ავანგარდის—ბანდიტების მეთაურობით ქურდულათ თავს დაესხა გურიაში საბჭოთა ორგანოებს და მოინდომა ძალა-უფლების ხელში აღება...

28 აგვისტოს საღ. 6 საათზე სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა იყო, სადაც ირჩეოდა გზების, ხიდებისა და სკოლების საჭირბოროტო საკითხები. სწორედ ამ სხდომაზედ პოლიტ-ბიუროს უფროსმა ამხ. მკურნალმა შემოიტანა გაუხსნელი შრიფტი. სხდომა შესწყდა და მე და ამხ. მკურნალი გავეშურეთ პოლიტ-ბიუროში შრიფტის გასახსნელად. მთელი ორი საათი ვიწვალეთ, მაგრამ შრიფტის გახსნა არ იქნა აღმოჩნდა აუარებელი შეცდომები, იძულებული გავხდით შრიფტი შესამოწმებლად უკანვე დაგვებრუნებია. შემოწმებას სამი საათი დააგვიანდა. ერთი საათი გახსნას მოვუნდით. უკვე ღამის 12 საათია. გავიგეთ მენშევიკ-ბანდიტების მზაკვრული და მოღალატური გამოსვლების შესახებ. ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ორი საათია...

მივარდით ტელეფონის აპარატთან, გვინდა სასწრაფოდ რაიონებს ვაცნობოთ, მაგრამ ამაოთ. ბახვის ფოსტა, რომელიც ყველა რაიონებთან გვაკავშირებს ბანდიტების მიერ დაკავებული აღმოჩნდა. ნატანების ხაზიც უკვე დაზიანებულია. კავშირი აღარსად არის. დავამზადეთ რაიონებისათვის წერილობითი დირექტივები. გამოვაწყვეთ ცხენოსანი მილიციონერები და გავგზავნეთ აღნიშნულ დირექტივებით რაიონებში. ამასთან გამოწვეულ იქნა ქალაქის ამხანაგები იარაღით ხელში. ესკადრონი ფეხზე დავაყენეთ.

უკვე ღამის ორი საათია. ვილაცამ მოურიდებლად აღასკომის კარები სწრაფათ შემოაღო. ეს არის ბახველი ამხ. შავიშვილი. გულგაღეღილი, ტალახში მოსვრილი, თოფით ხელში. „ამხანაგებო! ბანდიტები ბახვში მძინარე კომუნარებს უკვე ანიარაღებენ, მეც შემომესიენ, მაგრამ გამოვსხლტი ხელიდან". სულმოუთმენლად ამბობს ამხანაგი **შავიშვილი.** ეს უკვე ფაქტია, გვიან მიღებული ცნობა გამართლდა...

გაგვახსენდა ჩვენი ჭალარა ბელადი ამხ. ფილიპე, რომელიც ს. გომში იყო. სასწრაფოთ გამოვაწყვეთ 7 ცხენოსანი სამაზრო მილიციის უფროსის ხელმძღვანელობით, რომლებმაც გზაში ორ ადგილას გაარღვია ბანდიტების რკალი და შესძლო მისვლა ამხ. ფილიპესთან, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. ამხ. ფილიპემ მოიცვალა ბინა ზემო გომში. გომისა და ფატარის იაჩეიკა დარჩა განუიარაღებელი, რომლებმაც ამ 7 ცხენოსანთან ერთად გაამაგრეს ეს კუთხე და თან იცავდენ ამხ. ფილიპეს ბინას.

ჩვენი გაგზავნილი მილიციონერები დირექტივებით უკანვე დაბრუნდენ. ბანდიტებს უკვე გზა გაეკრათ და გასვლა ყოვლად შეუძლებელი დარჩა. ერთ ადგილას შეტაკებაც მოუხდათ მტრის მზვერავებთან, მაგრამ უმსხვერპლოთ. ამ რიგად რაიაღმასკომებს ცნობა ველარ მივაწოდეთ. ეხლა ჩვენი ამოცანაა სამაზრო ქალაქის დაცვა.

გათენდა. ფიცხლავ ვაფრინეთ კომკავშირის წევრი ს. ჯუმათსა და სირაულში განუიარაღებელი ამხანაგების გამოსაწვევათ. პატარა რევოლიუციონერმა ბარათი დანიშნულებისამებრ მიიტანა, რის შედეგათ დილის ორ საათზე ჯუმათ-სილაურიდან მივიღეთ 120 შეიარაღებული კომუნარი. ამავე დღეს დილის 8 საათზე ქალაქში უკვე შემოვიდა ჩვენი ჯავშნოსანი მატარებელი. დილის 7 საათზე მილიციის უფროსის თანაშემწის ამხ. გოგვაძისა და ესკადრონის უფროსის ხელმძღვანელობით 25 ცხენოსანმა შეუტია ს. შემოქმედის მიმართულებით. იქ მოკლულ იქნა 5 ბანდიტი-მენშევიკი და განთავისუფლდენ ბანდიტების მიერ დატყვევებული კომუნარები. 29-ს ღამით აღნიშნული ძალებით ქალაქი გავამაგრეთ.

მეორე დღეს ბათომის კომუნარებმა უკვე გასწმინდეს სუფსისა და ნატანების რაიონები და ერთმა ნაწილმა ამხანაგ ცხომელიძისა და რამიშვილის ხელმძღვანელობით შემოუერთდენ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს.

შაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე გადავედით შეტევაზე. ბანდიტები და მათ მიერ დატყვევებულნი თავზარდაცემულნი უგზო-უკლოთ გარბიან. კვირას, დილით მე, ამხ. თენგიზ ჟღენტი და ამხ. გიშენკო წავედით ამხ. ფილიპეს ჩამოსაყვანათ, მაგრამ იქ ჩვენ მხოლოდ ამხ. ნინა ვნახეთ შვილებით. ამხ. ფილიპე კი ამ დროს უკვე მიუღია ჩვენს მოძმე აჭარას და მოხსენებას აკეთებს ქ. ბათომის მუშებში. მეორე დღეს ჩვენი ჭალარა ოზურგეთს ესტუმრა. მის დანახვაზე ჩვენი ამხანაგები უძლეველ გმირებათ გადაიქცენ. სწარმოებს ბრძოლა. სამაზრო აღმასკომი სამხედრო შტაბათ იქცა. ბანდიტები, მღვდლები და ვაჭრები გარბიან, ჩვენები კი ფეხდაფეხ მიზდევენ. სერიოზული შეტაკება ს. ცხემლის ხიდზე დ. ს. ხიდისთავში იყო, მაგრამ ბანდიტების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

2 სექტემბერს ღამით ბანდიტთა და თავად-აზნაურთა ხროვამ ბანდიტ მათითაიშვილისა და მუხაშავრიას ხელმძღვანელობით უკანასკნელი პუნქტი დ. ჩოხატაური დასტოვეს და კუდამოძუებულნი მიაშურეს სურების მთებს, სადაც მათი ხროვა სრულიად დაიშალა და ჩვენებს ჩაბარდა. ჩოხატაურში ჩვენებმა გაანთავისუფლეს ბანდიტების მიერ დატყვევებულნი კომუნარები და უპარტიო მშრომელი გლეხები.

რაიონებს შორის თავი ისახელა ლანჩხუთისა, საჭამიასერისა და ნაწილობრივ ჩოხატაურის რაიონმა. ლანჩხუთში სასტიკი ბრძოლა იყო. მტერმა მხოლოდ სადგური და ფოსტა დაიჭირა. მთელი ღამის განმავლობაში ბანდიტები უტევდენ, მაგრამ ჩვენმა მილიციამ და კომუნარებმა მტერი საბჭოთა დაწესებულებებს ახლოს არ მიაკარეს. 29-ს გათენებისას ფოსტა და სადგურიც დაატოვებინა და ეს ლაჩრები ნიგოითის ქედებზე გადარეკა. ამნაირად გურიის ერთ ერთი დიდი რაიონის აღება მტერმა ვერ შესძლო. აქ მან სასტიკად დაიმტვრია ცხვირპირი გმირი კომუნარების მუშტებზე.

საჭამიასერის რაიონმა ორი თემის: საჭამიასერისა და კოხნარის კომუნარები არ იყვნენ განიარაღებულნი. ბანდიტებმა მხოლოთ ზემოხეთის კომუნარების განიარაღება მოასწრეს. განუიარაღებელმა კომუნარებმა რიცხვით 50 კაცმა საჯევახოს მიმართულება გაამაგრა და ქართული სამხედრო სკოლის კურსანტების დახმარებით მთელი რაიონი გასწმინდა და ჩოხატაურს შემოუერთდა. ჩოხატაურის რაიონმა კა შეინარჩუნა 50 კომუნარი, რომლებმაც ამხ. ვ. როინიშვილის, ს. კეკელიძის და მილიციის უფროსის თალაკვაძის ხელმძღვანელობით გაამაგრეს ჩოხატაურის აღმოსავლეთი მხარე და მტრის უკანასკნელ დამარცხებამდე შესძლეს ბანდიტთა ხროვის მოგერიება.

დანარჩენი რაიონის ამხანაგებიც ვინც განიარაღებას გადარჩა გმირულად იბრძოდენ. უნდა ავღნიშნოთ, რომ გურიის კომუნარებიდან 90 პროც. თავი ისახელა გადამწყვეტ მომენტში თავგანწირული ბრძოლით. ახალგაზრდა ლენინელების თავგანწირვა და ჩვენი მილიციის გმირული თავდადება საწინდარია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და გამაგრებისა.

ვაჭარ-მღვდელ-ბანდიტებისა და შურით გაბოროტებულ მენშევიკების დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკის კომუნარებმა და აჭარის ფუხარა ხალხმა. აჭარა როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა და მზათ იყო ბრძოლისათვის. მან როგორც სალი კლდე რკალი შემოარტყა ბახმაროსა და ზოდიმერიის ხაზს და ავანტიურისტებს ანიარაღებდა და უგზავნიდა აჭარისტანის სახკომ საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თ. ხიმშიაშვილს, რომლის გულწრფელობამ და ორგანიზატორულმა ნიჭმა მჭიდროთ დაუკავშირა საბჭოთა აჭარისტანი საბჭოთა საქართველოს.

ავანტიურისტები სასტიკად დამარცხდენ. მათმა სამარცხვინო და საზიზღარმა გამოსვლამ ჩვენი ხელისუფლება და პარტორგანიზაციები კიდევ უფრო გაამაგრა და სამუდამოთ განამტკიცა. გურიის მშრომელმა გლეხკაცობამ სამუდამოდ იცნო ვინ არის მისი მტერი და მისი მოყვარე. ჩვენმა ორგანიზაციამ კი ჩინებულად ჩააბარა გამოცდა. ეს ავანტიურა მომაკვდავი მენშევიზმის უკანასკნელი ამოხვნეშა იყო. მან უკვე თავისივე ხელით დაიისამარა საკუთარი გახრწნილი ლეში. ჩვენი ვალია მიწა კარგად მივაყაროთ და ლოდები დავადოთ, რომ გახრწნილ მენშევიზმის უსიამოვნო და საძაგელი სუნი აღარ ეცეს მშრომელ გლეხკაცობას.

თ. დოლიძე.

ანტი-საბჭოთა გამოსვლები საქართველოში
(ყოფილ მენშევიკების შეფასება)

I

ყველამ ვიცით, რა მოხდა ამ სამი კვირის წინად საქართველოში: საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოხდა რაღაც გამოსვლებისმაგვარი; გამოსვლებს ჰქონდა წმინდა ბანდიტური ხასიათი და მოწყობილი იყო ანტისაბჭოთა პარტიების მიერ: მენშევიკების, ნაც.-დემოკრატების და მემარჯვენე-ფედერალისტების.

რა იყო გამოსვლების მიზანი?

აშკარაა—ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

როგორი საშუალება იყო დასახული?

ფართო მასების მოძრაობაში ჩაბმა.

ვილაპარაკოთ როგორც მიზანზე, ისე საშუალებაზე.

ალბად დასახელებული პარტიები ფიქრობდენ, რომ არსებული ძალა-უფლება ვერ აძლევს ხალხს იმას, რაც მისთვის საჭიროა, ვერ აკმაყოფილებს ერის ფართო წრეებს—ამიტომ ის უნდა წავიდეს და მის ადგილას დამწუნებელნი უნდა ჩადგენ.

მერე ეს მართლა ასეა? ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა მთავრობა გლეხებისა და მუშების ინტერესებს?

ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია, აბსოლიუტური არაფერი არ არის. ასე უნდა შევხედოთ არსებულ ხელისუფლების მუშაობასაც ხალხის ინტერესების დაცვის დროს. **გადაჭრით და გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ არსებულ ობიექტიურ პირობებში ვერც ერთი პარტია ვერ მისცემს ხალხს იმაზე მეტს, რასაც აძლევს კომუნისტური პარტია, კიდევ მეტი: სხვა პარტიები ვერც ამას შესძლებენ.**

ობიექტიური პირობები-თქო, ვსთქვი. ჩვენ, მარქსისტები უპირველეს ყოვლისა ამას ვაქცევთ ყურადღებას და არა იმას, თუ რა უფრო სასიამოვნოა. რა უფრო მოგვწონს, სასურველი ბევრი რამ არის, მაგრამ საქმე ამაშია, თუ რამდენად შესაძლებელია ამ სასურველის დამყარება არსებულ სინამდვილესთან შეფარდებით.

ნიკოლოზის რეჟიმი დაემხო. იმ დროს იყო იაფი ჩითი და პური. დაუკვირვებელ მოქალაქეს ასე ჰგონია: საკმაოა ნიკოლოზი ადგეს და მაშინვე დამყარდეს ძველებური იაფობა.

ამაზე უტვინო მსჯელობა წარმოუდგენელია. ეს არის ისტორიული კანონების არ ცოდნა და ბავშური თვალსაზრისი.

თვითეული ჩვენთაგანი ერთ დროს ბავში იყო, მერე შუაკაცი გახდა, ბოლოს დავბერდებით და დავიხოცებით.

ასე მოსდის როგორც ცალკე არსებას, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციასაც: თვითმპყრობელობა ერთ დროს, ისტორიის ერთ საფეხურზე ძალიან მაგარი და „ცხოვრებასთან შეფარდებული რეჟიმი" იყო. მაგრამ მასაც უწია სიბერემ და დაიღუპა სამუდამოდ.

დამხობილი რეჟიმის ნანგრევებზე გამაგრდა ძველ ფარგლებში შექმნილი ახალი საზოგადოებრივი ძალა—პროლეტარიატი და გლეხობა, რომელსაც წინაპარმა დაუტოვა: ცარიელი ხაზინა, აუარებელი ვალი და აწიოკებული ქვეყანა.

ნიკოლოზის რეჟიმი მსოფლიო ომის ზარბაზნების გრიალში დაიღუპა მთელი ქვეყნის ქონება განადგურებული იყო, მეფობდა საშინელი სიძვირე, სიკვდილი და გალატაკება და ამ დროს მართვა-გამგეობას ხელში იგდებს „ახალი თაობა".

რა დახვდა მას? არაფერი. რას ითხოვს მისგან შეუგნებელი ხალხი? ყველაფერს. მერე ეს კანონიერია? ეს იმას ნიშნავს, რომ მე, შორით მოსულ ღატაკს გალატაკებულმა „წინაპარმა" გახვრეტილი გროშიც კი არ დამიტოვეს, ხოლო ჩემი შვილები კი მწვდენ ყელში: გინდა თუ არა მოგვეცი ან შენი ან „ძველების" ქონება.

ბავშვს ეს ეპატიება, მოზრდილს კი არა.

დიდ უბედურებათა შემდეგ ძველი რუსეთის ნანგრევებზე აღიმართა საბჭოთა მთავრობის წითელი დროშა: გატყავებულ და გავერანებულ „მემკვიდრეობას" თავს დაუდგა ახალი მემკვიდრე და განა მას შეუძლია ყველაფერი დააკმაყოფილოს?

სახელმწიფო ორგანიზაცია შენდება არა წლობით, არამედ ათ და ოც წლობით. ცხოვრების გაუმჯობესება ხდება ნელა და თანდათან. ნიკოლოზის რეჟიმი 300 წელიწადს არსებობდა, საბჭოთა წესწყობილება კი 7 წელიწადია მუშაობს. რა გასაკვირია, რომ ეს ახლად შექმნილი რეჟიმი ყველაფერში არ იყოს დაკმაყოფილებული (ამით მე, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ მინდა, რომ ძველი რეჟიმი დამაკმაყოფილებელი იყო). განა კომუნისტური პარტია ამბობს, რომ მე ყველაფერში უცოდველი ვარ და ქვეყნად სამოთხე დავამყარეო? ასეთი სისულელე მას არასოდეს არ უთქვამს. პირიქით—ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიძახის: ესა და ეს გვაკლია და შევიძინოთო.

ჩვენ კი, ვჭირვეულობთ და ვიძახით: მოგვეცით ყველაფერიო. ფეხებით აწმყოში ვდგევართ, მარა ფსიქოლოგია ძველი გვაქვს. საჭიროა ამ ფსიქოლოგიის გადალახვა და იმის შეგნება, რომ ჩვენი მდგომარეობა უცებ არ გაუმჯობესდება. ეს მოხდება ნელ-ნელა და თანდათან, და რომ ეს ასეც ხდებოდა, ამას ყველა ჩვენთაგანი ხედავს: განა წელს ისეთი მდგომარეობაა შარშან რომ იყო? ან შარშან ისეთი იყო მდგომარეობა, როგორც შარშანისწინ?

ან ეგებ სხვა პარტია უფრო მეტს მოგვცემდა? მარჩიელობა არ ვარგა, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც არის და არა იმაზე, რაც შეიძლება ყოფილიყო. ბებია ჩემს რომ წვერები ჰქონოდა, რასაკვირველია, მაშინ ბაბუა იქნებოდა, მაგრამ ასეთი მსჯელობა ხომ სერიოზული არ არის.

უტყუარი დებულებაა, რომ არსებობისათვის ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც ძლიერია და ცხოველმყოფელ ძალას ატარებს. ასეა ბუნებაში და ასეა სოციალურ ცხოვრებაშიც.

სხვა პარტიებთან ჭიდილში გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მხოლოდ ამ პარტიას აღმოაჩნდა ახალი, ცხოვრებისათვის საჭირო ენერგია და ძალა. შეიძლება ეს ფაქტი ვინმემ არ მოიწონოს, მარა ამით ფაქტი არ ისპობა და თუ ფაქტისთვის ფაქტის დაპირისპირება არ შეგიძლია, ფარხმალი უნდა დაჰყარო.** მხოლოდ იდეალისტ ფილოსოფოსს შეეძლო გვერდზე გამდგარიყო და ეთქვა: მით უარესი ფაქტებისათვისო.

როცა არსებულ მდგომარეობას ვითვალისწინებ, ჩემი დასკვნა ასეთია: 1) მარტო კომუნისტური პარტია აღმოჩნდა ძველის ღირსეული მემკვიდრე, მარტო ის შეიქნა ახალის ენერგიით აღსავსე და 2) ამ პარტიის მიერ შექმნილი ძალა-უფლება თანდათან აუმჯობესებს ხალხის ყოფაცხოვრებას და მალე სასურველ დონემდეც აიყვანს, და როცა კაცი ასეთი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიხარ, შეპყრობილი ხარ ორი რამით: **ან პარტიული ჟინიანობით, ან და სრული უვიცობით და სიბნელით.**

საქართველოში მომხდარ გამოსვლებს ჩემის რწმენით სარჩულად ედო ორივე მომენტი: **პარტიული ჟინიანობა შეეცადა შეუგნებელი ელემენტების ამოძრავებას.**

ეს კი უდიდესი და მიუტევებელი დანაშაულია: უვიცი ბრბოს მოტყუილება ყოველთვის შეიძლება, [illegible] ვინ რას ჩაგიდებს პირში. ჩვენ, ქართველები, [illegible] ვართ, ჩვენი [illegible] ჯერ კიდევ პატრიარქალურ-თათქარიძულია და მეთოდიური შრომა ჩვენთვის უცნობია. ერთი რო ვინმემ რაღაც საიმედო ჩაგვჩურჩულოს, მაშინვე დღევანდელ კვერცხს ხელიდან გავაგდებთ და ხვალინდელ ქათამს დავუწყებთ ძებნას; ზეცაში რო ბუზს თვალი მოვკრათ, „არიქა წეროებიო"-წამოვიძახებთ და მყისვე შამფურს დაუწყებთ თლას. თუ წეროს მაგიერ ყვავი შეგვრჩა ხელში, ცოტას გავიბუტებით, შამფურს გვერდზე გადავდებთ, მარა მაინც იმაზე ვოცნებობთ—აბა, როდის დავუწყო ისევ თლაო.

ხშირად სისულელემდის მისული გულუბრყვილობა—აი ჩვენი თვისება. ჩვენ იმას ვუჯერით, ვინც საგისოთ ოქროს ჭისკარს გვპირდება, ხოლო დღეს მოტანილ ხის ჭისკარს ყურადღებასაც კი არ ვაქცევთ.

ვიმეორებ, ასეთი ხალხის მოტყუილება იოლი საქმეა და ვაი იმას, ვინც ამაზე ამყარებს თავის სამოქმედო პროგრამას.

ანტისაბჭოთა პარტიებმა საქართველოში თავისივე ხელით გამოიჭრეს ყელები და სამარის ქვაც თავისივე ხელით დაიდეს, ისინი სამუდამოდ დასამარდენ ყველას თვალში, ეს აშკარაზე აშკარაა.

როგორი გამოდგა მათი საშუალება-მიზნის მისაღწევად ფართო მასების ამოძრავება? სრულიად უნიადაგო: გამოსვლები მოხდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში, აღმოსავლეთ საქართველოს ცოტა გამოკლებით ყურიც კი არ გაუბერტყია.

დასკვნა: შეუსაპამო მიზანი, საშუალების არ ქონებასთან ერთად—ასეთი გამოდგა ამ უდღეური გამოსვლის სახე.

II

გარდა შინაური ძალების ამოქმედებისა ამ გამოსვლების მომწყობთ იმედი ჰქონდათ საზღვარგარეთის დახმარების, ალბად ინგლისის და საფრანგეთის. მოგეხსენებათ, რომ ინგლისში მთავრობა „მუშათა პარტიის" ხელშია, იმ პარტიის, რომლის მეთაურები—მაკდონალდი, შოუ და სხვები „დემოკრატიული" საქართველოს მეგობრები არიან. საფრანგეთის მთავრობაშიც ერიოს სახით და რენოდელის გარეშე გავლენით ემიგრაციას ერთგვარი მეგობრები ჰყავს.

ალბად ყველა ამათგან ემიგრაციამ მიიღო რაიმე სულელური დაპირება იმ შემთხვევისთვის, თუ ემიგრაცია შესძლებდა საქართველოში აჯანყების მოწყობას, დაპირდებოდნენ ალბად რეალურ ძალას და ფულებს. მერე სად არის ან ერთი, ან მეორე?

ზევით მოგახსენებდით ქართველურ გულუბრყვილობაზე, რომელიც სისულელეს უახლოვდება. ამ შემთხვევაში კი ეს გულუბრყვილობა უსაშინელეს დანაშაულად გადაიქცა, ისეთ დანაშაულად, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიაში ძნელად მოიძებნება.

მაკდონალდი და ერიო თავიანთ ერის ბურჟუაზიის საქმეებს აკეთებენ. მათის რწმენით, ისინი რჩეული ერის შვილებია, ისინი მიზანია, სხვები კი საშუალება. რაც ქვეყანაზე ხდება ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოდ მათის რწმენით, ეს უწმინ-

ედო ფიმმენ
პროფესიონალური მოძრაობა და კაპიტალის საერთაშორისო შემოტევა*)
ექსპერტთა გეგმა. — „გერმანია ის პუნქტია, სადაც ცდილობენ მუშათა ფრონტის გარღვევას"



ე. ფიმმენი

როგორი თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ ექსპერტთა გეგმა და როგორიც არ უნდა იყოს მისი მიღების და შესრულების პოლიტიკური შედეგები,—ერთი რამ აშკარაა, რომ ეკონომიური მხრით მას მივყევართ კაპიტალისტური სისტემის საძირკვლის გამაგრებისაკენ და გერმანიის და საერთაშორისო მუშათა კლასის დაღუპვისაკენ. დაბრმავების და საღი გონების დაკარგვის ნიშანია ის სიხარული და კმაყოფილება, რომლითაც ხვდებიან ექსპერტთა გეგმის და მასში წარმოდგენილ საშუალებას სარეპარაციო საკითხის მოსაგვარებლად. საქმის ნამდვილი მდგომარეობა სულ წინააღმდეგს ლაპარაკობს: მუშათა კლასმა ხელი უნდა შეუშალოს ექსპერტთა გეგმის ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც მიჰყავს ის საბოლოო დაბეჩავებისაკენ. თუ შეუძლებელი გახდა ამ გეგმის უარყოფა,—ეს გამოიწვევს ახალი ხანის დაწყებას საერთაშორისო კაპიტალისტურ სისტემისათვის: ევროპის ახალშენად გადაქცევას, საერთაშორისო ექსპლოატაციის ყველა ქვეყნის მუშებისას, რომელთაც გადააქცევენ ამ ახალშენებში მონებათ.

მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ მიმდინარე კონგრესის მოვალეობაა—პირდაპირ გამოსთქვას თავისი აზრი ექსპერტთა გეგმის ყოველგვარი მიღების ან ამ გეგმაზე დამყარებით სარეპარაციო საკითხის რაიმე მოგვარების წინააღმდეგ.

მე კიდევ უფრო შორს წავალ და განვაცხადებ, ეხლანდელი კონგრესი კარგს იზამდა, თუ აშკარად გამოსთქვამდა თავის აზრს ამ საკითხის შესახებ იმიტომ, რომ ტრანსპორტზე მომუშავე პროლეტარიატის წარმომადგენლებმა ერთხელ და სამუდამოდ უარი სთქვან რაიმე ეგრედ წოდებულ „რეპარაციების" გადახდაზე და რომ ისინი ვერსალის ხელშეკრულებაში ხედავენ მხოლოდ ხაფანგს და ძალმომრეობას. დებულება, რომელიც მოითხოვს, რომ გერმანიამ გადაიხადოს რეპარაციები პრაქტიკულად ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ გერმანიის და მასთან ერთად მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი სავსებით სისხლიდან უნდა დაიცალოს და ჩავარდეს სიღარიბეში. იქნებოდა დიდი პროგრესი, თუ პროფესიონალური მოძრაობა არა თუ ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოიხსნიდა მთელს პასუხისმგებლობას ვერსალის ხელშეკრულებისათვის, არამედ აგრეთვე ხელს აიღებდა ყოველგვარ მონაწილეობაზე მასში,—ე. ი. აღარ იქნებოდა იარაღათ სარეპარაციო გადასახადების სისტემის „მშვიდობიანად" გატარებისათვის.

საერთაშორისო მოძრაობამ თავისს წარსულში ყოველივე ღონე იხმარა იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს მოეხსნა სარეპარაციო საკითხი. ის მრავალჯერ მიუთითებდა ამ საკითხის ისეთი გადაჭრის მიზეზებზე და საშუალებებზე, რომელიც გამოიწვევდა ყველაზე ნაკლებს ეკონომიურ დაბრკოლებას. მაგრამ ახლა უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ გაბატონებულ კლასს და მისს მთავრობებს აინტერესებთ არა „რეპარაციები" თავისთავად, რომ ის განზრახ ამახინჯებს ვერსალის ხელშეკრულებას, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენს გარდა ვალდებულებისა, რომელიც ძალიან მოახვიეს თავზე დამარცხებულებს, რათა გამოიყენონ ის იარაღად ბრძოლაში პროლეტარიატის ცხოვრების და შრომის პირობების გასაუარესებლად.

ამ ბრძოლაში გერმანიაზე განზრახ მიუთითეს, როგორც ისეთ პუნქტზე, სადაც გარღვეული უნდა იქნეს მუშათა საერთაშორისო ფრონტი. მოვიგონოთ ამ შემთხვევის გამო შრომის საერთაშორისო ბიუროს ა.-წ. იანვრის სხდომა, **რომელზედაც საფრანგეთის და გერმანიის მრეწველების დელეგატები მხარს უჭერდენ ერთიმეორეს და ასაბუთებდენ 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებას, როგორც აუცილებელ პირობას სარეპარაციო საკითხის გადასაჭრელად.**

ეს გამოცდილება უნდა აიძულებდეს პროფკავშირებს მოითხოვონ საერთოდ ვერსალის ხელშეკრულების და კერძოდ კი სარეპარაციო ვალდებულებების გაუქმება. მუშათა კლასის ყოველივე სხვაგვარი პოზიცია, ყოველგვარი უპირატესობა ეგრედწოდებულ „სარეპარაციო" პოლიტიკისა ექსპერტთა გეგმის განხორციელების შესახებ იქნებოდა, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო სფეროში, გამუდმივება სამოქალაქო ზავისა ბურჟუაზიასთან.

მე უკვე ვსთქვი, რომ არსებული მდგომარეობის დროს ყოველგვარი „მუშათა მთავრობები" წარმოადგენენ წითელ თუ ვარდისფერ შირმებს, რომლის ზურგით ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ადგენენ თავის გეგმებს, რომლებიც მიმართულია მსოფლიო პროლეტარიატის გაყულეფისა და სამარცხვინო დაბეჩავებისაკენ.

ეს ჩემი განცხადება შეიძლება არ არის სასიამოვნო. მაგრამ აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ სასიამოვნო სიტყვები ვილაპარაკოთ,—აქ ჩვენ უნდა ვსთქვათ ის, რაც შეეფერება სინამდვილეს. თუ კიდევ საბუთი ესაჭიროება ჩემი განცხადების სისწორის დამტკიცებას, ჩემთვის საკმაო იქნებოდა მიმეთითებია ლონდონის კონფერენციაზე, რომელიც სავსებით იმყოფებოდა ინგლისის და ამერიკის ბანკირების დიქტატურის ქვეშ.

ის, რასაც მე ვლაპარაკობ არ არის პესიმიზმი, არ არის ყველაფრის შავად დანახვის სურვილი. რასაც მე ვლაპარაკობ, ეს კიდევ ნაკლებად ჰგავს უიმედო კვნესას. მე გადმოგცემთ ფაქტს, როგორც ის სინამდვილეში არის, ხოლო თუ ჰორიზონტი მოღრუბლულია, ეს რა ჩემი ბრალია.

როგორ შეუძლია მუშათა კლასს აიცდინოს თავიდან არსებული და კიდევ მოსალოდნელი საფრთხეები

მტკიცებაც არ უნდა იმას, რომ პირველ პირობას იმისას, რომ ძლევამოსილი წინააღმდეგობა გაუწიოთ საერთაშორისო და ნაციონალური კაპიტალის შემოტევას იმ მონაპოვარის დარგში, რომლის მიღწევა შესძლეს მუშებმა ეკონომიური და პოლიტიკური მხრით,—წარმოადგენს რაც შეიძლება უფრო ძლიერი ორგანიზაციის შექმნა. ამაზე ბევრი თქმულა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ძალიანი სასარგებლო იქნებოდა იმის სისწორით გამორკვევა, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სიტყვებში: „რაც შეიძლება უფრო ძლიერი ორგანიზაცია". ვერავინ ვერ უარჰყოფს იმას, რომ ეს ძლიერება მიღწეული იქნება არა იმით, რომ რაც შეიძლება მეტი მუშები გავაერთიანოთ პროფკავშირებში, არამედ მით, რომ ეს გაერთიანება დამყარებული იქნეს ისეთ საფუძველზე და იმ ზღვრად, რომ მთელს მუშათა ორგანიზაციას შეეძლოს თავისი ამოცანის შესრულება—თავისი ამხანაგების ინტერესების დაცვა და მუშების შემდეგი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება.

ამის მისაღწევად პირველი პირობა, რომელიც აუცილებლათ უნდა შეასრულოს ჩვენმა ორგანიზაციამ,—ეს არის აშკარად და სინიდისიერათ დადგომა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე; ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით ყოველგვარი კავშირი უნდა გავსწყვიტოთ იმასთან, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობამდე; ინდივიდუალურად და კოლექტიურათ უნდა შევაკავშიროთ მუშები მათი პროფკავშირების საშუალებით როგორც მებრძოლები. მუშებმა უნდა გაიგონ, რომ მათი, როგორც პროფკავშირების წევრების, მოვალეობაა დაკმაყოფილდენ არა მხოლოდ საწევრო გადასახადების შეტანით, კრებებზე დასწრებით და გაზეთების კითხვით, **არამედ მათ უნდა აქციონ თავისი ორგანიზაცია მებრძოლ ორგანიზაციად, მათი მოვალეობაა, რომ თვითვე იქცენ მებრძოლებად, რომლებიც მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის დასამყარებლად.**

მე განგებ ხაზს ვუსვამ ამ პუნქტს, ვინაიდან მე ვხედავ, რომ პროფესიონალურ მოძრაობაში ფეხს იკიდებს ტენდენცია პროფკავშირების მოქმედების სფეროს იმ ზომამდე შეზღუდვისა, რომელიც ახასიათებდა ომამდე არსებულ კავშირების მუშაობას, ე. ი. აქტივობის იმ ზომამდე დაყვანას, რომელიც საკმაო იქნება მხოლოდ იმისთვის, რომ კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში შესაძლებელი იქნეს შრომის პირობების გაუმჯობესება, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს მინდობილი უნდა იქნეთ ყველა იმ საკითხების გადაჭრა, რომელთაც შორეული კავშირი აქვთ პოლიტიკასთან.

ბურბონებს, რესტავრაციის შემდეგ საფრანგეთში, უსაყვედურებდენ იმას, რომ მათ არაფერი დაივიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათო. ვშიშობ რომ ჩვენს მოძრაობაშიაც ბევრია ისეთები, რომელთა შედარება შეიძლებოდა ბურბონებთან მათი უგუნურობის გამო, ვინაიდან მათაც, არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ. ვშიშობ, რომ მათ დაავიწყდათ ყველაფერი ის, თუ რა მოუტანა მუშებს ომის და ომის შემდეგმა წლებმა. ვშიშობ, რომ მათ დაავიწყდათ ბურჟუაზიის ვერაგობა და მუხანათობა. ვშიშობ, რომ მათ დაავიწყდათ მუშათა კლასიის განვლილი და ეხლანდელი ტანჯვა, რომელიც შედეგი იყო წარსულში დაშვებული შეცდომის. ვშიშობ, რომ მათ დაავიწყდათ, რომ პარლამენტარული საშუალებებით არ შეიძლება ხელის შეშლა ომის წარმოშობისათვის. დაბოლოს, ვშიშობ, რომ მათ დაავიწყდათ, რომ ბურჟუაზია ანგარიშს უწევს მხოლოდ მუშათა მოძრაობას მაშინ, როდესაც ის საგრძნობი ხდება პრაქტიკულად. და დაბოლოს, ვშიშობ, მათ ვერ შეისწავლეს და ვერ შეიგნეს, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება არის თვით მუშათა კლასის საქმე, რომ ის არაფერს კარგს, სრულიად არაფერს არ უნდა მოელოდეს ბურჟუაზიისაგან.

რაც შეიძლება უფრო ძლიერი ორგანიზაცია მოითხოვს კიდევ სხვა რამეს.

მისი ძლიერება უნდა იყოს არა მარტო რიცხობრივი, არამედ თვისობრივიც...—ის ღრმად უნდა იყოს გამსჭვალული იმ ამოცანებით, რომელთაც მას უკარნახებს კლასობრივი ბრძოლა. თვით ორგანიზაციის სტრუქტურა და ფორმა მაქსიმალურად უნდა ეგუებოდეს იმ მიზნებს, რომელთაც ისახავს ეს ორგანიზაცია.

ამ მიზნის მისაღწევად მხედველობაში უნდა გვქონდეს აუცილებლად შემდეგი: **რამდენადაც უფრო უმჯობესდება კაპიტალის საერთაშორისო ორგანიზაცია, რამდენადაც ის უფრო აქტიურად გამოდის საერთაშორისო მასშტაბით,—იმდენადვე მუშათა ორგანიზაციებიც უნდა ცდილობდენ საერთაშორისო მტკიცე გაერთიანებას და მზად უნდა იყვნენ კაპიტალზე საერთაშორისო თავდასხმისათვის ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ გამოსვლებს თავ-თავიანთ ქვეყნებში.** მე ვფიქრობ, რომ ჩემი აზრი ამ შემთხვევაში ყველასათვის გასაგებია. ვფიქრობ, რომ მომავალში კლასობრივი ბრძოლის სიმძიმე ნაციონალურ ცენტრალურ ორგანოებიდან გადატანილი იქნება პროფესიონალურ ინტერნაციონალების სეკრეტარიატებზე. შეიძლება ამ თვალსაზრისის მიღება ან უარყოფა, მაგრამ იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ შრომის პირობები ერთი ქვეყნის მრეწველობის ამა თუ იმ დარგში თანდათან უფრო უკავშირდება სხვა ქვეყნების მრეწველობის შესაფერ დარგებს.

ეს კი მოითხოვს, რომ თანდათან განვითარდეს იმის შეგნება, რომ განუყოფელია მუშების საერთაშორისო ინტერესები; მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ პროფესიონალური ინტერნაციონალების სეკრეტარიატები უნდა გახდენ ბრძოლის ყოველმხრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებათ. აქ ზედმეტი იქნებოდა იმის განმარტება, თუ რას ვგულისხმობ მე სიტყვაში: „ყოველმხრივ". მუშების კლასობრივი ბრძოლის ინტერესების გულისათვის მათი მჩაგვრელების წინააღმდეგ აუცილებელია მჭიდრო გაერთიანება და, მაშასადამე, აგრეთვე აუცილებელია სათანადო გზების და საშუალებების გამოძებნა ყველა ნაციონალურ ორგანიზაციების ერთს მთლიან ფედერაციაში შესაკავშირებლად. ეს საჭიროა, რასაკვირველია, არა „სენტიმენტალური" ხასიათის მოტივების გულისათვის, არამედ იმისათვის, რომ ამას მოითხოვს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები და რომ ყველა იმათი გაერთიანების გარეშე, ვისაც მართლაც უნდა მსოფლიო კაპიტალის დამარცხება, ეს ბრძოლა ვერ იქნება წარმოებული აქტიურად და ნაყოფიერი შედეგებით. მაგრამ გადავიდეთ ამ საერთო ხასიათის მსჯელობიდან იმ კონკრეტიულ მიზნებზე, რომლებიც დასახული უნდა ჰქონდეთ ტრანსპორტელების ინტერნაციონალს და მის ხელქვეით ორგანიზაციებს.

არა „ოფიციალური" ლოზუნგი, არამედ შინაგანი რწმენა

მე ვუახლოვდები ჩემი მოხსენების დასასრულს. ჩემი მსჯელობა საერთაშორისო მდგომარეობის და მუშათა კლასის პერსპექტივების შესახებ არ ატარებს ოპტიმისტურ ხასიათს ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ არ დამისურათებია მდგომარეობა იმაზე უფრო შავ ფერადებით, ვინემ ეს სინამდვილეში არის. მაგრამ თუნდაც, რომ ეს ასეც იყოს,—მე ვფიქრობ, რომ უმჯობესია საფრთხის და მოსალოდნელ დაბრკოლებების გადაჭარბებულად შეფასება, ვინემ შეუფასებლობა. მსოფლიო მუშათა კლასი ყოველდღე აძლევს თავისთავს ანგარიშს იმაში, თუ საით მივყევართ დროის შეუფერებელ ოპტიმიზმს და ნაძალადევად თავზე მოხვეულ ნდობას.

მდგომარეობა მაინც სერიოზულია, კაპიტალიზმი იმყოფება თავისს უკანასკნელ სტადიაში, მაგრამ არავინ იცის, რამდენ ხანს იარსებებს ის.

კაპიტალის არაჩვეულებრივი უნარი, რომელსაც ის იჩენს ახალ პირობებთან შეგუებაში, და ყველა კაპიტალისტების მიერ თავიანთი ინტერესების საერთო ხასიათის შეგნება, უნდა მივიღოთ მხედველობაში. მართალია, რომ ნაციონალური კაპიტალისტური ჯგუფები ჯერ კიდევ კონფლიქტში იმყოფებიან ერთმანეთთან. ისინი ცდილობენ ერთმანეთს წააგლიჯონ წარმოების მატერიალური და ცოცხალი იარაღები, მაგრამ ამ კონფლიქტების შემდეგ მაინც ჩამოვარდება ზავი, რომელიც მოხდება მუშათა კლასის ხარჯზე. ჩვენ შეგვიძლია ამისათვის მიუთითოდ რურის კონფლიქტზე—ჩვენ შეგვიძლია მიუთითოთ თვით ექსპერტთა გეგმის არსებობაზე, რომელშიაც სავსებით თავიდან არის აცილებული ყოველივე ის, რაც ზიანს მიაყენებდა გერმანიის კაპიტალს.

აი სწორედ ასეთმა გამოცდილებამ უნდა დაანახვოს პროლეტარიატს, რომ ყველა ეს კონფლიქტები, მოჰყვება მათ თუ არა შეიარაღებული ინტერვენციები,—ყოველთვის სასარგებლოა საერთაშორისო კაპიტალისათვის, და რომ თვით ომიც სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა კომერციული ოპერაციის საშუალებისა, რომლის დროს სამრეწველო აქციების კურსი მაღლა იწევს იმდენად, რამდენადაც მეტი იქნება გაწყლეტილი პროლეტარიატის რიცხვი. უდაოთ იყო დამტკიცებული, რომ თვით ომის დროსაც კი მრეწველები მასალებს აწოდებდენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს, რათა საშუალება მიეცათ

---

*) ამსტერდამის ინტერნაციონალის იმ მიმდინარეობის დასახასიათებლათ, რომლის წარმომადგენელია დღეს მოსკოვში მყოფი ამხ. ედო ფიმმენი, ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის მდივანი,—ჩვენ მოგვყავს აქ ნაწილი მისი მოხსენებისა, რომელიც გააკეთა მან ამ ფედერაციის კონგრესზე აგვისტოში ჰამბურგში.

რ ე დ.

დესი რამ არის. დეე, გაითანგოს გერმანია, ოღონდ კი ბედნიერი იყოს ინგლისელი და ფრანგი. დეე, მუდამ მოუსვენარი იყოს რუმინელი და პოლონელი, ოღონდ კი საფრანგეთს არაფერი მოეწიოს.

საუბედუროთ და ათასჯერ სავალალოდ ჩვენც, ქართველებიც, მათ ხელში მათი კეთილდღეობის მსხვერპლი გავხდით.

როცა ჟორდანიას მთავრობა საზღვარგარეთ გავიდა, მე სულ ამის შიში მქონდა: არ მოტყუვდენ ჩვენები და საერთაშორისო დიპლომატიის ხელში სათამაშოდ არ გახდენ-თქო. მე ვიცოდი, ამ მხრივ პოლონეთის ბედი 1863 წლის აჯანყების შემდეგ და ვიმეორებ დიდი შიში მქონდა, მაგრამ იმითაც ვიიმედებდი თავს, რომ ჩვენები უვიცები არ არიან, ისტორიის მაგალითები იციან და თავს არ მოიტყუილებენ, მით უმეტეს როცა ისეთი „გულწრფელი“ და გამოცდილი მეგობარი პოლიტიკოსები ჰყავთ მრჩევლებად, როგორიც არიან ვანდერველდე, მაკდონალდი, კაუცკი და სხვები-თქო.

მაგრამ მოვტყუვდი, სასტიკად მოვტყუვდი: ჩვენმა ემიგრაციამ სწორეთ ის მოიქმედა, რასაც მისგან არ მოველოდი.

როცა მაკდონალდი საქართველოს ესტუმრა (ვიტყვი იბერულად) „მეშონგიდის“ პიჯაკით, მაშინ კლასის სახელით ლაპარაკობდა. მაგრამ დღეს სამეფო ლივრეებში მორთული ერის ინტერესებიდან გამოდის, ერთნაირად ზრუნავს მდიდარზე და ღარიბზე, თხაზე და მგელზე. რაც გამოვა აქედან, ეს გამოცდილებით ვიცით, მაგრამ საქართველოს ემიგრაცია რომ აქ სასტიკად მოტყუვდა, აშკარაა: „ბრუდთა და მართალთა“ შესახებ ერთნაირად მზრუნველი დაიმეგობრეს და ჩვენი ქვეყანა მათი ინტერესებისათვის ლამის დალუპეს.

მაკდონალდი თავის ერის ბურჟუაზიის სასარგებლოდ შახმატს თამაშობს ეს 6—7 თვე, თამაშობს სრულიად გულგრილად და ანგარიშით, გამოდის მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ინტერესებიდან. ამ თამაშის დროს მისი მთავარი მიზანი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის დასუსტების ხარჯზე გაძლიერება ინგლისი. საშუალებათ ხმარობდა გერმანიას და მერე რუსეთს, ორივეს „მეგობრობდა“ მიზნის მისაღწევად. მრავალის დათმობითა და წაჯექ-უკუჯექობით მიზანს მიაღწია: გერმანიას დოუესის გეგმა მიაღებინა და რუსეთს ერთგვარად შეუთანხმდა. მართალია ყველაფერ ამას ჯერჯერობით გარეგნული დეკლარატიული სახე აქვს, მაგრამ დროებით მდგომარეობა მაინც გაიუმჯობესა.

და რა გასაკვირალია, რომ ამ დროს მას საქართველო არ მოგონებოდა, არ მოგონებოდა ის ქვეყანა, რომელიც მას ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანდა. სასარგებლო რომ ყოფილიყავით, მაშინ სხვა იქნებოდა. ჰუმანიზმი, დაჩაგრული ერები და სხვა ყველაფერი პირზე ეკერებოდა.

მეორე მეშახმატე ახლა საფრანგეთია, მას ცოტა არ იყოს გერმანიის საკითხში ლაგამი ამოსდო მაკდონალდ-იუზმა და ახლა რაც ლონდონში დააკარგვინეს, რუსეთში უნდა აინაზღაუროს. ყოველთვის კარგია სხვისი ხელით ნარის მოგლეჯა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ფრანგული ხიშტის გალაშქრება ძნელი საქმე, ამიტომ საფრანგეთმაც დაუწყო თავის „პეშკებს“ ამოძრავება. უჩუჩხურებს რუმინიას, პოლონეთს. ამ დროს მას ხელში მოხვდა ქართველი ემიგრაცია და მანაც ალბად მსწრაფლ წაატანა ხელი ამ „პეშკასაც“: აჯანყდით და მე დაგეხმარებით. ერრიო საფრანგეთის საქმეს აკეთებს: მოსკოვს ეტყვის—დამითმე ბევრი დე-იურეთ ცნობის დროს, თორემ ხომ ხედავ როგორ მოვაქანებ „პეშკებს“—რუმინეთი, პოლონეთი, საქართველო,—ფრთხილად, თორემ „შახიც“ ჩემი იქნება და „მატიცო“.

ერთის სიტყვით საქართველოში სისხლი და საფრანგეთის კაპიტალისტების ჯიბეში კი რუსეთისაგან ანატყიულები—ე. ი. ისევ ჩვენგან ანაწაპნი ოქროები. აი რას შეუწყო ხელი ქართულმა ემიგრაციამ და რასაც მას არასოდეს არ აპატიებს ისტორია.

ემიგრაცია ალბად ეყრდნობოდა აგრეთვე 2 ინტერნაციონალის ზნეობრივ დახმარებას. საკვირველია! ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა „ხელში ჩაიგდეს“ უდიდესი სახელმწიფო ორგანიზაცია—ინგლისი და მაინც „ზნეობრივი დახმარების“ მეტს ვერავის პირდებიან.

მეორე ინტერნაციონალი არ არის მოქმედების ინტერნაციონალი. დღეს კი სწორეთ ასეთი ორგანიზაციაა პროგრესიული. სოციალიზმის ეპოქაში ეართ, ქვეყანას უნდა განიხლდეს, მაგრამ 2 ინტერნაციონალის გზა ამას ვერ შესძლებს.

მისი საუკეთესო წევრები—მაკდონალდების სახით, სახელმწიფო ცხოვრების რადიკალურად შეცვლის მაგიერ, ერთგულათ მისჯდომიან ბურჟუაზიულ ქვაბს და ქაფქირ მომარჯვებული ქაფს იღებენ. ძველ, დამპალ შინელს აკერებენ, ნაცვლად იმისა, რომ ის ერთიანად გადააგდონ და ახალზე იზრუნონ. ტყუილი ცდაა—ვისაც ახალი ცხოვრების აგება უნდა, ის ახალის გზით უნდა მიდიოდეს. ამ გზას დღეს 3 ინტერნაციონალი ადგია.

როცა 2 ინტერნაციონალის დღევანდელ მოქმედებას ვაკვირდები, მე მაგონდება ევროპის ისტორიიდან ერთი ეპოქა; „განათლებულ აბსოლიუტიზმის“ ხანა. როცა თვითმპყრობელურ რეჟიმებს ევროპაში ძირი გამოუღპა, მაშინდელმა მოაზროვნეებმა—ვოლტერი და სხვებმა მოინდომეს ამ დამპალი რეჟიმის შეკეთებით და შეკოწიწებით გადარჩენა. ამ მიზნით მთელი ყურადღება გადაიტანეს „კარგ მონარქზე“, ნიჭიერ და განათლებულ მმართველზე. უცებ შეიქნა მთელ ევროპაში „განათლებულ მონარქების“ ტიპები: ფრიდრიხ დიდი, ლიუდვიგ 14, ეკატერინე მე-2 და სხვ. მაგრამ განწირული რეჟიმი მაინც ვერაფერმა ვერ დაიხსნა.

ისე მოსდით დღეს ჩვენს მაკდონალდებსაც. მე-2 ინტერნაციონალი იმეორებს „განათლებულ აბსოლიუტიზმის“ ხანას.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ მე ვიყავი მენშევიკური პარტიის წევრი, გასაბჭოების შემდეგ, მართალია, არ მიმუშავნია, მაგრამ ჩემი სიმპატიები მაინც იქეთ იყო: ამ ბოლო ხანებში კი აზრი შევიცვალე სინამდვილის მკაცრი ანალიზის შემდეგ. მოვუწოდებ მენშევიკებს, თუ მისაღებად ჩასთვლიან, გაიზიარონ ჩემი შეხედულობა და დაგმონ ის გზა, რომელზედაც ისინი დღემდის იდგენ.

ვარლამ ხუროძე (ვ. მალაქიაშვილი).
ქუთაისი.

პროფკავშირებში

პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოში

შრომის მუზეუმის შესახებ

პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა შრომის მუზეუმი გადასცეს შრომის კომისარიატს, ხოლო მუზეუმის შესანახი თანხის გამონახვა დაევალოს ამხ. მიქაძეს.

დასასვენებელ სახლების დახურვა

მცხეთის და წაღვერის დასასვენებელი სახლები დაიხურება 1 ნოემბრიდან.

პროფტეხნიკურ კურსების გასაფართოებლად

სამდივნომ დაადგინა: წინადადება მისცეს სატარიფო-საეკონომიო და კულტ-განყოფილებებს, რომ სასწრაფოდ მოიწვიონ კომისიის სხდომა პროფტეხნიკურ კურსების გაფართოების საკითხის გამოსარკვევათ.

საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის პარალელური განყოფილება

სამდივნომ სასურველად სცნო საქ. ცენტრალურ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელთან პარალელური განყოფილების გახსნა.

სიმფონიური კონცერტები—რკინისგზელთათვის

სამდივნომ გადასწყვიტა, რკინისგზელებისთვის მოაწყოს სიმფონიური კონცერტები.

კვების საზოგადოების ობლიგაციები

სამდივნომ შეიძინა მთლიან მუშათა კოოპერატივთან არსებული კვების საზოგადოების მიერ გამოშვებული ობლიგაციების. ობლიგაციების გავრცელება კავშირებს შორის დაევალა საორგანიზაციო განყოფილებას.

პროფმოძრაობის მოძრავი სამკითხველო.

პროფსაბჭომ გადასწყვიტა დააარსოს მოძრავი სამკითხველო პროფმოძრაობის და მუშათა მოძრაობის პოპულიარიზაციის მიზნით.

ქიმიკოსთა კავშირში.

კავშირის ყრილობა.

ქიმიკოსთა კავშირის გამგეობის დადგენილებით ქიმიკოსთა კავშირის მორიგი წლიური ყრილობა მოწვეულ იქნება ა. წ. 25 სექტემბრისთვის.

ზეთის გამომხდელი ტრესტი.

ზეთის გამომხდელი ტრესტი უახლოეს მომავალში დაიწყებს გლიცერინის გამოხდას.

ქარხანა „ქირომასი“.

უახლოეს მომავალში თავის მოქმედებას განაახლებს ქარხანა „ქირომასი“.

ფიზკულტურა.

ქიმიკოსთა კავშირს დაარსებული აქვს ფიზკულტურის სამი წრე. წრეები არსებობს: კარლ მარქსის სახელობის ქარხანასთან, არტილერიის საწყობთა და ბორჯომში.

მუშათა ფაკულტეტებზე.

ქიმიკოსთა კავშირს მუშათა ფაკულტეტზე მომავალ სამოსწავლო წელს დაეთმო 5 ადგილი—2 რუსულზე და 3 ქართულზე. კავშირმა შუამდგომლობა აღძრა კიდევ 4 კაცისათვის ადგილის დათმობის შესახებ.

უმუშევრობა.

კავშირს ამჟამად 115 წევრი ჰყავს უმუშევრად. ეს რიცხვი ქიმიკოსთა კავშირისთვის საგრძნობია. ეს გარემოება ერთი მხრივ იმით აიხსნება, რომ კავშირსწზოგიერთი დაწესებულებები არ ექვემდებარებოდენ დღემდე.

მუშათა ცხოვრება

უძღვნი წითელ ახალგაზრდობას

ახალგაზრდანო, თქვენ გიმღერთ,
თქვენ გეტრფით მოხუცებული;
თმა-წვერით შევერცხლილი ვარ
გულით კი განორჩებული.

თქვენით ვარ მხნე და გულადი,
თქვენი იმედის პირიმე!
განვლილ დროსაგან წამებულს
აწ დამდგომია ლხინი მე.

გიმზერდ და გული ზვიადობს
იმედი არა მტყუნდება.
ძველს ასამარებს ახალი.
დიდიხნის ნატვრა სრულდება.

მტარვალნი კანკალ-ცახცახით
ერთმანეთს ეფარებიან,
ხვრელს დაეძებენ სამალავს,
შავ გველებს ედარებიან.

გველის შხამ-გესლის დანთხევას
ლამობენ ველარც ბედავენ,
სამარე მზად აქვთ, გათხრილი
სიკვდილს თვალითა ხედავენ.

თქვენ იმათ ჯალათები ხართ
ვინც რომ სიმართლის მტერია.
მათ ალსასრული დამდგარა,
მზად არის განაჩენია.

მუშა **შაქრო ნავთლუღელი.**

საქართ. მთლ. სამხკოოპის ხე-ტყის სახერხი ქარხანა

შორიდანვე ისმის მანქანის გამაყრუებელი ხმაური... საუბრისათვის საჭიროა ხმის ძალზე აწევა, რომ რამე გააგონო მოსაუბრეს, თითქმის ყვირილი გიხდება მუდამ. ის მაინც მანქანის ხმაურობას ვერ აღემატება და მაინც ნორმალურ საუბრად გამოდის.

ქარხნის ეზოში ყველაფერი რიგზეა: თავის ადგილზე დაუმუშავებელი მორები სძევს და თავის ადგილზე უკვე დახერხილი მასალა.

წარმოება და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები.

წარმოება ქარხანაში ამ რამოდენიმე ხნის წინეთ უკეთ იყო დაყენებული ვინემ ეხლა. წინათ ქარხანას თვითეული გოჯი ნედლი მასალის დამზადება **უჯდებოდა 26 კაპიკი, ეხლა კი იგი უჯდება 42 კაპიკათ.** ეს აიხსნება იმით, რომ მაშინ ქარხანა თვით აწარმოებდა ხე-ტყის დამზადებას ტყეში. ეხლა ასე აღარ არის; ახალციხის სამაზრო აღმასკომმა გამოაცხადა მონოპოლია მაზე და არავის ნება არ აქვს უიმისოთ გამოიტანოს არც ერთი ხე. ყველამ, ვისაც სჭირდება იგი, უნდა მიმართოს აღმასკომს—შეეკრას მას პირობით. ეს გარემოება კი აბრკოლებს მუშაობას, რადგან პირობები თავის დროზე არ სრულდება. ასე გასინჯეთ, ქარხანას აქვს იქ დამზადებული კიდევ ძველათ თავის ხარჯზე 600 მორი, რომლის გამოტანის ნებასაც კი არ იძლევა აღმასკომი. მუშაობას უფრო გართულება მოელის მტკვრის გადაღობვის გამო ზაჰესისათვის. ამის შემდეგ ტივების ჩამოცურების საქმე მტკვრით შეფერხდება. ერთად ერთი საშუალება ამის შემდეგ. მცხეთაში ტივების დაშლა, კამეჩებით მოტარება, შემდეგ ისევ შეკვრა და თბილისამდე ჩამოტანა ძალზე ძვირი დაჯდება. ამის გამო შესაძლოა მუშაობა სრულიად გაჩერდეს. გლეხები ამბობენ, რომ შეიძლება მოეწყოს ისე, რომ ამ კედელში შეიძლებოდეს ტივის გამოტანა დაუშლელად, რაც არასფერს არ ავნებს ელსადგურს.

დამზადება და რეალიზაცია.

ყოველდღიურად ქარხანა ამზადებს 600 კვადრ. გოჯ მასალას. მისი რეალიზაცია ხდება უმთავრესად სახელმწიფო-საზოგადოებრივ დაწესებულებებზე, რომელნიც სარგებლობენ 10—15 პროც. შეღავათით და სამხედრო დაწესებულებებზე, რომელნიც—სარგებლობდენ 20 პროცენტით. მასალა დაყოფილია ხარისხებად და ფასების კალკულიაციაც ამის მიხედვით ხდება, მაგ. 1-ლ ხარისხის მასალა ღირს 80—90 კაპ. გოჯი, 2-ე ხარისხის—70—75 კაპ. და 3-ე 50—60 კაპიკი. ერთის შეხედვით ამ ფასებს, რომ ვადარებთ დამზადების ღირებულებას დიდ განსხვავებას ვხედავთ, თითქოს კოოპერატიული ორგანო მევახშეობას ეწევა. მაგრამ საქმეს რომ ჩაუკვირდებით აზრი შეიცვლება. ქარხანა არსებობს მხოლოდ და მხოლოდ თავის თანხით და აგრეთვე ამ თანხას უნაწილებს სხვა თავის მოძმე ორგანოებსაც, ასე, რომ სხვაგვარი დახმარება მას არ აქვს. მასალის მიღების დროს არის ასეთი შემთხვევა: მოვიდა მორები, გარედან დიდ იმედებს იძლევა, უსათუოდ პირველი ხარისხის იქნება. გაატარებთ რა მანქანაში აღმოჩნდება, რომ გული სრულიად დამპალი აქვს. ასე რომ ირიცხება მესამე ხარისხად; ეს უკვე ქარხანას აწვება ზარალათ. ასეთი შემთხვევები კი ძალიან ხშირია. ამის გამო ქარხანა იძულებულია დააწესოს ასეთი ფასები. მიუხედავად ამისა მოთხოვნილება მაინც დიდია მასალაზე, ხანდისხან ქარხანა ვერც კი აკმაყოფილებს მას. ქარხანასთან არსებობს პურის საცხობი, რომელიც ყოველდღიურ ამზადებს 200 ფუთ გამომცხვარ პურს; ეს პური საღდება სამხკოოპების საშვალებით. ქარხანას აქვს აგრეთვე საკუთარი სადურგლოც ქარხნისთვის და სხვა სამხედრო კოოპერატიულ ორგანოებისთვის საჭირო საგნების დასამზადებლად. იგი აკეთებს აგრეთვე საფუტკრე სკებსაც დადანბლატის სისტემისას.

მიზანი ქარხნისა

მიზანს ქარხნისას შეადგენს: ერთის მხრივ დაეხმაროს ჯარის ნაწილებს მატერიალურათ, და მეორეს მხრივ გაუწიოს დახმარება ფულით და სხვა. სამხედრო ნაწილებს ე. წ. დეხურულ კოოპერატივებს, რომლებიც არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ საწევრო გადასახადებიდან მოგროვილ თანხებზე, წევრებათ კი ითვლებიან მხოლოდ ჯარისკაცები.

ერთის სიტყვით ქარხანა თავის თანხებით, თვითონაც არსებობს და სხვა ორგანოებსაც ეხმარება.

მუშების მდგომარეობა

თავის თავად ცხადია, თუ წარმოებაში დაბრკოლება აქვს ქარხანას, მუშათა მდგომარეობაც არ იქნება მაინც და მაინც სახარბიელო. ქარხანაში ირიცხება სულ 18 მუშა-მოსამსახურე, მათი საშუალო ხელფასი განისაზღვრება 40 მანეთით.

მუშები ჯამაგირებით კმაყოფილი არ არიან.

— „სხვა ქარხნებში მუშები გაცილებით უფრო მეტს ღებულობენ, ვინემ ჩვენ“—ამბობენ მუშები.

— აი ამხანაგო! მეუბნება ერთი მოხუცი მუშა „მე 20 წელიწადი ვმუშაობ ამ საქმეზე; უწინ ვღებულობდი 70 მანეთს ეხლა კი 54 მანეთს ვღებულობ; სახლში ავადმყოფები მყავს. მართალია მეხმარებიან, როგორც ადმინისტრაცია, ისე დამზღვევი სალარო, მაგრამ აბა რას მიშველის, დიდი ოჯახი მაქვს, მართალია, ასეთი დროა, უნდა მოვითმინოთ, მაგრამ მაინც გული გტკივა კაცს“.

— „ჩვენ ყველაფერში ჩამორჩენილები ვართ, ამბობს ქარხკომის წარმომადგენელი, გვერგება სამ თვეში თითო ურემი შეშა; სხვა ქარხნის მუშები მას წესიერად ღებულობენ; ჩვენ კი მთელი წლის განმავლობაში სულ სამჯერ მივიღეთ; ვიჩივლეთ კავშირში, მაგრამ პასუხი არაფერია ჯერაც“.

კულტურულ-სანიტარული მდგომარეობა

ქარხანაში არიან წერა-კითხვის უცოდინარნი. გაზეთები მოუდისთ, მაგრამ ვინაიდან ზოგმა კითხვა არ იცის ამისათვის იკრიბებიან და ერთერთი მუშა უკითხავთ დანარჩენებს მას ხმამაღლა.

მუშებს სპეც-ტანსაცმელი არ ეძლევათ, თუ აქვს ზოგიერთს ისიც უვარგისია დი ჩეჩობივით იხევა. ადუღებული წყალი და პირისაბანი საპნით და პირსახოცით აქვთ. მუშები არიან წევრები „საჰუმსის“ და „რემედასის“. მუშები მაინც კმაყოფილი არიან ადმინისტრაციით. დამოკიდებულება მათ შორის კარგია, ჯამაგირებს ყოველთვის წესიერათ ღებულობენ.

— „ამ მუშკორების ვერაფერი გამიგია“, ამბობს ერთი მუშა. ჩვენი მდგომარეობის გამოსაკვლევათ ადმინისტრაციასთან მიდიან, აბა რა უნდა უთხრას მას ადმინისტრაციამ ჩვენზე გლახა, ყველაფერს დადებითად გადასცემს; ჩვენ კი ბევრი რამ გვაკლია და გვაწუხებს. ჩვენგან უნდა გებულობდენ ჩვენს ჭირვარამს და არა მათგან“.

მუშები დიდ იმედს ამყარებენ მუშკოოპიდან ნისიათ საქონლის მიღებაზე და კითხულობენ, თუ როდის მიიღებენ მას.

მეც ვაიმედებ, რომ საკითხი გადაწყვეტილია და ამ მოკლე ხანშიც მოეწყობა მისი მოწესრიგება. ყველაფერი რიგზე იქნება. ვალის გასტუმრების დრო 6 თვით არის გადიდებული და საქონელსაც წელს უფრო მეტს მიიღებენ.

მუშების სიხარულს საზღვარი არ აქვს...

ინფორ. ტონკა.

კულტურული მუშაობა წინ მიდის

საქონლის სადგურის ადგილკომთან არსებულ სამხატვრო-სალიტერატურო წრეს შესამჩნევად ეტყობა აყვავება, მის შემდეგ რა დღიდან დატვირთვა-გადმოტვირთვის ბიურომ მასზედ მზრუნველობა აიღო თავის თავზე. ამ წრის მიერ იმართება უფასო წარმოდგენები მუშა-მოსამსახურეთათვის, აგრეთვე ეწყობა ლიტერატურული გასამართლება სხვადასხვა ნაწარმოების გმირების. აი ასეთი მაგალითი იყო 17 სექტემბერს გასამართლება ყაზბეგის გმირის **„ელეონორა“**-ს საღამოს 5 ნახევარ საათზე მემუხრუჰეების აუდიტორიაში. ეს აუდიტორია სავსე იყო მშრომელი ხალხით, მუშა-მოსამსახურეებით. წინეთ თუ მუშას წარმოდგენა არ ჰქონდა ასეთ საქმეებზე და არც კი იცოდა ლიტერატურა რა იყო, ეხლა თვით მუშები აწყობენ ასეთ ლიტერატურულ გასამართლებას და თვითვე ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას.

კრების გახსნის შემდეგ აუდიტორიამ ამოირჩია მსაჯულები თავის წრიდან. მსაჯულებმა მოისმინეს როგორც ბრალმდებლების, ისე დამცველების მსჯელობა ელეონორას ირგვლივ და გამოიტანა განაჩენი: „ელეონორა“-ს მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი.

ინფ. თარო.

ქ. თბილისის შემოსავალ-გასავლის სალაროში.

(საბჭოთა მუშაკების პროფესიონალურ კავშირის საყურადღებოდ).

ამ დღეებში შემოსავალ-გასავლის სალაროში მოხდა თანამშრომლების საზოგადო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ადგილკომის ანგარიში 1 ნახევარ თვის მუშაობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილკომმა იმუშავა სულ თვე ნახევარი მისი მუშაობა იყო ფრიად ნაყოფიერი, როგორც კულტურულ, ისე შრომის დარგებში, რისთვისაც საზოგადო კრებამ მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგილკომის მუშაობა სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად და გადაუხადა მას მადლობა.

კავშირის წარმომადგენელმა ამხ. კალანდაძემ მოითხოვა ადგილკომი. ხელ-ახალი არჩევნები. ახალ ადგილკომში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. გაგიევი, ვართანოვი, პოპოვი, ადელხანოვი და მაჭავარიანი. ამასთანავე თანამშრომლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნად კავშირის მიერ დამტკიცებულ ყოფილიყო ამხ. გაგიევი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველ ადგილკომის მუშაობაში.

ყველა თანამშრომლები კმაყოფილნი არიან ადგილკომის ასეთი შემადგენლობით. ვთხოვთ პროფკავშირს ამხ. გაგიევი დარჩეს ჩვენთან პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობაზე.

მუშკორი **მხილველი.**

გაფრთხილებას ანგარიშს არ უწევენ.

(მე-10 სამილიციო უბნის სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ.)

განათლების მუშაკთა კავშირს აქვს თავის წევრებისათვის მე-18 საბჭოთა სახლი, რომელიც მდებარეობს კირ[illegible]ვს ქ. № 18. ამ სახლში გარდა განათლების მუშაკთა კავშირის წევრებისა, ცხოვრობენ აგრეთვე სხვა კავშირის წევრებიც. სახლი სამსართულიანია. ზედა სართულში ზოგიერთ მცხოვრებთა უზნეო საქციელის გამო ქვედა სართულში მცხოვრებთა მდგომარეობა აუტანელია. ზედა სართულში მცხოვრებნი არ კადრულობენ ეზოში ჩამოსვლას მაღლიდან და ნაგვის ჩამოტანას, ისინი ზევიდან ყრიან ყოველგვარ უსუფთაობას, ზევიდანვე ბერტყავენ ხალიჩებს და სხვა.

ყველა ეს ნაგავი ცვივა დაბლა სართულის ტალანში, რის გამო იქ მუდამ უსუფთაობა სუფევს და ამის გამო დაბლა სართულში მცხოვრებთ უხდებათ მუდამ კარებ და ფანჯრებ დახურულ, ისედაც ნესტიან ოთახებში ცხოვრება.

რადგან მათზე არავითარი გაფრთხილება არ მოქმედობს, ამისათვის სასურველია მე-10 სამილიციო უბნის სანიტარულმა კამისიამ შემოიაროს ხსენებულ სახლის ეზოში და სათანადო ზომების მიღებით გვიხსნას.

მუშკორი **თავ—ნი.**

მუშის ლექსიკონი

(უცხო სიტყვათა ახსნა)

დოტაცია (ლათინური სიტყვაა) ნიშნავს ფულადი დანმარების გაცემას. მაგ. ჩვენ საბჭოთა სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებათ, როდესაც არ ჰყოფნით საწარმოო ანუ საბრუნებელი თანხა, ჩვენი მთავრობა აძლევ მას ფულადი დახმარებას. ამ დახმარებას უწოდებენ—დოტაციას.

ექსცესი (ლათ. სიტყვაა). უწესოება, უწესრიგობა, მოულოდნელი მარცხი, პირადი ანგარიშის კანონების გარეშე გასწორება. მაგ. ჩვენმა გლეხობამ, რომელმაც შეიგნო, რომ მას ატყუებდნენ ამ უკანასკნელ აჯანყების დროს ავანტიურისტი-მენშევიკები, ადგილ-ადგილ გამოეხმაურა მათ დიდი ექსცესებით და ყოველგვარ კანონების გარეშე ანგარიშს უსწორებდა მატყუარებს თავისი უსაზღვრო რისხვა-განაჩენით. ჩვენმა გლეხობამ თავი უნდა შეიკავოს ასეთ უწესოებისაგან.

დეფიციტი (ლათ. სიტყვაა) ზარალი. დეფიციტს უწოდებენ ჯამს, რომელთაც გასავალი სჭარბობს შემოსავალს. მაგ. თუ წარმოების შემოსავალი თვიურად უდრის 50,000 მან., გასავალი კი 55,000 მან., მაშინ მივიღებთ განსხვავებას (ზარალს) ხუთი ათასი მანეთის რაოდენობით. აი სწორედ, ეს 5,000 მ. შეადგენს წარმოების თვიურ დეფიციტს.

ინტენსივობა (ლათ. სიტყვაა), ნიშნავს გაორკეცებულ, ბეჯით და მუყაით შრომას, როდესაც უმრავლეს შემთხვევებში თან დასდევს დადებითი შედეგები—შრომის ნაყოფიერება, წარმოების მოგება-აყვავება და სხვ. თუ ჩვენს მუშებს სურთ ხელფასის გადიდება, მათ უნდა გამოიჩინონ მუშაობაში მეტი ინტენსივობა და ენერგია, მეტი უნარიანობა, რომელიც ხელს უწყობს წარმოების აყვავებას და ამით კი საწარმოო ორგანოს აძლევს საშუალებას შრომის ხელფასი ნორმალურ და სასურველ დონეზე აიყვანოს.

ანალოგია—ანალოგიური (ბერძნული სიტყვაა), მგზავსი, თანაბარი.

მათთვის ომის გასაგრძელებლად. შეცდომა იქნებოდა, თუ ამას განვიხილავდით როგორც შემთხვევით მოვლენას. ასეთი მოქმედებით მრეწველები ცდილობდენ დაეგვიანებიათ ის მომენტი, როდესაც ამოიწურება შემოსავლის წყარო. თუ ჩვენ დავიხსომებთ ყველა ამ ფაქტებს, მაშინ ნათელი იქნება ის თუ რა პოზიციას უნდა დაადგეს პროლეტარიატი ასეთ კონფლიქტების დროს: პროლეტარიატმა თავი უნდა შეიკავოს ისეთ კონფლიქტებში მონაწილეობისაგან, სადაც საქმე არ ეხება ქვეყნის, ხალხის ან მუშების ინტერესებს და მით უმეტეს ისეთებისაგან, რომლებიც წარმოშობილია დივიდენდების დაცვის ნიადაგზე. და როდესაც ეს კონფლიქტები უახლოვდებიან ომის ხასიათს, ჩვენ არ შეგვიძლია გულზე ხელდაკრეფილი ვიყვეთ და დავკმაყოფილდეთ პასიური წინააღმდეგობით, თუმცაღა უკანასკნელი ზოგჯერ კიდეც ჩაშლის ბურჟუაზიის ზრახვებს. **ასეთ შემთხვევაში პროლეტარიატი ვალდებულია გადავიდეს აქტიურ წინააღმდეგობაზე, ხალხთა ომზე კაპიტალისტური ომის წინააღმდეგ.**

აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ომის საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც დავიწყეთ ომის შემდეგ ჩვენს პირველ კონგრესზე, უნდა განვაგრძოთ წინანდელი ძალით, აუცილებელია განუმარტოთ მუშების ფართო მასებს ომის ნამდვილი აზრი და შთავუნერგოთ მათ აზრში და გულში იმის შეგნება, რომ არასოდეს, **და მით უფრო ომის დროს, ბურჟუაზიას პროლეტარიატთან არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო ინტერესი.**

ის, რაც ჭეშმარიტებაა ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, წარმოადგენს ჭეშმარიტებას აგრეთვე ბრძოლაში მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მას შეუძლია განთავისუფლდეს ეხლანდელი მონობისაგან მხოლოდ იმის მიხედვით, რამდენადაც ის უკეთესად და მეტი აღფრთოვანებით იბრძოლებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, იმის მიხედვით თუ რამდენად ის გააფართოვებს ბრძოლის უნარიანობას. **მხოლოდ ბრძოლა განუწყვეტელი, ბრძოლა შეუბრალებელი რევოლიუციონურ ნიადაგზე კაპიტალისტური წესწყობილების წარმომადგენლებთან ყოველგვარი თანამშრომლობის გარეშე,—საშუალებას მისცემს მუშათა მოძრაობას დააგვირგვინოს თავისი საქმე.**

და, დასასრულ, მთელი საკითხი იმაშია, შეგვიძლია ჩვენ, შეუძლია პროლეტარიატს სთქვას, რომ მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, რომელსაც მოითხოვს განთავისუფლება? რომ ჩვენ მზად ვართ გავიღოთ ამისათვის ყოველგვარი ფასი რამდენადაც მაღალი არ უნდა იყოს?

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ერთად-ერთი, რასაც თქვენ დაჰკარგავთ—ეს არის ხუნდები, მაგრამ თქვენ დაიპყრობთ მსოფლიოს“.

ოფიციალურად ჩვენ კიდევ გვრწამს მუშათა კლასის დიდი ბელადის მარქსის სიტყვების სიმართლე.

დე, ტრანსპორტის მუშების ინტერნაციონალმა დაგვიმტკიცოს ჩვენ, რომ ეს სიტყვები შეეფერება მისს შინაგან რწმენას, რომ მათ მიერ წარმოსროლილი ლოზუნგები, რომლებიც მოითხოვს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანებას და განთავისუფლებას, არ არის მხოლოდ ცარიელი სიტყვები. ნუ გამორიცხავთ ჩვენი ფედერაციიდან ნურც ერთს ქვეყანას, მზად ვიყოთ ყოველგვარ მსხვერპლისათვის. გავამხნევოთ ასეთი შეგნებით ისინი, რომლების წარმომადგენლებიც ჩვენ ვართ. მაშინ, მხოლოდ მაშინ ჩვენ შევსძლებთ ჩვენი მისიის შესრულებას. მაშინ და მხოლოდ მაშინ, ევროპის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი შესძლებს დაიპყროს თავისი თავისუფლება და დაამყაროს ახალი მსოფლიო, განახორციელოს იდეალი, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ. სოციალიზმი.

„ინპრეკორი“.

ბიბლიოგრაფია

მოსე გოგიბერიძე აინშტეინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები

თბილისი 1924 წელი

ქართულ სამეცნიერო მწერლობაში ფილოსოფიური გამოკვლევებიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ მხრივ მ. გოგიბერიძის გამოკვლევაც საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აინშტაინი იმდენად მძლავრად შეიჭრა თანამედროვე აზროვნებაში და იმდენათ რადიკალური და ძლიერია ის ახალი საქმე, რომელსაც იგი აკეთებს, რომ კულტურულ ხალხთა წრიდან გამორიცხულათ უნდა ჩაითვალოს ის ერი, რომელსაც ვერ მოუხერხებია ამ დიად მოვლენისათვის ასე თუ ისე გამოხმაურება. რამდენადაც ვიცი, მ. გოგიბერიძის ცდა მესამე უნდა იყოს ასეთ გამოხმაურებათა შორის, რომელსაც ამ ერთი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. ლიტერატურულად კი ჩვენ ორი თვალსაჩინო მოვლენა გვაქვს ამ მხრივ: პროფ. ანდრია რაზმაძის წერილი „კავკასიონ“-ში და მ. გოგიბერიძის მოხსენებული, გამოკვლევა. უკანასკნელს უფრო ფართო მიზანი აქვს დასახული: არა მარტო დალაგება და გადმოცემა აინშტაინის ფიზიკალ-მათემატიკურ კონცეპციისა, არამედ მისი ფილოსოფიურ ღირებულების შემოწმებაც. უკანასკნელ მიზნისათვის ნაცადია აგრეთვე სხვადასხვა თვალსაზრისებთან შედარება—დაპირისპირება, რაც წიგნის ამოცანის მნიშვნელობას აფართოებს.

აინშტაინზე დღეს მთელი ლიტერატურა არსებობს სხვადასხვა კულტურულ ქვეყნებში, თვით აინშტაინსაც მრავალგზის და სხვადასხვა ფორმაში აქვს დალაგებული თავისი ძირითადი კონცეპცია. ამიტომაც თვით მოძღვრების დალაგების საქმე ამით საგრძნობლად გაადვილებულია. უნდა ითქვას, რომ აინშტაინის მოძღვრება საუცხოვოდ ეგუება მისი დალაგების სხვადასხვაობას, რომლის საფუძველს მეტ-ნაკლები სიძნელე წარმოადგენს. ერთსა და იმავე დროს მთელი კონცეპციის გადმოცემა ხერხდება სრულიად გამარტივებულ ფორმაშიაც, რომელიც თითქმის არავითარ მათემატიკურ ფორმულებს არ საჭიროებს და მეორეს მხრივ კი ისეთ ძნელ მათემატიკურ ფორმულებით, რომლებში გარკვევა თვით აინშტაინსაც უძნელდებოდა და ისიც სპეციალისტ-მათემატიკოსების დახმარებას საჭიროებდა (იხილეთ წინასიტყვაობა („Die alivemeine Relativitä“-ts theorie“-ის) მ. გოგიბერიძეს პოპულიარობის საშუალო გზა აურჩევია და, ვფიქრობთ, სამართლიანად მოქცეულა.

როგორც დალაგებიდან, ისე მოძღვრების ფილოსოფიურ განხილვიდან, რაც წიგნაკის თითქმის ნახევარს შეიცავს, სჩანს, რომ ავტორი აინშტაინის ენტუზიასტების რიცხვს ეკუთვნის. დალაგება პათეტიური ადგილით თავდება: „ასე გადაარჩინა აინშტაინმა ჩვენი ქვეყანა სიკვდილს და გატიალებას“ და ცოტა ქვემოთ: „არა მარტო მათემატიკოსი და ფიზიკოსია აქ აინშტაინი, არამედ დიდი ფილოსოფოსი და, თუ გნებავთ, მგოსანი“-ო. (გვ. 33) ანუ კიდევ ასეთ ადგილს ვკითხულობთ· „აინშტაინიდან ჩვენი აზრით არამც თუ ფიზიკის ახალი ისტორია იწერება, არამედ სააზროვნო საშუალების ახალი ისტორიაც დაიწერება“ და სხვ. (გვ. 48) ვინ დასწერს ამ „სააზროვნო საშუალების“ შესახებ გამორკვეული არაა: თვით აინშტაინი თუ სხვა ვინმე. ავტორის სხვა ადგილებიდან ნათელია, რომ დღევანდელ ფილოსოფოსებს ეს არ ძალუძთ, რადგან მათ ან ვერ გაიგეს აინშტაინი და ან მის მიჩქმალვას ლამობენ. ასე რომ ვინ იქნება „სააზროვნო საშუალების“ ავტორი და რა კონტექსტში დაიწერება ასეთი რამ—თუ მართლა დაიწერება—გაურკვეველი რჩება.

ეს პათეტიური ადგილები ჩვენ იმ მიზნით მოვიყვანეთ, რომ ჩვენის აზრით, ავტორის მსჯელობათა მეორე ნაწილის პირვანდელი ცდომაც აქვეა მოთავსებული. ავტორს ჰგონია, რომ ვისიმე თეორიას თუნდაც იგი უპოზიტიურესს მეცნიერულ სფეროს ეკუთვნოდეს, შეუძლია „ქვეყნის გადარჩენის“ მიზანი დაისახოს და ამის შესრულების პრეტენზია იქონიოს. ქვეყანა ისეთია, როგორც ის არის—არც მეტი არც ნაკლები და თუ ბეკონი და შემდეგ მარქსი მის გადარჩენაზე კი არა —არამედ მის შეცვლაზე ლაპარაკობდენ ამაში ჩადებული იყო ლომა დიალექტიური მოსაზრება, რომელშიაც „თეზისის“ წამოყენების უფლება ბუნებას ანუ ქვეყანას ეკუთვნოდა. ბუნება, ანუ ავტორის სტილით, ქვეყანა ამოსავალი წერტილია „მუშაობისათვის“ და აინშტაინიც ისე როგორც ყოველი წარსული თუ მომავალი მოაზროვნე, რა გინდ გენიოსი არ უნდა იყოს იგი, იმის საფუძველზე მუშაობს, რაც არის. წინ წასვლა უკან დახევას მოითხოვს—ამაშია შემოქმედებითი განვითარების დიალექტიკა და თუმცა ავტორს თვითონაც ახსოვს ეს (იხ. გვ. 38), მაგრამ ამისგან აინშტაინის ფილოსოფიურ ღირებულების შესაფასებლად ჯეროვანი დასკვნები ვერ გამოჰყავს.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჰეგელის აზრიდან ამოსული რეალიზმის პრობლემა დიალექტიურ რეალიზმის სახით უნდა განვითარებულიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ როგორც დადებით მიღწევებს, ისე სააზროვნო კრიზისებს მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, მაგრამ სრულიად არ გვაჩვენებს თუ რატომ მიაჩნია მას აინშტაინი „ჰეგელის გენიის კანონიერ მემკვიდრეთ“. (გვ 54). წიგნში მრავალი საკითხია წამოყენებული, რომელთაგან თითოეული მთელი გამოკვლევის თემად გამოდგებოდა და რომლებიც ცხადია 56 გვერდიან წიგნაკში სრულიად გაუშუქებელი რჩება. მართალია ყველა წამოყენებულ საკითხზე თითო-ოროლა აზრი არის გამოთქმული, მაგრამ ამ საკითხების ბუნება ისეთია, რომ მათზე ან ნათლად უნდა ითქვას ყველაფერი ან სრულიად არაფერი. ჰეგელთან დამოკიდებულება მე სანიმუშოთ ავიღე. მკითხველი წაიკითხავს, რომ აინშტაინი ჰეგელის „კანონიერი მემკვიდრე“ ყოფილა და სრულიად დაებნევა მთელი ანგარიში, თუ თქვენ მას არ უჩვენებთ სად იხსნება ლოღიკურად ეს მემკვიდრეობა.

აინშტაინის მოძღვრების ნიადაგზე ხომ მოხსნილია საშუალება იმ შინაგან შეჯახება-კოლიზიებისა, რომლებიც დინამიურობის მატარებელნი არიან ჰეგელის ფილოსოფიაში. იგივე ამბავი გარდამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა დემოკრიტეს მიმართაც. მ. გოგიბერიძე სრულიად სამართლიანად აფასებს იმ შესაძლებელ შედეგს აინშტაინის მოძღვრებისა, რომელიც მოხსნის ძველი მატერიალისტის მიერ წამოყენებულ გაორებას მსოფლიო დინამიკისა. გასაგნებული ვრცეულობა, ისე როგორც დროულობა, აუცილებლად მონიზმის გამარჯვების ხაზზე მოთავსებული მიღწევაა, მაგრამ საგნის გარემდებარე სივრცის ამოკვეთა ხომ საგანთა და მოვლენათა ონტოლოგიურ აგებულობის პრობლემას აყენებს, რომლის ნიადაგზე სრულიად ახალი საკითხი ისმება არსის გარკვეულობის საფუძველზე დამყარებულ ჭეშმარიტების თეორიისა.

მ. გოგიბერიძე ეხება კანტის ფილოსოფიასაც და სურს მისი დამოკიდებულება გამოარკვიოს აინშტაინის მოძღვრებისადმი. საკითხი უმთავრესად დრო და სივრცის პრობლემის ირგვლივ ტრიალებს. ეს დიდი საკითხი, რა თქმა უნდა ისე ადვილად და მოკლედ არ გადაიჭრება „უნიონი დროსა და სივრცეს შორის“ რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს (გვ 46) კანტისათვის უცხო ამბავი არ იყო. ეს ავტორმაც, როგორც სჩანს იცის. ჩვენ მეტს ვიტყოდით: კანტისათვის დრო და სივრცე მხოლოდ განხილვის მეთოდის თვალსაზრისით იყო ერთი მეორისაგან დაშორებული, თორემ იმ მთლიან ფენომენებში, რომელსაც როგორც აზრი ისე არსი (თუნდაც ფენომენალი) უნდა მოეცვა, როგორც სივრცე ისე მთელი სავსეობა მოცემულისა დროის ნიშნის ქვეშ იდგა. პატივცემულ ავტორს ადვილად გაახსენდება კანტის მოძღვრება „გონების სქემების“ შესახებ. მაშ, როგორც სჩანს, საქმე „უნიონში“ ე. ი. ჩვენებურად და გასაგებად, რომ ვსთქვათ—დროისა და სივრცის შეკავშირებაში, შეერთებაში კი არ ყოფილა, **არამედ სხვა რაღაცაში.** ეს სხვა რაღაცა გახლავთ ტრანსცენდენტალის ე. ი. ცდამდე მოცემულ ცდისთვის აუცილებელ ელემენტის **პრობლემა და ვიდრე ამ მომენტის დამოკიდებულება აინშტაინის მოძღვრებისადმი გამორკვეული არაა შეიძ**ლება ითქვას, რომ კანტისა და აინშტაინის ურთიერთობის გარკვევისათვის არაფერი არ გაკეთებულა.

ავტორი ჰფიქრობს, რომ „აინშტაინის თეორიიდან გამომდინარე მსოფლმხედველობრივი დასკვნა იქნება ობიექტივისტური რელატივიზმი, ან შებრუნებით: რელატივისტურ ობიექტივიზმი“ (გვ. 42). რა თქმა უნდა ავტორი არაფერ შუაშია, როდესაც მას აინშტაინის თვალსაზრისიდან გამომდინარე მსოფლმხედველობა აღნიშნულ ტერმინებში ესახება. „ობიექტივიზმი“ აინშტაინის დახასიათებაში გამოწვეულია მისი დაპირისპირებით „სუბიექტივიზმისათვის“, უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გამოწვეულია „რელატივობი“-ს ცნებით.

ჩვენ უადგილოთ მივაჩნია ამ საკითხებზე მოკლე შენიშვნებში ლაპარაკი, მაგრამ ზედმეტი არ იქნება მივაქციოთ ავტორის ყურადღება, რომელიც, როგორც თვითონვე აღნიშნავს წიგნაკის ბოლოში, აინშტაინზე ორიენტაციით აპირებს ფილოსოფიურ მუშაობას, იმ გარემოებაზე, რომ „რელატივობის“ ცნება ტრადიციით დარჩენილი ცნებაა აინშტაინის თვალსაზრისისათვის, ისე როგორც მასთან დაკავშირებული „სუბიექტიური“ და „ობიექტიური“ დაპირისპირება. „რელატივობას“ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთი და იგივე სხვადასხვაა განსხვავებულ პირობებში. მაგრამ რომელ **„ერთი და იგივე“**-ზე შეიძლება ლაპარაკი აინშტაინის თვალსაზრისს, თუ ამოვგლეჯთ სუბიექტ-ობიექტის ფსიქოლოგისტურ ანთროპოლოგისტურ კონტექსტიდან? „ერთი და იგივე“ ასეთი ტრადიციულ აზროვნების და გაცვეთილ ფორმალიზმის შვილია, რომელიც უნიათო აბსტრაქციებით სულდგმულობდა. ყოველი სისტემის სივრცე ისეთია, როგორიც ის არის და არა ერთი და იმავე სივრცის სხვადასხვაობა **ანუ რელატივობა.** ამდენად გაცილებით უფრო მართებული იქნებოდა აინშტაინის თვალსაზრისი ამ მუხლში „რელატიურად“ კი არა, არამედ „რეალისტურად“ გამოგვეცხადებინა, რამდენადაც ყოველი სისტემის ელემენტთა კრებადობა ისე არის, როგორც არის და მაგალ.

სივრცე და დრო გასაგნებული (და არა ობიექტიური) ფენომენებია. ბოლო რამდენადაც არა ერთი და იმავეს სხვადასხვაობის, არამედ ერთი ნიშნის მრავალ ნიშნად ყოფნაა გათვალისწინებული, იმდენად ეს რეალიზმი უნივერსალ ხასიათს იღებს. ამ ხომ აინშტაინიდან განმდინარე თვალსაზრისი [illegible] რეალიზმის სახეს მიიღებდა.

დასასრულ ავტორი ეხება აინშტაინის ნიადაგზე ჭეშმარიტების პრობლემას (გ. 52—54). ეს ადგილი ყველაზე ნაკლებადაა გარკვეული. თურმე ჭეშმარიტების „ყველა თეორიებს ახასიათებს ერთი რამ, ეს არის უპირატესობის მიცემა ვისმეს ან რისმეს მიმართ, უპირატესობა სულის, ადამიანის, ღმერთის, სხვა რიგად არ ყოფნის, თუ კიდევ ბევრი სხვა. ჭეშმარიტების პრობლემა ყოველთვის უპირატესობის მინიჭების თეორიით წყდება“. აქ გასაკვირია „სხვა გვარად არ ყოფნის“ თეზის ისეთ „პატივცემულ“ კომპანიაში მოთავსება, როგორიცაა სული, ღმერთი და სხვა. ავტორი რამოდენიმე სტრიქონით ქვევით თვითონ სწერს: „ჭეშმარიტება ძველი გაგებით ჰკარგავს [illegible]ლივე შინაარსს... და იშლება არსის და სინამდვილის პრობლემაში“ (გვ. 53) „ყოფნის თეზა იჭერს მის ადგილს“-ო. პატივცემულ ავტორს მგონი უნდა ძალიან კარგად მოეხსენებოდეს, რომ ჭეშმარიტების თეორია, რომელშიაც არსის და სინამდვილის გარკვევით და არა გაორების ე. ი. სუბიექტ-ობიექტის და ცნობიერება—საგნის—რელაციით კიდეც უნდა არსებობდეს და შორს რომ არ წავიდეთ, ვგონებთ, ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში. სამწუხარი იქნება თუ აქსიომატიკა, რომლის დაწერას დასასრულ გვპირდება ავტორი ამ უკანასკნელ გარემოების გაუთვალისწინებლობაზე იქნება აგებული. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მომავალ შრომას აღარ ექნება ცოტაოდენი ნაჩქარევის და ადგილ-ადგილ ბოლომდე გაურკვევლობის ნიშნები, რომლებიც ჩვენს მიერ განხილულ შრომაში საკმაოდ მოიპოვება.

ზ. ნუცუბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

— **საქართველოს. ცაკის მესამე სესია.** საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 5 ოქტომბერს მოიწვიოს საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესია.

— **საქ. ცაკმა** მიიღო ახალი დებულების პროექტი „ვექსილების წარმოების შესახებ.

— **ამნისტიით სარგებლობა.** სრ. საქ. ცაკმა წინადადება მისცა სასამართლოებს, რომ მათ ყოველთვის იხელმძღვანელონ გამოცემული ამნისტიებით და არ აღძრან შუამდგომლობა დამნაშავე პირებზე ამნისტიის არ გავრცელების შესახებ.

— **პირობითი განთავისუფლება.** საქ. ცაკმა პირობით გაანთავისუფლა სასჯელისაგან კავლიაშვილი, ქვლიფიძე და ვალიკო ჩუბინიძე.

— **საქ. ცაკის** დადგენილებით ამხ. ამხ. ვ. ცინცაძე და ს. მეგრელიშვილი დაინიშნენ უზენაეს სასამართლოს წევრებათ.

— **პენსიონერების ხელახალი აღრიცხვა.** დამზღვევი კასა ამ დღეებში შეუდგება ყველა პენსიონერების ხელახალი აღრიცხვა. თითოეული პენსიონერი გატარებული იქნება სპეციალურ კომისიაში მისი შრომის უნარიანობის გამოსარკვევად.

— **მუშათა მედიცინა.** მუშათა მედიცინის სამმართველომ ადგილებზე დაგზავნა ტალონები და სარეცეპტო წიგნაკები და საანგარიშო უწყებები.

— **„ზაკტპო"-ს შემოსავალი.** თვიური შემოსავალი „ზაკტპო"-ს კოოპერატიულ სავაჭროებიდან უდრის 400 ათას მანეთს.

— **შეღავათი მოიჯარადრე მებაღეებს.** ქ. აღმასკომმა დაადგინა მისცეს 50 პროც. შეღავათი კრწანისის ბაღების მოიჯარადრეებს იჯარაში, ბაღების გვალვისაგან დაზარალების გამო.

— **დარაბები საცხოვრებელ ბინებათ.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას, ყველა ცარიელი დარაბები გადააკეთოს საცხოვრებელ ბინებათ.

— **ქალაქის ლომბარდი.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ქალაქის ლომბარდს მიეცეთ სესხათ 100.000 მან. ფინანსიური განყოფილების მიერ გამომუშავებულ პირობებში.

— **თესლი სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთ.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე 10.000 ფ. სათესლე ხორბალის სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის სესხად დარიგების შესახებ.

— **განათ. კომისარიატის სტატისტიკური კრებული.** გამოვიდა განათ. კომისარიატის სტატისტიკური კრებულის მეორე გამოცემა.

— **ხორბალი ღარიბებ გლეხებს.** კახელ მევენახეთა კოოპერატიულ ამხ. „კახეთმა" გომის კოოპერატივს კავშირისაგან შეიძინა 10 ვაგონი ხორბალი, რომელიც დაურიგდება თელავ-სიღნაღის მაზრებში ღარიბებს მევენახეებს.

— **სამხ. რევტრიბუნალში.** ორშაბათს, 22 სექტემბერს, სამხ. რევტრიბუნალი გაარჩევს წითელ-არმიელის გიორგი კონტრიკაძის საქმეს, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სახ. ქონების გაფლანგვა.

— **საექიმო დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.** არმიის სარდლობამ მიმართა ჯანმრთ. კომისარიატს, რათა იმ პუნქტებში, სადაც არ არსებობენ სამხ. საავადმყოფოები, კომისარიატმა აღმოუჩინოს საექიმო დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.

— **ყვავილებისა და კულტურულ მცენარეების სათბურების** შესაკეთებლად ქალაქის მამულებში, ქალაქის აღმასკომს განზრახვა აქვს გადასდოს 1016 მან.

— **კამოს სახელობის** საავადმყოფოს ლაბორატორიამ აგვისტოს განმავლობაში 287 დაზღვეულ ავადმყოფს გაუკეთა ანალიზი.

— **კანალიზაცია.** დღემდე კერძო პირთა 45 სახლში გაყვანილია კანალიზაცია. ამ ჟამად გაყავთ 10 სახლში, რომლის პატრონებმა ხვედრი ფული უკვე გადაიხადეს.

— **საკანალიზაციო მილების გაგრძელება.** ქალაქის სანიტარულ პირობების გასაუმჯობესებლად 1924-25 წლების განმავლობაში საკანალიზაციო მილები გააგრძელეს ვერის ღელედან მტკვრამდე.

— **საბჭოთა მუშაკების კლუბი.** დღეს საბჭოთა მუშაკების კლუბში გაიმართება დიდი სალამო-სეირნობა.

— **ხელოვნების მუშაკთა კრება.** დღეს 21 სექტემბერს, დღის 12 საათზე შესდგება ხელოვნების მუშაკთა საერთო კრება.

— **ჟურნალი „დროშა".** გამოვიდა ორკვირეული სამხ. სალიტერატურო „დროშის" № 18 შემდეგი შინაარსით: ლ. მეტრეველი—ძუ ლომის სიკვდილი. ბაჩანა—მყინვარის გასამართლება. (პოემა) X. ბაჩანას ბიოგრაფია. ალ. ბლოკი—რავენნა. თარგ. ვალ. გაფრინდაშვილის. კოლაუ ნადირაძე—Correspondans (ლექსი) ალ. გულისაშვილი—ყაზბეგის გარშემო ვაჰან ტერიონი ბიოგრაფია და მისი ლექსები—თარგ. ა. შ.—ლის. ანდრე მარტი თანამედროვე საფრანგეთის საპყრობილეები. ანრი გილბო—კარლ ლიბკნეხტი—თარგ. გალლის. შ. მამალაძე—გრაფიკი პ. დიუპოხი, მარსელ მარტინე—გერმანიის პოეტებო. ოი, უცნობო ძმებო, თარგ. ვ. გორგაძის. მოქანდაკე ნიკ. კანდელაკი, შპენგლერის ბიოგრაფია,, ბიბლიოგრაფია, ილიუსტრაცია შ. მამალაძის, ე. ნადარეიშვილის, ფასი ყველგან 50 კ. მისამართი: რუსთაველის პრ. № 22.

შემთხვევები

— ქურდობა. 18 სექტ. დღით გაქურდეს მილიციელის ანდრო კაჩმაზოვის ბინა, წაღებულია 157 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, 9 სამილიციო უბანში გაქურდეს ივანე ვართანოვის ბინა, წაღებულია 40 მან. ნივთები.

— ამავე დღეს დილით დიდუბის ეკლესიის ეზოში მდებარე ანტონ ჰოხონელიძის ბინის ბოქლომი გასტეხა უცნობმა ბოროტ-მოქმედმა, მაგრამ ბინის გაქურდვა ველარ მოასწრო.

პროვინციაში

ქ. გორის მასწავლებლების ხმა

ქ. გორის მასწავლებლობა თავის საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა მათივე ინიციატივით ა. წ. 13 სექტემბერს, ითვალისწინებს რა საქართველოში მომხდარ შავ რეაქციონურ ძალების გამოსვლებს, უკეთებს რა ანალიზს მათ ბნელ ზრახვებს, უერთებს თავის საპროტესტო ხმას მთელი საქართველოს მშრომელ ხალხის ხმას. მასწავლებლობა დარწმუნდა რა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში, მის აღმშენებლობითი უნარში და მშრომელი ხალხის ინტერესების მტკიცე დაცვაში, დიდიხანია დასდგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და ნუ ეგონება ნურავის, რომ როდესმე იგი გაჰყვეს შავ რეაქციას. უცხადებს ზიზღს ყველა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს!

მშრომელი ხალხი და მათთან მჭიდროთ დაკავშირებული განათლების ფრონტის წითელი ლაშქარი—მასწავლებლობა არ მისცემს არავის უფლებას ოდნავაც მაინც ხელი შეუშალონ საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობაში.

ჩვენ გვრწამს მშრომელი მასის ხელისუფლება და ვამბობთ: გაუმარჯოს საბჭოებს და მათ ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას.

ძირს შავი რეაქცია და მისი ხელმძღვანელი მენშევიკური პარტია!

შ. გ.

სურამის კოოპერატივი და კერძო ბაზარი

მართლაც რომ სამაგალითოა სურამის კოოპერატივის მუშაობა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს. ამ კოოპერატივმა ენერგიული მუშაკების ხელმძღვანელობით, მართლაც რომ აღარ გაახარა კერძო ვაჭრები. კოოპერატივი რაც დღე გადის მით უფრო ძლიერებს და უმატებს თავის საწყობებს. თუ წინად გლეხი შედიოდა კოოპერატივში და 3 არშინის იარდლის მეტის გატანა არ შეეძლო, დღეს ის საკმაოდ შოულობს ყველა მისთვის საჭირო საქონელს. კოოპერატივმა შესძლო პურის და ხორცის ბაზრის დაპყრობაც. გლეხები ამბობენ: გიჟი ვარ კერძო ვაჭრიდან ვიყიდო, როდესაც აქ, ვიცი, არც არშინში მომატყუებენ და არც ანგარიშში. აი ასეთია განწყობილება გლეხსა და კოოპერატივს შორის. მაგრამ არის ნაკლიც კოოპერატივის მუშაობაში. ეს იმაში მდგომარეობს, რომ პარასკეობით და კვირაობით აუარებელი გლეხობა იყრის ხოლმე თავს ბაზარზე სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, სადაც ის ასაღებს თავის ნაწარმოებს და სცვლის მას ამა თუ ამ საქონელზე. აქ გლეხი თავისდაუნებურად უვარდება ხელში ვაჭარს.

ამისათვის კი საჭიროა, რომ კოოპერატივმა გლეხის ნაწარმოები მიიღოს და სამაგიეროდ რაც მას სჭირდება მისცეს.

ეს საქმე კოოპერატივს ჯერ კიდევ ვერ მოუგვარებია. საჭიროა აგრეთვე კოოპერატიული ბუდკების გახსნა. ყოველივე ამით შესაძლო გახდება კერძო ვაჭრის სავსებით განდევნა ბაზრიდან.

ი. გაგოშიძე.

გლეხთა განწყობილება სიღნაღის მაზრაში

ყველაფერი უკვე დაწყნარდა, სამხედრო წესები მოიხსნა და ცხოვრება ჩადგა თავის მშვიდობიან კალაპოტში.

იყო კი რამე? არაფერი არა ყოფილა, არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია. მაგრამ ეს აიხსნება ჩვენი პოლიტბიუროს სიფხიზლით და საქმის გარემოების წინასწარ დაწვრილებით ცოდნით.

თუ არ ეს გარემოება სიღნაღის პარიტეტული კომიტეტი აქაც მოაწყობდა ბანდიტურ ავანტიურას და დააყენებდა სისხლის მორევს. დიახ, გამოირკვა, რომ აქაც არსებობდა პარიტეტული კომიტეტი, რომელშიაც თავმჯდომარეობდა მენშევიკების პარტიის წარმომადგენელი ლ. სამადაშვილი, წევრებად იყვნენ ეროვნულ-დემოკრატებიდან ნ. ყაზბეგი, მემარჯვენე ფედერალისტებიდან ი. ბოლლაშვილი.

ამათ გაებათ მომავალი აჯანყების მოსახდენათ ქსელი მაზრაში უმთავრესად თავად-აზნაურობასთან.

მაგრამ ეს მათი ჩხირ-კედელაობა უდღეო და უშედეგო გამოდგა. ყველა ისინი, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა განზრახულ აჯანყებასთან, თავის დროზე იქნენ დაპატიმრებულნი და მიიღეს დამსახურებული სასჯელი.

მაგრამ ის, რაც შემდეგ დაიწყო მაზრაში, ალბად მოულოდნელი იყო „აჯანყების" სულის ჩამდგმელებისათვის. მოხუც ჟორდანიას აუსრულდა ქართული ანდაზა „თაგვმა თხარათხარაო, კატა გამოთხარაო".

მაზრაში დაიწყო მოძრაობა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა მოედო მთელ მაზრას. დაიწყო იგი სოფელ კარდანახში.

გლეხები ამბობდენ: „რადგან თავადებმა დღესაც არ მოგვცეს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება, მოგვაშორეთ აქედან სამუდამოთო, თორემ ეხლავ სუყველას დავხოცავთო".

ამ მოძრაობაში დედაკაცებიც იღებდენ მონაწილეობას. მეორე დღეს ასეთივე ამბავი განმეორდა სოფ. ბაკურციხეში.

სოფ. კოლაკში დაარბიეს თავადები და გაიტაცეს მათი ქონება გლეხებმა. სიკვდილით დასჯა სურდათ მაგრამ შემდეგ შეჩერდენ და სიტყვა ჩამოართვეს სოფლის წარმომადგენლებს და უთხრეს: თუ აქედან გადაასახლებთ და მოგვაშორებთ თავადებს, ხელს აღარ გავისვრით მაგათ ბუჟყიან სისხლშიო.

გურჯაან-ვეჯინში თავად-აზნაურობამ წინდაწინვე გაქცევით თავს უშველა. გლეხებმა შეადგინეს კომიტეტები, რომლებიც თავადიბის სახლებში ასახლებდენ ღარიბ გლეხობას.

მაჩხაანის რაიონში 11 სექტემბერს შეიკრიბა სოფლის გლეხობა; აჯანყდა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. აჯანყებულთა სიმკაცრემ იქამდის მიაღწია, რომ აღარ ინდობდენ არავის, ხალხი იძახდა: „ვეყო ამდენი ტანჯვა მაგათგან, არ მივცემთ ნებას, რომ ძველი ცხოვრება აღადგინონ".

დიდი შრომა დასჭირდა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ აღელვებული ხალხი დაეწყნარებინა და დაეშოშმინებინა. დაწყნარებულმა ხალხმა მაინც დაადგინა, რომ თავად-აზნაურობა გადასახლებულ იქნას.

გამოქცეულნი და აწიოკებულნი შეიფარა ადგილობრივმა აღმასკომმა და იხმარა ყოველი ღონე მათი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად.

ქ. სიღნაღში 7 სექტემბერს მოეწყო დიდი დემონსტრაციები და მიტინგი. დიძალი ხალხი დაესწრო. მიტინგი გაიხსნა მუშათა კლუბის წინ, მოედანზე. კლუბის აივანზე გამოჩნდენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი და სხვადასხვა სოფლების წარმომადგენელნი გლეხები.

აქვე იყვნენ მენშევიკების და მემარჯვენე სოც. - ფედერალისტების წარმომადგენლნი: მათე ახმეტელაშვილი, ნიკო ახმეტელაშვილი სიმონა ნატროშვილი, აპოლონ ზალდასტანიშვილი, გიორგი დაფქვიაშვილი და რამანა ახმეტელაშვილი.

ყველა ამათ ეთხოვათ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის: მიტინგზე ჩვენც გამოგვიშვით, რომ ხალხის წინაშე ორიოდე სიტყვით ბოდიში მაინც მოვიხადოთო.

მიტინგი გახსნა ქალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პაშა ჩახნაშვილმა, რის შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. მოსე ვარამაშვილი.

ხალხი ჰქუხდა და გრგვინავდა, ორატორს არ აცდიდენ ლაპარაკს, მოითხოვდენ დამნაშავეების სასტიკად დასჯას, ულმობელ გასამართლებას.

შემდეგ ილაპარაკეს ნიკო ახმეტელაშვილმა, სიმონა ნატროშვილმა და გიორგი დაფქვიაშვილმა.

მათ ლაპარაკზე ხალხი უფრო ღელავდა. უკანასკნელს სულ აღარაფერი ათქმევინეს.

შემდეგ ილაპარაკეს სოფლის წარმომადგენლებმა გლეხებმა და სხვებმა.

ზიზღი მენშევიკებს და მათ სულის ჩამდგმელ თავად-აზნაურებს, მღვდლებს,—გაისმოდა ხალხში.

შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ხალხი მოითხოვდა დამნაშავეების სასტიკათ დასჯას—და ყველა მავნე და ბოროტი ძალების საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებას.

ასე დაბოლოვდა ის ავანტიურა, რომელიც მოაწყო ბებერმა და უკვე გამოტვინებულმა ჟორდანიამ პარიზიდან. თითონ იქ არხეინად ბრძანდება და აქ კი მისი მეოხებით დაიღვარა სისხლი.

ქიზიყის მოამბე.

როგორ ატყუებდენ მენშევიკები ხობის რაიონში

27—28 აგვისტოს თავად-აზნაურობა წელში გაიმართა, მათ სახეზე მხიარულების ნიშანი აღიბეჭდა, ძველებურად შემჯდარიყვნენ ცხენებზე და გამხნევებული დაჰქროდენ სოფლად.

დაკვირვებული კაცის თვალი შეატყობდა რომ ისინი რაღაცას ელოდენ: 28 აგვისტოს დილით შეხვედრობდით სოფლად უცნობ პირებს, რომლებიც ალბათ რაღაცას ამზადებდენ. ამავე საღამოს ახმაურდა სოფელი, გამოჩნდენ თავად-აზნაურები და მემამულეები სამფეროვანი დროშებითა და სიმღერით. რამდენიმე პარტიული ამხანაგებისათვის იარაღიც აეყარათ. განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ბიის სოფლის მღვდელი ლ. იოსავა, ის არწმუნებდა ხალხს, რომ ყველა კუთხეები სამეგრელოსი და აგრეთვე ქუთაის-თბილისიც აღებულიაო. მაგრამ მშრომელი მასსა გლეხობისა სიჩუმით ხვდებოდა ამ ამბავს და სევდიანათ გაიყურებოდა თავის ყანებისაკენ. სწუხდნენ, რომ ყოფილი მემამულეები ამ ყანიდან ბევრს არაფერს არგუნებდენ და ამდენი ნაწვავ-ნადაგი ფუჭათ ჩაუვლიდათ.

თავად-აზნაურებმა უკვე დაიწყეს თავიანთი მიწების ჩამოვლა-დათვალიერება. უჩა დადიანის ძმის შვილები მხრებზე პაგონებით გამოჩდენ საზოგადოებაში და მათი გამოხედვა რაღაც არა ჩვეულებრივ შიშის ზარს სცემდა ყველას. ეს ვაჟბატონები ვინ იცის რას არ იმუქრებოდენ. ამ დროს გამოჩნდა ცნობილი ბანდიტი ქაჯაია თავისი რაზმით და სამფეროვანი დროშით, ყვიროდა: გაუმარჯოს „თავისუფალ საქართველოსო". მას გარს ეხვიენ მენშევიკები და თავად-აზნაურები, რომელთაც წინ მიუძღოდა ყაჩაღი ქაჯაია. ამ დროს ლ. თათარიშვილმა გამოუცხადა ხალხს ინგლისის გემები ჯარით მოადგა ფოთს და მალე აქაც ჩამოვლენო, თან ადგილობრივად შეთხზულ პროკლამაციებს კითხულობდა.

ნაშუაღამევს მოისმა ორი მხრიდან უცნაური საყვირის ხმა თითქოს გემიდან. მენშევიკები გაიძახოდენ: რომ არ გჯეროდათ გემის მოსვლა ეხლა ხომ დარწმუნდითო?—ხალხს მართალი ეგონა. მენშევიკებს აეხმაურებიათ გამოცვლილი საყვირით ხე-ტყის ქარხნები ხეთა და ზორგაში. ხალხს დაავალეს ვაშას ძახილით შესულიყვენ ხობში. წინ გაიძღოლეს მღვდლები და უიარაღო ხალხი. ალყა შემოარტყეს ხობს, და რამდენიმე ხნის წინააღმდეგობის შემდეგ აიღეს კიდეც, სადაც დაჭრილი იქნა კომუნარი ჩათო შონია, რომელსაც თავს დაადგა ლ. თათარიშვილი და თედო ბიგვავა და ლანძღვა-გინებისა და ფეხით ცემის შემდეგ თათარიშვილმა თავისივე ხელით გამოღადრა კისერი დაჭრილ შონიას. თავად-აზნაურობასა და მემამულეებს დამზადებული ქონებიათ სიები თავის მიწაზე მდგომ გლეხობისა და ითხოვდენ სამი წლის ღალას ერთად. გლეხების ცხენებზე შემჯდარი თავადები აგინებდენ გლეხობას ნიკოლოზის დროს: შემოღებულ იქნა მათრახი და როზგი. მათ შორის ზოგიერთებს დაემშვენებიათ მხრები პაგონებითა და გული ნიკოლოზის ჯვრებით. მაგრამ, როდესაც ბედის ჩარხი სხვაფერ შეტრიალდა და როდესაც გაიგეს, რომ მათი საქმე უკვე წაგებული იყო უგზო-უკვლოდ გაიფანტენ. ხელისუფლების მიერ აღდგენილი იქმნა წესიერება, რომელსაც გლეხობა ნდობითა და აღტაცებით შეხვდა და ყველა დამნაშავეები გლეხობამ თავის ხელით ჩააბარა მთავრობას.

ვარ. ბიელი.

პროვინციის ქრონიკა

— **საეკლესიო განძეულობა განათლების საქმეს.** გორის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა საეკლესიო განძეულობა გარდა საისტორიო მნიშვნელობის მოახმაროს ხალხის განათლების საქმეს.

— **კოოპერაციის გაძლიერება.** ხაშურში კერძო ვაჭრებმა, რომელებმაც ველარ გაუძლეს კოოპერატივის მეტოქეობას დახურეს სავაჭროები, მათში კოოპერატივმა გახსნა თავისი განყოფილებები.

— **საძოვრების გადაცემა გლეხკომებისათვის.** დუშეთის სამაზრო გლეხთა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა, რათა დუშეთის მაზრაში არსებული საძოვრები ადგილები გადასცენ ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებს.

— **გლეხი ქალები გლეხკომებში.** აღბულაღის რაიონში გლეხ-ქალებში ჩატარებულ კამპანიის შემდეგ გლეხი ქალები ჩაეწერენ გლეხკომების წევრებად და გადასწყვიტეს მიიღონ აქტიური მონაწილეობა გლეხკომების მუშაობაში.

— **პლატფორმის გახსნა.** გორის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა რკ. გზის სამმართველოს წინაშე, რათა სოფ. ყვიშისში (ქართლი) გახსნილ იქნას პლატფორმა.

— **[illegible] კურსები.** 20 სექტ. გორში გაიხსნა [illegible] კურსები.

— **ინვალიდების შრომის არტელი.** ბათომში დაიწყო ინვალიდების სხვა და სხვა შრომის არტელების მოწყობა.

— **ციმბირის ჭირი.** ზემო აჭარაში მიღებული ზომებით თითქმის სავსებით მოსპობილ იქნა ციმბირის ჭირი. დაახლოებით აუცრეს 2024 სულ საქონელს.

— **ხიდი მდინარე რიონზე.** ფოთში მდინარე რიონზე ხიდის აგება მიმდინარეობს სიჩქარით. უკვე აშენებულია ხიდის ორივე მხრის საძირკვლები.

— **ტერლეგიონის სასადილო.** მესამე ტერიტორიალურ ლეგიონის სასადილო გადაეცა გორის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებას.

— **წითელი სასადილოები.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შეიმუშავა გლეხკომების წითელი სასადილოების მოქმედების გეგმა, რომელიც უმაღლეს ორგანოების დამტკიცების შემდეგ დაეგზავნებათ ადგილებზე სახელმძღვანელოდ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომი** იტყობინება, რომ ორშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება **მუშკორთა სარაიონო ბიუროს თათბირი.**

მოწვეულნი არიან აგრეთვე ამხ. ამხ. ლივშიცი „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციიდან და ავენირი „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქციიდან.

მდივანი მაშკევიჩი.

— **თბილისის კომიტეტის** აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მარიამ ლიბერმანს, ოლღა დანელიას, სატენიკ ყარაგულიანს და გიორგი ხალატიანს გამოცხადდენ ორშაბათს 22 სექტემბერს თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილების გამგე საპაკოვი.

— საქარ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის **თბილისის კომიტეტი** ამით იტყობინება, რომ ორშაბათს 22 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, ქიმიკოსთა კავშირის შენობაში **გაიმართება თათბირი** ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლებთან. დღის წესრიგი: 1. ანგარიშები ადგილებიდან. 2. საერთო საქალაქო კრების შესახებ. 3. მიმდინარე საქმეები. საკითხების მნიშვნელოვანობის გამო სავალდებულოა ყველას გამოცხადება დაუგვიანებლად.

საქ. ახ. ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი: მეტონიძე.

— საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ალექსანდრე ბრეგვაძეს და ზაქარია პაპაშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ **თბილისის კომიტეტის** აღრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

— ყველა ის ამხანაგები, რომლებიც გატარდენ რეგისტრაციაში თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში უნდა გამოცხადდენ დღეს, კვირას, 21 სექტემბერს, 1-დან 3-საათამდე თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყ. გამგე: საპაკოვი.

— საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის **თბილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს 22 სექტემბერს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტში საორგანიზაციო განყოფილების შენობაში.

1) ისმხილოვი მეიდარ, 2) აკოპოვი ლეონ, 3) მალაქაშვილი რამან, 4) გაი-ვლადიმირ, 5) ფიცხელაური არჩილ, 6) ჩხაიძე, 7) ლეოპოლდ გაუზე. 8) ფომენკო ვ. 9) ტატიშვილი შ. 10) გოგელია კ.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: მისკინ.

— **ლენინის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** რკინისგზელთა თბილისის საუბნო პროფკავშირის კულტგანყოფილებასთან ერთად ორშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე სანიტარულ განათლების კლუბის შენობაში იწვევს ლენინის რაიონის **კულტკომისიის თათბირს.** დღის წესრიგში დასმულია საკითხი მუშა-მოსამსახურეებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო, სავალდებულოა ყველას გამოცხადება. თათბირზე მოწვეული არიან ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი და კომუჯრედების მდივნები.

ლენინის რაიკომის საგ.-საპ. განყოფილების გამგე მთვარელიძე.

განცხადებები

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე გალაქტიონი შვილით თეიმურაზით, დედა პელაგია და ბიძაშვილი მარო აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათ უძვირფასეს

ლიუდმილა (ლიზა) ივანეს ასულის

გიორგობიანის

მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოდან 21 სექტემბერს დილის 10 საათზე: დაკრძალვა-კუკიის სასაფლაოზე. № 2.105 2—2

ღრმად დამწუხრებულნი: დედა, ფატმანე ალექსანდრეს ასული მენაღარიშვილისა, სიძე კალენიკე თარხანის ძე ჩხაიძე, დები გალინა ნესტორის ასული მენაღარიშვილ-ჩხაიძისა, მარუსია და თამარა ნესტორის ასული მენაღარიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 19 სექტემბერს უდროვოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ფაცია (ვერა)

ნესტორის ასული მენაღარიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას ა. წ. 21 სექტემბერს დღის 12 საათზე ქ. ლანჩხუთში.

2113. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მაზლის ცოლი ლოლა მეუღლით იასონით და შვილებით მარგალიტა, გაიოზ, თამარ და ზურაბით, მაზლი ვალოდია მეუღლით პასიკოთი და შვილებით, ბიძა ვანო მეუღლით და შვილებით და მეუღლის წულები ვარლამი და გერონტი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათ საყვარელ

ლიუდმილა (ლიზა) ივანეს ასულის

გიორგობიანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება თბილისის რკინისგზის საავადმყოფოდან 21 სექტემბერს დილის 10 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

2111. 1—1

მოსკოვის გაზეთების — და — ჟურნალების გამოწერა

შეიძლება საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპექტი № 24, ტელ. 10-49) მტკიცე ფასებში.

სახლში მიტანით და გადაგზავნით თვიურად ეღირება გაზეთები:

„კრასნაია ზვეზდა"	1 მ. 80 კ.
„პრავდა"	1 მ. 00 კ.
„ცაკის უწყებები"	1 მ. 00 კ.
„ბედნოტა"	80 კ.
„ეკონომ. ჟიზნ"	1 მ. 30 კ.
„რაბოჩაია გაზეტა" 1 გამ.	40 კ.
„ „ 2 „	90 კ.
„ „ 3 „	1 მ. [illegible] კ.
„ „ 4 „	1 მ. 70 კ.
„ „ 5 „	2 მ. 35 კ.
„გუდოკ"	65 კ.
„ დამატებით	1 მ. 00 კ.
„ტრუდ"	1 მ. 00 კ.
„ დამატებით	1 მ. 25 კ.
ჟურნალები.	
„პროჟექტორ"	60 კ.
„კრასნაია ნივა"	90 კ.
„ოგონიოკ"	50 კ.
„ფაბზავკომ"	20 კ.
„ბეზბოჟნიკ"	40 კ.
„რაბოჩი კორესპონდ.	50 კ.
„პრედპრიატიე"	1 მ. — ა.
„ჟიზნ ისკუსტვა"	1 მ. 40 კ.
„კრასნი პერეც"	60 კ.
„მირ პრიკლიუჩენი"	50 კ.
„სმენა"	1 მ. 00 კ.
„ხოჩუ ვსიო ზნატ"	50 კ.
„რაბოტნიცა"	40 კ.
„იუნიე სტროიტელი"	40 კ.

ხელის მოწერა გრძელდება ენკენისთვის 15

0—1

შავი-ქვის სამმართველო

აცხადებს, რომ 25 სექტემბერს დღის 2 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიცემა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობის № 23 ქვედა სართულის გადაკეთება და რემონტი. განცხადებები შემოტანილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტში. განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადა არის 25 სექტემბერს დღ. 12 საათი. სავაჭრო კონდიციების, სამუშაოს რაოდენობის უწყების და ყველა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა სამმართველოს კანცელარიაში (რუსთაველის პრ. № 23) 1-დან დღის 3 საათამდე, აქვე მიიღება განცხადებებიც. ნ. 1542 2—2

გაზ. „კომუნისტი"-ს პრემიების დარიგება

რედაქცია აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომლებმაც „კომუნისტი" გამოიწერეს სამი ან ექვსი თვით, რომ ამ დღეებში მათ დაურიგდებათ უფასოთ შეპირებული პრემიები:

სამი თვის ხელისმომწერლებს

1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

ექვსი თვის ხელისმომწერლებს

1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ
2. კ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ

ყველა ხელისმომწერლებს ამ დღეებში დაურიგდებათ, როგორც ჩვეულებრივ უფასოთ, „კომუნისტი"-ს სალიტერატურო-სამხატვრო ორკვირეული დამატების, „ჩირაღდნის" მორიგი ნომერი, რომელიც უკვე იბეჭდება. 2—2.

მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის უმუშევართა საყურადღებოთ.

25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, „მიხა ცხაკაიას" სახელობის კლუბში დანიშნულია კავშირის უმუშევართა **საერთო კრება** და მათი **რეგისტრაცია.**

დღის წესრიგში დასმული იქნება კითხვა პროფტექნიკურ კურსების გახსნის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ვინც ამ კრებას არ დაესწრება გამორიცხულად ჩაითვლება უმუშევართა სიიდან.

ა/კ. ფოსტელ მომუშავეთა კავშირის საოლქო გამგეობის თავმჯდ. ბერძენიშვილი.

ნ. 1554 1—1

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ნ. დმიტრიევის

„ГАЗ ЗА ГАЗ"

ფასი 30 კაპ.

ა/კ. წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ცოდნის საარმიო კლუბის გამოცემა.

ეს ნაშრომი შესანიშნავია თავის აგიტაციური ხასიათით, მასში მოკლედ და პოპულიარულად არის გადმოცემული ქიმიური საქმე და მისი როგორც მშვიდობიან, ისე საომარ მოქმედების დროს გამოყენების წესები. საჭიროა ის ფართოდ იქნეს გავრცელებული საბჭოთა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში.

10 ეკზემპლიარზე მეტის მყიდველს ეძლევა შეღავათი. შეიძლება ნისიათ ყიდვა ან ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდა.

გამომცემლობის საწყობი პლეხანოვის პრ. № 149.

№ 1555 1—1. ტელ. 15—73

გამოვიდა ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „დროშა" № 18.

ხელის მოწერა:

ერთი წლით	10 მან.
სამი თვით	3 მან.
ცალკე ნომერი ყველგან	50 კაპ.

განცხადების ტარიფი:

ერთი გვერდი	150 მან.
ნახევარი გვერდი	75 მან.
მეოთხედი გვერდი	50 მან.

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში: მდივანთან 10—2 ს. რუსთაველის პრ. № 22. კანტორაში: განათლების სახ. კომისარიატი სახელგამი. ლორის-მელიქ. ქ. № 5. ტელეფონი 6—43.

პროვინციელ აგენტების მისამართები ამ დღეებში გამოქვეყნდება.

ნ. 1556 1—1

ორშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 6-საათზე, თბილისის აღმასკომის შენობაში მოწვეულია შემდეგი სექციების

გაერთიანებული სხდომა

1. კომუნალური სექციის (აღმასკომის დარბაზი)

დღის წესრიგი:

1. შეძლებულ კლასებზე საბინაო ქირის გადიდების შესახებ.
2. დარაბების დემუნიციპალიზაციის შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო სექციის (ოთახი № 17)

დღის წესრიგი:

1. ადგილობრივ ფინანსების შესახებ დროებითი დებულება
2. მიმდინარე საკითხები

3. განათლების სექციის (ოთახი № 32)

დღის წესრიგი:

1. საბავშო სახლების რეორგანიზაცია
2. ბავშვების მიღება შრომის სკოლებში

4. ჯანმრთელობის სექციის (ოთახი № 5)

დღის წესრიგი:

1. სანიტარული ნაწილის მოხსენება 6-თვის მუშაობის შესახებ.
2. სამკურნალო ნაწილის მოხსენება 6-თვის მუშაბის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხეაი.

5. საადგილ-მამულო სექციის (ოთახი № 66)

დღის წესრიგი:

1. სავეტერინარო სექციის მოხსენება მაზრაში გავრცელებულ საქონლის ჭირის და მასთან ბრძოლის შესახებ
2. მიმდინარე საკითხები

6. ზაკესკომის სექციის (ზაკესკომის კანცელარია)

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სამუშაოთა უფროსის საქმიანობის მსვლელობის შესახებ: სექციების ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა, საყურადღებო საკითხების განხილვის გამო.

თბილისის საბჭოს სექციების საერთო ხელმძღვანელი—**არ. რუხაძე.**

ბ. № 1558—1—1

პრეის-კურანტი.

მიწათმოქმედების სახალხო მამულების ტრესტის ტფილისის ღვინის საწყობის

1924 წ. 19 სექტემბრიდან.

№№	სახელწოდება	თეთრი		წითელი	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1.	ნაფარეული №№ 66 და 47 ბოთ.	—	61	—	56
2.	წინანდალი №№ 64 და 45 „	—	71	—	66
3.	მუკუზანი №№ 65 და 46 „	—	61	—	56
4.	სასუფრო №№ 22 და 18 „	—	51	—	41
5.	თელიანი № 48 . . . . „	—	—	1	86
6.	1917 და უფრო ძველი ღვ. „	1	96	1	96
7.	შამპანიური . . . . . . „	1	51	—	—
8.	კონიაკი . . . . „	1	87	—	—
	შესანახავი მასალა				
	ა. ცალიერი ყუთი			2	50
	ბ. „ ბოთლ. ღვ. და კონ.			—	20
	გ. „ „ შამპანიურის			—	25
	დ. ჩალაგება			—	50
	პრეისკურანტში აღნიშნულ ფასებს დაემატება სააქციზო გადასახადი				
	ა. შინაური ვედრო ღვინოზე	—	64	—	64
	„ ბოთლ კონიაკზე	—	43	—	—
	„ ბოთლ შამპანიურ.	1	34	—	—
	ბ. საგარეო—ვედრო ღვინოზე	3	20	3	20
	„ ბოთლ კონიაკზე	1	26	—	—
	„ ბოთლ შამპანიურ.	1	34	—	—

იყიდება მუშათა მთლიან კოოპერატივის, საქ. სამხედრო კოოპერატივის, „ქ. კ. ა. ბოეცის“ და სხვა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში. გაიყიდება საბჭ. საქართველოს ყველა დიდ ქალაქებში.

ბ № 1551 2—1

ამა წლის 17 სექტემბრიდან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 11 საყოველთაოდ

გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აფთიაქი

ფარმაციის მაგისტრის **ე. ვილარეტის** გამგებლობით

№ 2054—3—3

სახლი განცალკევებული, თავისუფალი ბინით, ვისაც სურს საჩქაროდ და ხელსაყრელად იყიდოს ან გაყიდოს—მიმართეთ **მამადავითის** ქუჩაზე, № 3, ბ. № 2,—რუსთაველის პროსპ. გვერდით, დილის 11 საათიდან 2 საათამდი და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდი

2107 1—1

თბილისის პოლიტგანათლების განყოფილება

ამით აცხადებს ყველა წერა-კითხვის არა მცოდნეთა და მცირე მცოდნეთა საყურადღებოდ, რომ 22 სექტემბრიდან ქ. თბილისში

სწავლობს მიღება

წერა-კითხვის არმცოდნეთა და მცირეცოდნეთა სკოლებში შემდეგ პუნქტებში, საღამოს 3-დან 6 ნახ. საათამდე

1 **ნაძალადევი**—ბოტეს სახლში ლენინის რაიკომის პირდაპირ 2. **ნაძალადევი**—ლოტკის გორის ქუჩა № 36 მე 32-ე შრომის სკოლაში 3. **ერთობის რაიონი**—ჩერქეზიშვილის ქ. № 75 მე 29-ე შრომის სკოლაში 4. **ნიკოლოზის ქუჩა** № 60—მე 28-ე შრომის სკოლაში 5. **ანდრეევის ქუჩა** № 49—მე 26-ე შრომის სკოლაში. 6. **დიდუბე**—კოოპერაციის ქ. № 17-ე 33-ე შრომის სკოლაში 7. **ვერა**—წყნეთის ქუჩა № 2 მე 18-ე შრომის სკოლაში 8. **რუსთაველის რაიონი**—ბებუთოვის ქუჩა № 14 9. **საბურთალო**—მე 20-ე შრომის სკოლაში 10. **ორთაჭალა**—სუფსარქისის ქუჩა № 54 მე 23-ე შრომის სკოლაში 11. **ნავთლუღი**—რეიტერის ქუჩა № 71—მე 24-ე შრომის სკოლაში 12. **მადატოვის კუნძული**—№ 5 მე 80-ე შრომის სკოლაში. 13. სოლაბარი—კახეთის ქ. № 23 მე-86-ე შრომის სკოლაში. სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის ყველა მოქალაქენი განურჩევლად ეროვნებისა 18—40 წ. ჰასაკამდე, გარდა საზოგადოების არა მშრომელი ნაწილისა.

მოწაფეები სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო სასწავლო ნივთებით და წიგნებით.

მიღება გაგრძელდება 1-ლ ოქტომბრამდე. მიღებული მოწაფეები განაწილებულ იქნებიან სხვადასხვა სკოლებში ეროვნების, მათი საცხოვრებელი ადგილის და წარმოების მიხედვით.

თბილისის აღმასკომის პოლიტ-განათლების განყოფილება.

2—1 ნ. 1.456.

განცხადება

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა სამმართველო ამით

იწვევს

იმ პირთ ვისაც სურთ მიწოდება სამუშაოებისათვის საჭირო შემდეგი მოწყობილობებისა:

1) ვიწრო ლიანდაგის ორთქმავლები, ნორმალური კონსტრუქციისა—ლიანდაგი 750 მმ., ორი ან სამი ღერძიანი, მოწყობილი ნავთობის სათბობზე.

ორთქლმავალმა უნდა ზიდოს 20-ათასიანის აღმართზე სიჩქარით 10 კილომეტრი საათში მატარებელი სიმძიმით 40—50 ტონი. ამასთან მოსახვევის დასაშვები უმცირესი სხივი ორ ღერძიან ორთქლმავლისათვის უნდა იქნეს 20 მეტრი და სამ ღერძიანისათვის კი 30 მეტრი—და 2) ბეტონის სარევი მანქანები სტაციონალური მოქმედების ანუ ბორბლებზე მოძრავი ტიპის—მუშაობის ნაყოფიერებით 6-დან 10 კუბ. მეტრამდი საათში.

მიწოდება შესრულებული უნდა იქნეს არა უმეტეს თვე ნახევრის ვადისა სოფ. ავჭალაში ჩამოტანით.

მიწოდება გაკეთებული უნდა იქნეს წერილობით არა უგვიანეს ამა სექტემბრის 23 რიცხვისა მისამართით: „ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ქუჩა № 3 (ყოფ. ველიამინოვის) ზაკესკომს“.

2—1 ნ. 1549. სამუშაოთა უფროსი ინჟინერი **ბ. ჭიჭინაძე.**

ბუხჰალტერიის სახელმძღვანელო

გამოიცა და იყიდება **ა. ინწკირველის** მიერ შედგენილი

„ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი“

წიგნი მოწონებულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ. ვინც უშუალოდ გამომცემლისაგან შეიძენს ათ ცალზე მეტს, წიგნები დაეთმობა 20 პროც. დაკლებით.

მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 7. ა. ინწკირველი.

2110—1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი ლაბორატორიებიანი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—2

ექიმი

ე. გ. მქინარიშვილი

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.

ქვ. № 2046 25—5

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეზხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—6

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

აცხადებს,

რომ სამეურნეო მატერიალურ ნაწილის ბინაზე (თბილისი, ვაგზლის ქ., № 1), ა.-წ. 22 ოქტომბერს, დღის 12 საათზე

დანიშნულია

წერილობითი საჯარო ვაჭრობა

4,000 ფუთ ქართოფილის სანთლების (გირვანქაში 4 ცალი უნდა იყოს ტეხნიკურ პირობების თანახმად) მისაწოდებლად.

სანთლების ღირებულება უნდა უდრიდეს დაახლოვებით 80,000 მანეთს უაქციზოთ, ამასთანავე გზების სამმართველო იტოვებს უფლებას შეამციროს ან გაადიდოს მისაწოდებელ სანთლების რიცხვი, და აგრეთვე მიანდოს მიწოდება ერთ პირს მთლიანად, ან ნაწილობრივ. მიწოდება უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილად ნახევარი წლის განმავლობაში.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, უნდა გამოგზავნონ წერილობითი განცხადებები დახურულ კონვერტებში არა უგვიანეს 1924 წ. 22 ოქტომბრისა. განცხადებასთან დართული უნდა იყოს ქვითარი გამოცხადებულ სანთლების რაოდენობის მთელი საფასურის 10 პროც. საწინდარის შეტანის შესახებ. განცხადება უნდა იქნას დაწერილი სამეურნეო-მატერიალურ სამსახურის უფროსის სახელზე წარწერით: 22 ოქტომბრის შეჯიბრებისათვის სანთლების მისაწოდებლად, და უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით, ან ჩაშვებულ იქნას სამსახურის შესავალთან გამოკიდებულ ყუთში.

დამზადებულ სანთლების ხარისხის შესაფასებლად საჭიროა რათა არა უგვიანეს შეჯიბრების დღისა წარმოდგენილ იქნას ნიმუშები მიკრულ იარლიკებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე გარდა უქმე დღეებისა დილის 10—12 საათამდე, თბილისში სამეურნეო-მატერიალურ სამსახურში (ოთახებში №№ 86 და 89), ხოლო მოსკოვში ამიერ-კავკასიის რკინის გზების წარმომადგენლობაში (სვერდლოვის მოედანი № 7).

განცხადებაზე უნდა იქნას დაკრული 1 მან. საღერბო მარკა. ნ. 1552. 1.

ექიმი

ა. დ. კვეელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8 [illegible] № 18, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

№ 2100 25—2.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას

ელექტრო-სინათლის სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2

ქვ. № 2052 25—5

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.

№ 2005 25—7.

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 628 ტურაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

2109—1—1

დაკარგე პირადობის წიგნაკი № 1 ფორმა 4 ალექსანდრე ზაკოს ძე კოვზირიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2114—1—1

დაკარგე 1) კავშირის წიგნაკი მოცემული ა-კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კომიტეტის, 2) პირადობის მოწმობა მოცემული ა | კ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის, 3) პირადი წიგნაკი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ, მოცემული ქუთაისის მეორე რაიონის მილიციის სამმართველოს მიერ, გიორგი ჯვებაძავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2112—1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა, რეგისტრაციის ქაღალდი და აღრიცხვის ბარათი, რკ. გზის კოოპერატივის წიგნაკი სილოვან ქვათაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2116 1—1.

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 4394 ნინა მირაქოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2114 1—1.

დაკარგე მეტრიკული ამოწერილობა გაცემული ანა კლდიაშვილის სახელზე. № 1579. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2115 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა და თვით მშრომელთა კავშირის წიგნაკი გაიოზ დავითის-ძე მელაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2117 1—1.

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი, № 338 გიორგი თედორეს ძე შანაევის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2118 1—1.

დაკარგე სტუდენტობის მოწმ. ამიერ-კავ. კომუნივერსიტეტის გამგეობის მიერ მოცემული № 259 აგრეთვე სხვა მოწმობებიც მ. ოქროპირიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2118 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა ელენე შიუკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2119 1—1.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო

„ბრუზგოსტორგ“

გამგეობა—ტფილისში. თავისუფლების მოედანი

აცხადებს, რომ ფირველი საფ[illegible]ის კოოპერატივების, სახელმწიფო დაწესებულებების, წარმოებების და წვრილი ვაჭრობის მომარაგების მიზნით

გაიხსნა რუსთაველის პროსპექტზე № 24

საწვრიმალო-საზითუმო მაღაზია № 9

მიღებულია გასასყიდად—ჩაი, შაქარი, ჭურჭლეული, ტექსტილის ნაწარმოები გალანტერეია, ძაფები, პარფიუმერია და სხვ.

და მაღაზია № 10: მეტეხის აღმართზე, სადაც ბითუმად და ცალობით იყიდება თევზი და თევზეული პროდუქტები

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ყველა მაღაზიებში მოვა გასასყიდად:

I

რუსული მანუფაქტურა, თითითა-ღუღლებიი, მაღლის ბურაპლეული, რკინეული საქონელი და სხ.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ტფილისის ათივე მაღაზიაში მიღებულია საქონლის ახალი პარტიები

მაღაზიებში:

- № 3 სომხის ბაზარი № 62
- № 5 სადგურის ქუჩა № 2
- № 6 სამანის მოედანი № 80
- № 8 რუსთაველის პროსპ. № 10

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ახალ მიღებული ჩაი. ყიდვის გასაადვილებლად გამოშვებულია ჩაი გასასყიდად $^1/_8$ გირვანქიანი შეკვრებით.

II

უცხოეთის საქონელი: შალეული მანუფაქტურა, კოლონიალური საქონელი, ყავა, პროვანსის ზეთი, პარაფინი, უცხოეთის შეგრო და სხვა.

ფასები საქონელზე დაკლებულია

ფასები საქონელზე დაკლებულია

კოოპერატივებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს მიეცემათ შეღავათიან პირობებში.

ბ. 1531 2—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საბ. წულუკიძის ქუჩა № 4.